იგ აღ-ასირი იუწიუბა, რომ ვანის აღების შემდეგ აღ-მალიქ აღ-ავჭალა განასკურტის დასამორჩილებლად გვემართა. სწორედ ამ დროს მას აუქანულ ხლათის მოსახლეობა<sup>36</sup>, რომელიც ქალაქის ციტადელში გამაგრებულ აუგანთა გარინიზონს შემოწყო. აჭანუებულებმა მოინდომეს, რომ ძალაუფლება შე-არმენის (სუმენ II-ის) რომელიმე მამლუქებისათვის გადაეცათ, მაგრამ აღ-ავჭალა აღ-ჯაზირას აუგანთა ძალებით აღია ხლათი და დაუნდობლად გაუსწორება მოწინააღმდეგებს (იგ აღ-ახითი, XII:274-75; 'ამ აღ-ღაფიც აღ-მალიდად: 112-13). შეუძრავუბელი ტრანზიტ მან განიტკიცა თავისი პოზიციები ხლათში და მააფარიკინთან ერთად მაღალ დაუცალა შე-არმენთა სახელმწიფოს, ყოველ შემთხვევაში იმ სამფლობელოებს, რომლებიც მდ-არეზის მარჯვენა ნაპირზე და ვანის ტბის რეგიონში მდებარეობდა. ამრიგად, შე-არმენთა შემცირებულისა საქართველოში და აუგანთანებმა გაინაშილეს. საკუთრივ ხლათისათვის ბრძოლაში წარმატება აუგანთანებს ხედათ წილად. სულტანია აღ-აღილმა თავისი ვაჟის აღ-მალი აღ-ავჭალის მეშვეობით შეძლო განეხორციელებინა სალაშ აღ-დინის გეგმის ის ნაწილი, რაც ვანის ტბის რეგიონში აუგანთა ექვმანსასა და გამატონებას ისახავდა მიზნად.

## 5. სამართველო და აიგანიანები:

ბრძოლა ხლათისათვის 1208-1210 წლებით

აიგანთა მიერ ხლათის აღება შეიძლება შეფასდეს როგორც საქართველოს სამეფოს საგარეო პოლიტიკის მარტი სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით. ვანის ტბის რეგიონი დასუსტებული შე-არმენების ნაცელად ძლიერდა და აგრესულდა აუგანთანებმა დაიყვა. მათი ექმანსათონისტრი გვმება შემცირებული უცნობი დარჩენილობის საქართველოს სამეფო კარისთვის, რომელიც შეუძლა გამოესწორებინა მდევობარებამ. ბრძოლა ხლათისათვის და, სურათოდ, ვანის ტბის

36 იგ აღ-ასირის შებეჭდით ქართველ ისტორიოგრაფიაში დამკიდრებულ თეატრზე ჩრდილი იმს თობიაშე, რომ აღ-მალი ნაგად აღ-დინ აღ-ავჭალის წინააღმდეგ აგანკუბელ სომხებს შეარს უკერძონ და დაბნებებას უწევდნენ ქართველები, რომელმაც თოთქა-სდა აღება ხლათი და გადასცეს ის აქცევებულებს, მაგრამ მათ ვერ შეინაჩინებს ივა (სოლაგად, 1966:121; სტეფანაძე, 1974:60; სტეფანაძე, 1985:148), მ. სილავაძე აღნაშვალი, რომ აღ-დინი ქართველთა დაბორიება ასე მარტის აღ აღმოჩნდა, სკლიფულნამა (უნდა იყოს „აუგანთანმა“ — გ. ქ.) მიზრამ ამბობება სისტემი ჩაბრძოს (სოლაგად, 1966:121). იგ აღ-ასირის ცნობების სივრცეში შემწეველმა გვიჩვენა, რომ ამამი შემატებით 604/1207-8 წ. მასში (ან სხვაგან) ასაფეხუს წევრის აღ-ავჭალის მოწინააღმდეგებთან ქართველთა რამდე კიბირზე და მათ ვერ ხლათის აღმებაშე. სკლიფულნამა არც სხვა რომელიმე არამა ისტორიკოსის თხრულებაში გვიჩვენა.

ჩუგიონისათვის და აქედან თებანთა განდევნა გაძლა საქართველოს საგარეო პოლიტიკის უშინიშვნელოვანება მოიკანა 1208-1210 წლებში.

ინ აღ-ასირი აღ-მალიქ აღ-ავალის გაბატონებას ხლათში და ამ მიზეზით შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციას 1207-8 წ. ასე ახასიათებს: "შეზობელ შეფეხებს არ ხურდათ (ქარისა) მისი [აღ-ავალის] გამგებლობა მახრე [ზღათზე] გამისის [აღ-აღილის] მიმით. ახევე შეემინდათ მისი ქართველებს და არ ხურდათ ის. მათ განაგრძეს თავდასხმები ხლათის ოლქებზე და მის ქვეყანაზე. ხლოლ ნაჯმ ად-დინ აიუბი იჯდა ხლათში და არ შევძლო მისი დატოვება, რის გამოც შეხლიმებმა ხამინელი ტანჯვა გადაიტანეს" (იმ აღ-ასირი, XII:272-73). ჰიგრის 605/16.VII.1208 – 5.VII.1209 წ. დაიწყო ქართველთა მძლავრი შეტევა აღ-ავალის სამფლობელოზე. ისინი შემოუწყინენ ქარკუშს და დაუკავლნენ მას ძალით. ინ აღ-ასირი, რომელიც მუქ ფერებში გვიხარებას ქართველთა სისახლისა, წერს, რომ მათ გაძრავებს არ ჰქონის "ყოველი ხიმედიდრე, ხაჭინელი და ხნევა რამ, რაც იქ იყო. დაატყვავეს მისი მცხოვრები, დაწვეს და მთლიანად დაანგრიეს ის და მისი მოხახლეობიდან იქ აღარავინ დარჩა, "თითქოთდა არ იყო წინა დღით მდიდარი"<sup>37</sup> (იმ აღ-ასირი, XII:279; ის. აგრძელება: აპ-შამაბი, 1979:192; იმ იმად აღ-მანალი: 16).

აღ-ავალის ხლათში დიდი ზარი ჰყავდა, მაგრამ მან კი გაძედა ქართველების წინააღმდეგ გამოსვლა. მას ეშინოდა როგორც მოწინააღმდეგის სიმრავლის, ისე ხლათის მოსახლეობისა, რომელსაც აღია დოდა ზიანი მიაუყნა. ამ დროისათვის პირველად გვაჲვს მითითება ხლათელთა პირვართული განშუობილების შესახებ. აღ-ავალის თურქე ეშინოდა, რომ ქალაქებიდან გასვლის შემთხვევაში მოსახლეობა უკანიყობიდა და ხლათის ქართველებს გადასცემდა (იმ აღ-ასირი, XII:279; ზარ ჰერეუბი, 1932:364; შენგალია, 1979:335). ინ აღ-ასირი წერს, რომ როდესაც აღ-ავალი არ გავიდა ურჩმენოებთან საბრძოლველად, ქართველები დაბრუნდნენ თავიანთ ქვეყანაში უნდებელი, ისე რომ ისინი არავის შეუშინებია (იმ აღ-ასირი, XII:279), მაგრამ სხვა წყაროებიდან ჩანს, რომ ქართველთა უკანებელი თავისი მიზეზი ჰქონდა.

ინ ვისილი იუწყება, რომ ქართველთა წინააღმდეგ საბრძოლველად აღ-ავალი ისევ ნაცად ხერხს მიმართა და დაშინებისთვის მამას, თებანთა სულტანს აღ-აღილს მოეწოდა. აღ-აღილია გადაწყვეტა ჩარულიყო კონფლიქტი, 606/6.VII.1209 – 24.VI.1210 წ. დამასკოდან ჩრდილოეთ მესოპოტამიისაკუნ დაიძრა და გადალასა მდევრულატი. სულტანმა გამოაცხადა, რომ განზრახელი პერინდა ქართველებზე ლაშქრობა (იმ ვაჲილი, III:190; იმ აღ-ადიში, III:160; სიმც მ.აღ-აზაური 1952: 541; შეკ. აღ-მარავი, 1982:57; აღ-მაკრინი, I:1204),

<sup>37</sup> ციტატა ბრკუალებში კურანიდანა: 2<sub>მს</sub>; 10<sub>მს</sub>.

ხლათის ქვეყნიდან ჭართველების უკუსავდებად. აღ-“აღილმა ამავე დროს დაბმარება სისხვა თავის მშისშვილს, სალაპ აღ-დანის ვაჟს, პალაბის მფლობელს აღ-მალიქ აზ-ზაპირის მან მისწერა, ავრეთვე, სირია-მესოპოტამიის აუგბან და თურქ ამირებს და მათ ჭარები მოსთხოვა.

606 წ. რაბი<sup>1</sup> აღ-ავგალში/3.IX – 2.X.1209 წ. აღ-“აღილმა მიაღწია ჭარ-რანს, სადაც მას გახლენქ აღ-ამჩაფი და სხვა აუგბანების პაბს მფლობელი აღ-მალიქ აღ-მანსური, პომისი მფლობელი — აღ-მალიქ აღ-მუჯადიდი, მა-‘აღ-ბექის მფლობელი აღ-მალიქ აღ-მჯადიდი, მიზისა და პინ-ჭავას მფლობელი ართეულანი აღ-მალიქ ას-სალი მამეტდ ბყარა-არსუანი, სუვადასა და დარას გამგებლები. აქვე მოვიდა პალაბის მფლობელი აღ-მალიქ აზ-ზაპირიკ თავისი ჭარით (იმპ ვახიძი, III:190–91; აღ-მაკრიძი, I/1:204). ჭარჩანიდან აღ-“აღილი რა”<sup>2</sup> აღ-“ანში წავიდა და იქ შეიტყო, რომ ჭართველებს ხლათის მხარე დაეტოვებინათ (იმპ ვახიძი, III:192; იმპ აღ-“ადამი, III:160). იმნ ვასილი დამატებით იუწყება, რომ ჭართველებმა, როდესაც სულტანის სამშავისის შესახებ ვაიგეს, შემინებულებმა ინტერეს თავიანთ მკუანაში დაბრუნება (იმპ ვახიძი, III:192; იბ. ავრეთვე იმპ ად-დაფადარი, VI: 167). საქართველოს სამეფო კარი, როგორც ჩანს, აზ იუ შზად აუგბანთა გაერთიანებულ ძალებით მტრის ტერიტორიაზე შესახებძლება და თავიდან აუკილა კონფლიქტის ექვალუკა.

კონფლიქტი ჩატრევა აზც აღ-“აღილისთვის იქნებოდა სასურველი. გარეუ-ნული მტრისანების მოხედავად ის უდიშვილოდ გრძნობდა თავის სისუსტეს. მცირე აზისს სელჩუკები და ჩირდილოეთ მესოპოტამიის თურქები ამირები, რომელთაც აშენოთებდათ აუგბანთა ექვივანსია და წარმატებები ჩირდილოეთ მესოპოტამიაში, უცადლებით აღენებდნენ თვალს მის მოტრაობას. მათ ადვილად შეეძლოთ შევენათ გართველებები აღ-“აღილის ზურგში, მით უმეტეს, რომ ვანის ტბის ჩვევანიდან სულტანი საქართველო იქნებოდა დამორჩეული თავისი სახელში იყოს ცანტრის. ამდენად, აზ შევდებით თუ ვატევთ, რომ ჭართველთა უცემენების ამბავმა შევბა მოუტანა აუგბანთა გამგებელს. ჭართველებზე ლაშკრობა მოხსნა, მაგრამ სულტანია გადაწყვიტა, რომ ახალი კოთარება ჩირდილოეთ მესოპოტამიაში თავისი გავლენის გასამტკიცებლად გამოიყენებინა.

აღ-“აღილი სინჯარის მფლობელის კუტბ აღ-დინ მუკამად ბ.ზენგის წინააღმდეგ დაიძნა, დაიკა მისი კუთვნილი ჭალუების ნისიბინი, ბატური და შემოწყოთ თვით ქსინჯარს/რომლის ალყამაც 606 წ. რამადანის თვემდე/27. II–28.III.1210 წ. გასტანა (ხიმი მ.აღ-ჯაფარი, 1952: 541; აღ-მაკრიძი, I/1:204). ამ დროს მას გახდა აღ-ავსადიკ (მუქ. აღ-კამაზი, 1982:58), რომელმაც შეძლო ხლათის დატოვება. სინჯარის დასაცავად აღლენქ ირბილისა და მავსილის მფლობელები, რომლებიც პალაბის აუგბან გამგებელს აღ-მალიქ აზ-ზაპირს დაუკავშირდნენ. ამ უკანასკნელმა მხარი აზ დაუკირა ბიძის, რომლის გაძლიერებაც აღარ სურდა და თავისი ჭარები უკან გაიწევა (იმპ აღ-“ადამი, III:161–62).

აღ-“აღილის მოწინააღმდეგებებმა კავშირი დამყარეს რუმის სელჩუკთა სულ-

ტანთან ლიას აღ-დაინ ქა-ხესიაუსთან, აჩზრუმის მოირასთან შედის აღ-დაინ ტელიკლ-შემთან და ხალიფა ან-ნასირთან. უკანასკნელმა მოსთხოვა სულტანს, რომ თავი დაცნებებინა სინგარისათვის (იმპ აღ-ასახი, XII:287; იმპ ჯანილი, III:194-95; ამჟ შემთან, 1974:67; სიმც შ.აღ-ჯაუბი 1952:541; აღ-მაკრინიძი, I/1:204). აღ-ადილი იმულებული გაძლია შეუწყვეტა სინგარის ალყა და პარტაანში დაცნებულებულიყო (იმპ ჯანილი, III:197; სიმც შ.აღ-ჯაუბი 1952:541), სადაც მასთან იმყოფებოდა ხლათის გამგებელი აღ-ავარიც. სულტანის დაპირისპირება აღ-მალიქ აზ-ზაპირთან გრძელდებოდა 607 წ. დასაწყისშიც /VI-VII.1210 წ. შემდეგ ბოძა-ძმისშვილი დაშავდნენ და აღ-ადილმა დანიშნა აზ-ზაპირის ასული, მომდევნო ხანებში კი სულტანი ჯვაროსნებთან იმში ჩაება.

1210 წ. აღინიშნა აბალი სამხედრო კონფლიქტით ხლათის აუგიანებსა და საქართველოს სამეცნის შეორის კართველებმა ხელახლა დალაშქრებუს აღ-ავარის სამულობელო. ამჟ შემთან და შემდეგ მასზე დაყრინობით სხვა ავტორებიც (ამჟ შემთან, 1974:75; იმპ დასახი, XIII:56-7; იმპ აღ-დავადარი, VI:169; ახ-ხალადი, X:37) კართველების ლაშქრობის მიზანად ოცლიან შეცრიე აზიის სელჩუკია, პალაბისა და ჩრდილოეთ შესოპოტამიის გამგებელთა ინტავებს. მავისლის, არბილის, სინგარისა და პალაბის მფლობელებით შეთანმხებულან, რათა კართობლივი ძალით გამოისულიანენ აღ-ადილის წინააღმდეგ, ელაბარებინათ რუშის სულტანის ლიას აღ-დაინ ქა-ხესიაუს უზენაესობა და აღველინათ ხუტბა მის სახელზე. მათ შეეთვალეს კართველებს, რომ ელაშქრათ ხლათზე. ამ შემთხვევაში აუგიანათა სულტანის დაბმისებას ველაზ აღმოფენიდა ვერც აღ-ავარი და ვერც აღ-ამრავი.

სიძრ იძნ აღ-ჯაუზი წერის, რომ კართველთა ეს ლაშქრობა მოხდა 606/1209-10 წ., თერმები იქვე მოუთითებს სხვა თარიღისაც, სინგარის ალყის (დასტულდა 1210 წ. პარტში) შემდეგდროინდელ პერიოდს — 607/25. VI. 1210-14. VI. 1211 წერს. ხლათზე კართველთა ლაშქრობას, უაქტომბრივად ერთსა და იმავე ამბავს ორეურ, 606 და 607 წლებში მოვითხრობს ამჟ შემთან (ამჟ შემთან, 1974:67,75), მავრამ არამ ავტორთა უმრავესობამ იმ ლაშქრობას 607 წლით ათარილებს (იმპ ჯანილი, III:201; ამჟ ღ-ღადა", III:113; იმპ აღ-ჯარი: 190; იმპ დასახი, XIII:56; აღ-მაკრინიძი, I/1:205; აღ-ანი: 629-30) და წევნ ეს სარწმუნოდ მივიღინია.

არამ ისტორიკოსთა ცნობები საშუალებას იძლევა აღვადგინოთ ხლათის ამ კაბინის წერილობანებიც კი. კართველთა ჭრი ხლათის მხარეში 1210 წ. ზაფხულში, ან შემოდგომაზე შეკრისა და შემოეწყო თვით ჭ-ხლათს, რომლის უტადელ-შეიც აღ-ავარი იყო გამავრებული. ალყაშემორტყმული კალაქი მხოლოდ მედინიერისა შემთხვევაში ისსნა განსაკულელისავან. ეს იყო კართველთა მხედართმისავის იუნი მხარეგრძელის მოულოდნელი დაწყვეტება.<sup>38</sup>

<sup>38</sup> ხლათში ივანეს დარჩევება თასაბა ხიმშერ სამსტორო ლატერატურაშიც ციტა: კანდაკე კერძო: 119; ვარავანი: 170). ამის შესახებ დუშან შილაგდ კართველი წერილია.

ივანე მხარეგრძელი 607 წ. 19 რაბი<sup>o</sup> ას-სანის თვეში / 10. X. 1210 წ. ჩაუკარდა  
რევოლ ხლათელებს.<sup>39</sup> ეს ამბავი თავის დროზე უაღრესად გამატერდა მოქლ  
მახლობელ აღმოსავლეთში და XIII-XIV სს თოთმის ცველა არაბი ისტორიკოსი  
თავის ვალდებულად თვლიდა მოქსენიებინა იყო.

წვეულებრივ მოუთოთებენ, რომ ვარსკვლავთმრაცხელმა დილით უწინას-  
წარმეტველა იყნეს (რომელსაც არაბული წყაროები ქართველთა მაღლებსაც  
უწოდებდნენ), რომ დაახლოებით საღამოსწინა ლოცვის მოწოდების (აზან  
აღ-ასრ) დროს ხლათში შევიდოდა, დამტკიციათ გაატარებდა და  
ხლათის ტახტზე დაფლებოდა, თუმცა იმ სამოსით კი არა, რომელიც მას ეძოსა.  
ამ წინასწარმეტველებით გახარებულმა მხარეგრძელმა ლვინონ დაღია და გათა-  
ბიძებული ოცნიდე მხედრით ხლათისუნ — არჭეშის კარიბჭისცენ გვამართა.  
მოულოდნერად მისმა ცხენმა წაიფირობილა. ზოგიერთი ცნობით, ცხენს ფეხი  
ხლათელების მიერ საგანგმებოდ გათხრილ და შენიშვნულ ორბორში ჩაუკარდა, ანდა  
ეს ამბავი ხიდზე მოხდა, რომელიც ხლათელებს განვებ ჩაემტებათ. ივანე მხარე-  
გრძელი ცხენიდან ჩამოვარდა. ხლათელები, რომლებიც მის მოძრაობას ყურადღე-  
ბით უთვალოვალებდნენ, გალუგნიდან გამოკვეთდნენ, იყნეს მხლებულონა ნაწილი  
დახოცეს, ნაწილიც კი მასთან ერთად დაატყვევეს. მხარეგრძელს თითქოსდა დაუ-  
ძაბია კოდვაც არ მომელათ, ივანე კარი. ზოგიერთი ცნობით ის აღ-ავაპის  
საჭრისმა ააკრო აღ-მაღატი იუნი. დატყვევებული მხედართმთავარი აღ-ავა-  
დმა ხლათში დიდი პატივით მიიღო, ტკუ სამატო ხალათით შემოსა და ტახტზეც  
კი დასვა. ამდენად, ივანე მხარეგრძელს წინასწარმეტველება გაუმარილდა.  
ის ბართლაც შევიდა ხლათში და იქ ღამე გაატარა, გაგრამ არა ისე, როგორც  
ფიქრობდა (იმ ვახიდი, III:201; ამზ ვამპა, 1974:67,75; ხიმც მ.აღ-ჯაფ-  
ში, 1952:541; გადამარტინი:43; იმ ვახიდი, XIII:56; აღ-  
ამნი:630).

ივანე მხარეგრძელი არაბი ავტორების თანახმად დაატყვევეს საღამოსწინა  
და საღამოს ლოცვებს შორის (ბაგდა ხ-ხალათახ) პერიოდში (აგ-ხაფად,  
X: 37; აღ-ამნ: 630). შემოლევობაზე საღამოსწინა ლოცვა (საღათ აღ-ასრ)  
იწყება დაახლოებით 15-დან 17 საათამდე საღამოსი კი — მზის ჩასვლის შემდეგ,  
ეს დღე იყო ორშაბათი (ამზ ვამპა, 1974:75; აღ-ამნ:630). ი.ორბეგლისა და  
ვ.კიბულისის მიერ შედგენილი სინქრონული ცხრილებით 1210 წ. 10 ოქტომბერი  
კვირა დღე (Orbeliani, 1961:128; ცხენებულება, 1964:60), პაგრამ თუ გვითვა-  
ლისწინებით იმ ფაქტს, რომ არაბი მესალინები დღეს იწყებდნენ მზის ჩასვლიდან  
და ამდენად, ორშაბათი იწყებოდა კვირა საღამოს (Hartner, 1974: 579) ცველ-  
ფერი გამავრენი ბედება. ივანეს დატყვევება და ხლათში მისი შეკვენა საღამოს  
ლოცვის უამს უფრო მომხდარა, როგორც შე ჩასვენა და ფაქტობრივიად ამალი დღე

<sup>39</sup> ეს ლაშერობა ბ.ხილავაძეს დათარიღებული იქნა 1208-1209 წლით (სილაგაძე, 1966:123.  
ას. ავრევოვი, შენგალა, 1979:335-36; ჩ.მეტრეველი, 1991:201).

დაიწყო.<sup>40</sup> ამრიგად, გვაძეს იშვიათი შემთხვევა, როცა ისტორიული ფაქტი (თუ-ნაცი არცოთ სასამოვნო ჩვენი ისტორიისათვის) შესაძლებელია უარისეად დიდი სისწავეთ (წელი, თვე, რიცხვი, დღე, დროის მონაცემი) დავათაზოდოთ.

ივანე მხარგრძელის ტეკვდ ჩავარდნა ასევიათათვის დიდი და მოულლადნელი სასუქრის იურ. აღ-ავპალის ხლათის სსინის იმდენ აღარა ჭირნდა. სულტანი აღ-“აღი-ლი ჭავარისნებთან თოთ იურ და კავკაციული (ნაკრთხვილი, ჯავაჩიძე, 1974: №2:180) და ვაკისთვის დაბმირების აღმოჩენა არ შეეძლო. ახლა კი ვითარება კრიტიკად შეიცვალა. სულტანმა ბრძანა, რომ ჭავარებისა მეტადამითავარი მი-სთვის მიუვარათ, მაგრამ საჭირო ჩავრა ზავარა მხარგრძელო, რომელიც დაუ-მუქრა ხლათელებს: გამოუშვით ჩემი ძმა, თორებ დალუპეა არ აგვიდებათ, თვეუნი ძველის მიწას საჭაროცველოში წავალებინებ და აქაურობას გავაუდაბურებო. შე-შინებულ ხლათელებს აღარ გაუგზავნიათ ივანე აღ-“ადილიან (ვარა. განძავული: 119). აღ-ავპალმა ჭაროცვლა წარმომადგენლებს უჩინ, რათა ისინი დარწმუნე-ბულიყვნენ ივანე მხარგრძელის უსაფრთხოებაში (ამა შემა, 1974:75) და მოი-თხოვა, რომ ჭაროცვლები გასკულოდნენ ხლათს.

ჭაროცვლები იძულებული გახდნენ დასასწავლებოდნენ აღ-ავპალს და საბო-ლოდ დაზაფხოდნენ მას. არაბული წარმოების ჩვენებით საზურო პირობები ხელსაყრელი იყო თებიათათვის. ივანე მხარგრძელის გამოსასყიდად საჭაროცვ-ლის სამეცნი კარგად დადგინდლი თანხა — 100 ათასი ლინარი (სხვა მონაცემებით 80 ან 200 ათასი ლინარი) გადაიხდა, დაბრუნა 2 ან 5 ათასი ტკვე და 21 (ცხ. რომელიც კვიროდა ხლათის ოლქებს და რომელიც აღრე ხელთ იდეს ჭაროცვ-ლებმა და აღადგინა ხლათის გალვანი (ხურ) (იმპ ვახილი, III: 201; ამა შემა, 1974:75; იმპ ტახილი, XIII:56; გად. აღ-ვაჭვინი:42-3; ამა ღ-ავიძა”, III:113).

ივანე მხარგრძელი იძულებული იყო განთავისუფლების საფასურად ავადა-სთვის ცოლად მოეცა თავისი ჭალი შევილ თამთა, რომელიც ხლათში გათხოვებისას ინარჩუნებდა ჭარისტანობას (აღ-ვაჭვისი, I/1:205). ჭაროცვლებმა პირობა და-ფრეს, რომ ისინი ამიტობან არ მასყნებდნენ რამე ზომის ხლათის ოლქებს და იქნებოდნენ აღ-მაღაქ აღ-ავპალის შემწე მის მტრებთან ბრძოლებში.

საჭაროცვლის სამეცნისა და ხლათის თებიათების შერჩის დაღმტელი ზურ-განისაზღვრა 30 წლით (იმპ ვახილი, III:201; ამა შემა, 1974:75). ამ ზურის პირობების შევსება შევილება სომხეტი და კვრიპელი წარმოების მონაცემებით.

კრისალის განაცემა იუწყება, რომ თამთას ხლათში ჩასელის შემთხვევა ჭარისტ-ანთა ხევდრი (ათებაი) სულტანთა სამფლობელოებში შემსუბურება. ტარონის მხარეში ასებული მონაცემები განთავისუფლდა გადასასაღებისაგან — ზოგი სანახევროოდ, ზოგიც მოლანად. ებრძანა სულტანის ყველა ჰერებრდომს, რომ პატივით მოპტიმოდნენ იურუსალიმში სალოცავად მიმავალ ჭაროცვლებს, ისინი

40 პეტრის 606 წელს, რომელსაც ჰოვიერით არაბული წყარო იდენტურ მხარგრძელის დართვა-ების თარიღია ასაკებებს, 19 ასანი ას-სანი, ე. 1209 წ. 21 ოქტომბერი იყო თამაშითი დღე.

არ იძღვნენ გადასახადებს მათ ქალაქებში, თუთ იერუსალიმშიც (ვიპა. განპა-  
კეცი: 119–20). სომები მემატიანე ყოველივე ამას მიაწერს თამთას გადედოფულებას,  
მაგრამ თ. ანტირომევონის შენიშვნით ამ შემთხვევაში იგრძნება მხარეგრძელის ასულის  
როლი უზრუნველყოფით განვითარებულია. ჩამოთვლილ პრივილეგიები წარმარტვენ იც-  
და ათწლიანი ზავის პირობებს (ნაცრონიკი, ჯავახოძე, 1974, №2: 179, გვ. 67;  
ნაცრონიკი, 1978:53).

კიდევ ერთი პირობა აღნიშვნულია ევროპულ წყაროში. უაյ დე ვიტრი ქართველების დახასიათებისას წერს: "იხინი მემოდიან წმინდა ქალაქში (იერუსალიმში— გჯ.) გამლილი დღოშებით და არავის უზდიან ხარკებ. ხარკინოზები ვერ ძეგავნ მათს შეწუხებას, რამეთვ შინ დაბრუნებულთ შეუძლიათ შერი იძიონ თავის შეზობელ ხარკინოზებზე" (ვაჟ ღე ვიცტი: 84-5; ნაცრომელი, ჯაფარობე, 1974, №2:179).

მ. ბროსეს აზრით, ქართველებს ეს უფლება მიენიჭათ თამთას ხლათში გათხოვების შემდეგ (მრავე, 1895:181). ამავე დროის ნაშთად თველიდა აღნიშნულ პრივილეგიას ივ. ჯავახიშვილი (ჯავახიშვილი, 1985:303). თ. ნატროშვილის დასკვნით, უკა დე ვიტრის ამ ცნობაში საქართველოს „მეზობელ სარკინოზებად“ აშეკრად ნაგულისხმევია ხლათში გაბატონებულიყო აიუბიანები, ხოლო ქართველების საპატიო უფლება იერუსალიმში გაშლილი დროშებით შესვლაზე წარმოადგენს ოცდათწლიანი ზავის ერთ-ერთ პირობას.<sup>41</sup> (ნაცროშვილი, ჯავახიშვილი, 1974, №2:179). ქართველთა მოთხოვნით ხლათელები იძულებული შეიქმნენ აეშენებინათ ხლათის ციხეში ქართველებისათვის ეკლესია, სადაც ჩეკდა ზარი (იმზ ალ-ასირი, XII:452). და საერთოდ, საზავო პირობებით, როგორც ვხედავთ, საქართველოს სამეფო კარი გამოვიდა როგორც ქართველი, ისე არაერთველი ქრისტიანების მათ შორის სომები მონოფიზიტების) დამცველის, მათი უფლებებისა და უსაფრთხოების გარანტის როლში.

იმის შემდეგ, რაც ალ-ავადმა მიიღო ივანე მთაწელისაგან ფიც და დაიტოვა მძვლები, მან გაანთავისუფლა ქართველთა მხედართმთავარი. ეს მოხდა 610 წ. 12 ჭუმადა ალ-აბირას თვეში/1. XII. 1210 წ. (ამჟ შაშა, 1974:75). 30-წლანი ზავი ძალში შევიდა. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ხანგრძლივი დაზუბება არამუსლიმებთან იშვართი იყო ისლამური სამყაროს პრაქტიკში. მუსლიმ სამართლის ცოდნებთა თვალსაზრისით ყოველი ზავი არამუსლიმებთან განიხილებოდა როგორც დროიებითი და აზ უნდა გაგრძელებულყო 10 წელზე შეტა (Lewis, 1974:175; ის. აგრძელებული და გვ. 225). ჩანს, აუგიანები უაღრღესად იყვნენ დაინტერესებულნი საქართველოსთან ხანგრძლივი შევიცობის შენარჩუ-

<sup>41</sup> იგივე თვალსაზრისით თ.ნატროშვალისა და გ.ჭავჭავაძისის კოლექტურით წერილიდან მოტანილი და გაზიარებული აქტების სტრუქტურის სტატია, 1985: 149—50).

ნებით. აქედან გამომდინარეობს, კუიქტობო, 30-წლიანი ზაფის ის პუნქტები, რომლებიც ხელსაყრელი იყო საქართველოსთვის.

30-წლიანი ზაფის დასახული მოგზი საქართველოს სამეფოსა და ოუბიანთა სახელმწიფოს შორის ვანის ტბის რეგიონში, შეიჩინა საქართველოს წინისელა ამ შიძრაობულებით და გადაღო საქართველოს სამეფო კირის ახლოაღმისავლერი პოლიტიკის განხორციელების გვერდი. ამავე დროს მან ფაქტობრივად დასარულა აოუბიანთა ექსპანსიაც ჩრდილოეთის მიმართულებით. საღავა აღ-დინის დიდი ექსპანსიონისტური გვერდი მისი მემკვიდრეობისათვის ბოლომდე განუხორციელებელი დარჩის.

საღ გადობდა საზღვარი საქართველოს სამეფოსა და ხლათის ოუბიანთა სამფლობელოს შორის 1210 წ. შედეგი?

ეჭვი ას არის, რომ 1210 წ. ზაფის ქართველებმა დაომეს არჟუმი და მანასკერდი. მათ დაკარგეს სურმარტკრომელიც ხლათის ოუბიანთა ვასალი გახდა. ასეთან, ვასალურები ვალა შეკრიტისა და საქათორი, ბაგრევანდის თემის კუთხით ლების საყითხა. ვალა შეკრიტის სამხრეთით მდგრადი ბაგვანის ტაძრის წარწერა იუწყება, რომ ხლათიდან მომზრუნველ ზაფირია მსახურებელს უკიდა და ამ ტაძრისთვის შეეწირავს სოფ. ხომეტტაიერ და მისი მიწები (Orbelia, 1963ა:467; დაბრიაშვილი, 1975:153). თოთქოსდა ამ დროს ქართველებს ჭერ კიდევ მოუწვდებოდათ ხელი ბაგრევანდის სამხრეთზე.<sup>42</sup> მაგრამ ძნელი დასაშვებია, რომ ოუბიანებს 30-წლიანი ზაფის მათობის დაუთმოთ ეს მხარე, რომელიც უშეალოდ ვერადა ვანის ტბის სანაპიროებს.

1210 წ., კუიქტობო, საქართველოს სამეფომ დაკარგა ბაგრევანდი და ბუნებრივი საზღვარი ხლათის ოუბიანთა სამფლობელოსთან მდარეზე იქცა. ვალა შეკრიტის ხელახალი დაპყრობა (სურმარტისათან ერთად) მხოლოდ მოგვიანებით, მონალობა ეპოქური შეძლო შემცე მსახურებელმა (კირაკ. განმავევი: 167; ჭაბთაალ-მეჩრელი, ქც, II, 1959:212).

<sup>42</sup> პ.პეტრიშვილი, რომელიც ეძება XIII ს. ტამარების საქართველოს საზღვრებს, მითნაცხ. რომ ამ დროს ბაგრევანდი (რომლის კუნძულიც იყო ვალა შეკრიტი) შედიოდა საქართველოს სამეფოში და წარმოიადგინდა სამეფოდ დაპყრილ ასაკართული ტერიტორიების უკაფერებს სამხრეთ თემს (ბერძნოშვილი, 1966:61-63; ბერძნოშვილი, 1970:15; ბერძნოშვილი, 1979:71), მაგრამ მის შემდეგ მოტანილი საბუთობის (სტეფანის ოჩმელიანის ზეოთუასხაბელებული ცნობის ვარდა, რომელიც ამ შემთხვევაში აღარ გამოიყება) XIII ს. დამდევ ჟე აღმინდველია, ანდა უფრო გვიანდება. მკლევების აღნიშვნები, რომ გორგა ლაპე გარდა უკადა ბაგრევანდის ბაგაიანში, მაგრამ ეს არ შეეურება სინამდებობის. ლაპე გორგას-უჩინისტველი მემცრანე მიუთითებს, რომ როცა გიორგი ლაპე დასასმენდა ჩუქუღი მხეობელებინა პერგან-ზაპსევების. „გაუზეუნი მარგამ ქართლისა ურისთვის და ოუგ გორგა მეულ ბაგაემს მიეღადა გაბაკაზმად და მოცემად დასა მისისა“ (ქც, I, 1955:371). მკლევები აღმართება და მემატიის ეს ცნობა არეარა მოწოდებს, რომ სავარე ეძება არა ბაგრევანდის, ისამედ მარკონის ბაგაემს, რომელიც იგივე ბაქოა (ასკურნეა, 1983:149).

## 6. საპართველო და ხლათის აიუბიანები XIII ს. II ათასიაულები

აღ-მალიქ აღ-ავჭადს არ დასცალდა დიდხანს ეზეიმა 1210 წლის წარმატებით. ის იმავე წელს გულის ქრონიკული ავადმყოფობით გარდაიცვალა. ხლათის ჰარიანისა და აღ-გაზირის გამგებელი აღ-მალიქ აღ-აშრაფი მუსა დაუუფლა. მან ეს სულტან აღ-ადილის სანქციის გარეშე გააკეთა. განაწყენებული აღ-ადილი ხლათისკენ დაიძრა, მაგრამ აღ-აშრაფი წინააღმდეგობის გაწევის არ პირებდა. ის მიესხა მიმას, თავი გამართოლა: ხლათის იმიტომ დაუუფლე, რომ მეზობელ ხელმწიფებს არ დაესწროთოდ და მას მორჩილება აღუთქა. სულტანმა აღ-აშრაფს ხლათისა და მისი ოლქების გარდა ქრუპა და ქაპარიანი დაუტოვა, მაგრამ მაიაფარიკინი თავის სხვა ვაჟს შიპაბ აღ-დინ დაზის გადასცა (აღ-მადინი: 612-13).

აღ-აშრაფმა, იმდროინდელი ჩვეულების თანახმად, გარდაცვლილი ძმის ცოლი თამთა (აღ-ქურქიდა) შეირთო. ლომბიერი და ზომიერი პოლიტიკით მან აღგილობრივი მოსახლეობის სიმპათიები დამისახურა და შემდეგ შავ-არმენის ტიტულიც მიღო.

აღ-აშრაფის კარის პოეტმა მუპამად ბ.იუსუფ ბ.შაიბანმა მის აღზევებასთან დაკავშირებით ასე მიმართა ხლათის აიუბიან გამგებელს: "აღელდა ხორასანი, საფუძვლიანად შეირყა... და შენი შეზობლობით ქართველებიც კი მემინდნენ თბილისში" (აღ-ითნინი, III: 219). არაბულ სახოტბო პოეზიაში უზომო ქება ჩვეულებრივი ამბავია და გამონაკლისს არც მოტანილი სტრიფი წარმოადგენს, მაგრამ, საერთოდ, აღ-აშრაფი უდავოდ ენერგოული მმართველი იყო, ერთ-ერთი ყველაზე უნარიანი, ნიჭიერი და ძლიერი აღ-ადილის მემკვიდრეთა შორის (Humphreys, 1977: 131).

ქართველ ისტორიოგრაფიაში ზოგჯერ ხლათი საქართველოს ვასალად, მის მოხარე და ყმადნათუიც ჰკუნად არის წარმოლენილი (ინგოროვა, 1963ა:144; ინგოროვა, 1963გ:549-50; ინგოროვა, 1978:22, 78-81; 6.მეტმენიშვილი, 1973:84-5; მეტმენიშვილი, 1966:54; მეტმენიშვილი, 1970:143; ი.ხისარელიძე, 1967:21; რ.მეტრეველი, 1991:203,289). მინეულა, რომ 1210 წ. შემდეგაც ის „საქართველოს გავლენის სფეროდ ითვლებოდა“ (სცენამე, 1974:61; სცენამე, 1985ა:152). აღნიშნული თვალსაზრისის ემყარება მხოლოდ ქართველ მემატიანეთა ჩვენებას და არ ითვალისწინებს აიუბიანთა ისტორიის არაბულ წყაროებს. ეს წყაროები კი ამგვრი დასკვნისთვის არავითარ საფუძველს არ იძლევა.

ხლათის აიუბიანთა სამფლობელო (მას ვერ კუწოდებთ სამიროს და მით უმეტეს, გრუც სასულტნოს) აიუბიანთა იმპერიის (ჩომელსაც ფედერაციულ, ან კანცელირაციულ სახელმწიფოსაც უწოდებენ) (Семенова, 1966:27; Humphreys, 1977:41 და შმდ.). ჩრდილოეთ ფორპოსტს წარმოადგენდა. ხლათის, ჩრდილოეთ მესოპოტამიისა და სირიის აიუბიანი გამგებლები (მულუქ) სარგებ-

ლობდნენ საშინაო ავტონომიით. თითოეულს ჰქონდა საკუთარი ავტონომიური აღმნისტრაციული სისტემა. ამავე დროს ისინი აღიარებდნენ ევგიპტის აიუბიანი სულტანის უზენაესობას და ვალდებული იყვნენ გამოხატათ ერთგულება და ვასალური დამოკიდებულება ხუტბითა და სიქით. მათ სულტანის მოთხოვნით გამოსყავდთ ლაშქარი და საჭიროების შემთხვევაში შეპქნდათ ფული ცენტრალურ ხაზინაში. უთანხმოების შემთხვევაშიც კი, გარეშე საფრთხის (ჯვარის სწობი, მცირე აზის სელჩუკები...) დროს, აიუბიანები, ჩვეულებრივ, გაერთიანებული ძალებით გამოილოდნენ და ურთიერთობა ცალკეულ აიუბიან გამგებელთან, მათ შორის ხლათის მელობელთანაც, იყო ურთიერთობა აიუბიანთა ძლიერ სახელმწიფოსთან, რომლის ერთობაც ურყევი რჩებოდა აღ-ადილის (1200—1218) სიცოცხლეში.

მას შემდეგ, რაც 1210 წ. საქართველოსა და ხლათის აიუბიანებს შორის "დამყარდა მშვიდობა და მეგობრობა" (კირაკ. განმავევი: 120), აღ-აშრაფს ჰქონდა საშუალება მნიშვნელოვნად გაეფართოვებინა თავისი სამფლობელოს საზღვრები ჩრდილოეთ სირიისა და ჩრდილოეთ მესოპოტამიის სხვა წვირილი გამგებლების ხარჯზე. მისი პრიუტეტორატი განდა ქალაბი. იმან ვასილის თანამშად, ხლათის ქვეყანაში, რომელიც თავისი მნიშვნელობით ევგიპტეს უახლოვდებოდა, 70 ქალაქი იყო (იმან ვახსილი, III: 182; იმან ვახსილი, V: 122). აღ-აშრაფს, ხლათის გარდა, ევფენიოდა პარტანი, რუპა, ბილისი, ვანი, მუში, მანასკრტი და სხვ. მისი გავლენის სფეროში მდ.არაზზე შედიოდა სურმათის სამიროც.

აღ-აშრაფი წარმატებით უპირისიპირდებოდა რუშის სელჩუკთა მოძალებას. 1218 წ. მან ივლისში სასტიკად დაამარცხა სელჩუკთა სულტანის ქაი-ქაუსის ლაშქარი მანბიჯთან და პირებდა შეჭრილოყო ანატოლიაშიც (Humphreys, 1977:160), მაგრამ აღ-ადილის სიკვდილმა ხელი შეუშალა მას.

აღ-ადილის სიკვდილის (1218 წ.) შემდეგ აიუბიანთა სახელმწიფო ფაქტობრივად მისმა ვაჟებმა გაიყვეს. აღ-მალიქ ალ ქამილს, რომელიც გამოხადა სულტანად, ერგო ევგიპტე, აღ-მალიქ აღ-მუაზზამ 'ისას — პალესტინა, ტრანსიორდანია და ცენტრალური სირია და აღ-მალიქ აღ-აშრაფ მუსას — ჩრდილოეთ სირია და აღ-ჯიზირა (Humphreys, 1977:161). რა თქმა უნდა, იყვნენ სხვა გამგებლებიც, მაგრამ ისინი სხვადასხვა ფორმით ამ სამშე იყვნენ დამოკიდებულნი.

XIII ს. II თუ ლუულში არაბული წყაროები, რომლებიც საქმაოდ დაწვრილებით მოგვითხრობენ აიუბიანთა ისტორიას, არ იხსენიებენ რაიმე სამხედრო კონფლიქტს საქართველოს სამეფოსა და ხლათს შორის. ამდენად, მითოთებები ასეთი შეტაკებებისა და მათში ქართველთა გამარჯვებების შესახებ 1211, 1216-17 თუ 1219 წლებში (ჯავახსივილი, 1966:13; ინგოროვა, 1978:78; გარჩაშვილი, 1975:154; სცენაძე, 1985ა:154; მაღრიძე, 1979გ:341; მაღრიძე, 1984ა:139) არ დასტურდება (ის. ნაფრობელი, ჯავახიძე, 1974, №2: 80-81).

საქართველოს მეზობელ მუსლიმ გამგებელთა შორის აღ-აშრაფი ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი იყო. ეს იყო პიროვნება, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა იმდროინდელი მხალობელი აღმისავლეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში და წარმართავდა ამ რეგიონის პოლიტიკას.

აიუბიანები, რომელიც ჩრდილოეთ-დასავლეთით რუმის სახულტნის უპირისპირდებოდნენ, დაინტერესებულნი იყვნენ საქართველოსთვის კარგი ურთიერთობების შენარჩუნებით. სწორედ კეთილმეზობლობის ნიშნად, სულტან აღ-ადილს საქართველოს მეფისთვის ევფიპტიდან 1213 წ. ივნისში საჩუქრად სპილოც კი გაუგზავნია, რამაც მოსახლეობის გაოცება და აღტაცება გამოიწვია (აშე შამა, 1974:83; იმ დასირი, XIII:65). მსგავსი ძვირფასი (და ეგზოტიკური) საჩუქრების გაგზავნა ორივე მხრიდან, ვლიერობთ, ჩვეულებრივი ამბავი იქნებოდა, მაგრამ არაბულ წყაროებში არა გვაქვს ცნობა, რომელიც საქართველოზე ხლათის აიუბიანთა სამფლობელოს რაიმე ფორმით დამოკიდებულებაზე მიგვანიშნებდა.

ხლათი საქართველოს მხრიდან უშიშროების გარანტიის აძლევდა ის, რომ აქ დედოფლად საქართველოს მხედართმთავრის იგანე მხარგრძელის ასული იყდა, მაგრამ ახალგაზრდა და ენერგიული გიორგი ლაშა, რომლის ზეობის წლებშიც აზერბაიჯანის ათაბაგთა წინააღმდეგ ბრძოლა დასრულდა სივინიეთის მნიშვნელოვანი ნაწილის შემოერთებით<sup>43</sup>, საფიქრებელია, სამუდამოდ ვერ შეურიცდებოდა თავისი სამეფოს საზღვრებთან, სომხერ ტერიტორიებზე, აუბიანთა ბატონობას და ხელსაყრელ პირობებში შეეცდებოდა 30-წლიანი ზავის დარღვევას. ასეთი პირობები შეიქმნა მხეუთე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს, რის შესახებაც ჭკვმოთ გვექნება საუბარი.

43 კერძოდ, ქართველებმა აიღეს ოროტნი, ბოროტნი, ბლენი და ბარაკუშტი (ვარდანი: 172-3; სტ. ორბელიანი, 1864: 222; სტ. ორბელიანი, 1978: 55; Brosset, 1851:301; ჯავახიშვილი, 1966: 12-13; ბადრიძე, 1979: 340-41; სტეფანაძე, 1985: 154).

## თავი ეთოთხა

# საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო მონიტორი და ხელაზმელთა უმომღვაცების პერიოდზე (XIII ს. 20-30-იანი წლები)

გიორგი ლაშას ზეობის წლებში საქართველოს სამეფო ევროპელ ჯვაროსანთა ფურადღების ცენტრში მოექცა. მახლობელ აღმოსავლეთში, სირია-პალესტინის ფრთხონტებზე ჯვაროსანთა მთავარი შეტოვე აიტბიანთა სახელმწიფო ოყო. ძლიერი საქართველო, რომელიც აიუბიანებს ჩრდილოეთიდან ესაზღვრებოდა, ჯვაროსანებს სასურველ მოკავშირედ ესახებოდათ. ლათინთა დიდი ინტერესი საქართველოს მიმართ ჩანს ფრანგი რანდის დე ბუას ცნობილ წერილში, რომელშიც გარდაისახა 1210წ. ქართველთა სამხედრო კამპანია ხლათის წინააღმდეგ (ნაცრობილი, ჯაფარტიბი, 1974, №2:169 და შედ; ნაცრობილი, 1978:40-61). 1211წ. პაპი ინოკუნტი III ქართველთა შეფეს წმინდა მიწის დასაცავად მოუწოდებდა (Grousset, 1936: 231, შენ. 2; ნაცრობილი, ჯაფარტიბი, 1974, №2: 188). იმედის თვალით უყურებდნენ ევროპელები საქართველოს მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის დროსაც (შადრიბი, 1984ა:139), რომელიც 1217 წ. დაიწყო.

1218 წ. ჯვაროსნები ევვიპტეში გადასხდნენ და ალყა შემოარტყეს ალექსანდრიის მეტოვე ციხე-ქალაქ დამიეტას, რომელიც ნილონის დელტის ერთ-ერთ ტოტზე მდებარეობდა და ეგვიპტის გასაღებად ითვლებოდა. გარემოცვა წელიწადნახევარი გაგრძელდა. აიუბიანთა ახლობა სულტანმა ალ-ჯამილმა (ალ-ადილი დამიეტას ალყის დროს გარდაიცვალა) ჯვაროსნებს დამიეტას ნაცვლად იქრუსალიმი შესთავაზია, მაგრამ უარი მიიღო. სულტანმა ახლა დასახმარებლად თავისი ძმები იხმო. მის მოწოდებას პირველად გამოეხმაურა დამასკოს გამგებელი ალ-მუ'აზზამი. სწორედ მისი ბრძანებით 1219 წ. მარტში დაანგრიეს პალესტინის ძლიერი ციხები და იქრუსალიმის მტკიცე გალავანი, რადგანაც ჯვაროსანთა შეტევის შემთხვევაში მათი დაცვა შეუძლებელი იქნებოდა (Заборов, 1980: 260; Runciman, III, 1954:152 და შედ. Cleve van, 1969ა:411-412; Humphreys, 1977:163-64; ნაცრობილი, 1974მ:35; შადრიბი, 1979ა:341).

როდესაც იქრუსალიმის კედლების ნგრევა დაიწყეს, მოსახლეობა პანიკაში მოიცავა. ბევრმა მათგანმა ქალაქი დატოვა. უბატრიონოდ მიტოვებული სახლები მეომრებმა დაუჩინეს და დაწვეს. ფანატიკოსებს სურდათ წმინდა საფლავის ტაძ-

რის დაწვაც, მაგრამ ალ-მუ-აზზამმა მის ნება არ დართო (*Runciman, III*, 1954:158). როგორც ჩანს, ამ დროს შეილახა ქრისტიანთა, მათ შორის ქართველთა სამონასტრო ოტმის უფლებები და ინტერესები. აქედან გასაცემი ხდება უკა დე კოტრის ცნობა, რომ ქართველები ძალზე აღმფითებულან მის გამო, რომ დამასკოს გამგებელმა (რომელსაც ის კრისათინუს უწოდებს) დაანგრია იერუსალიმის კედლები მათი სურვილის გარეშე იმ დროს, როცა ლათინებს გარემოცული ჰქონდათ დამიერა და მუქარა შეუთვალეს მას (ავ. ღ ჯიცრი: 83-4; ნაცრობილი, 1974:37).

1219 წ. ნოემბერში დამიერა დაეცა. პაპის ლეგატი პელაგიუსი მოითხოვდა საომარი ოპერაციების გადატანას ნილოსის დაბლობზე. ამასთან, პელაგიუსი პაპის სახელით ქრისტიან ხელმწიფებს დახმარებისკენ მოუწოდებდა. პაპ ონორე III-სადმი გაგზავნილი რუსუდანის წერილი ვიზენების, რომ პელაგიუსისგან ვიზენგი ლაშასაც მიუღია პაპის „დიდებული რჩევა და ბრძანება“, რათა ის ქრისტიანების დასახმარებლად წასულიყო<sup>1</sup> (თამარაშვილი, 1902:7; ფამალუ, 1984:176). ვენეციული ისტორიკოსი მარინო სანუტრი იუწყება, რომ ჯვაროსანთა მიერ დამიერას აღებამ აღაფრითოვანა ქართველები, რომლებმაც გადაწყვიტეს, რაც შეიძლება დიდი წვლილი შეეტანათ ჭვარისანულ ლაშებრიბში, სახელდობრ — აელოთ დამისკო (ნაცრობილი, 1974 მ:37). ანალოგიურ ცნობას გვაწვდის ოლივერუსი, რომელსაც იმაწმებს ჭდონოვანი ქართველები აპირებდნენ შეეტათ დამასკოსათვის ან მუსლიმთა სხვა რომელიმე სამულობელოსათვის (Donovan, 1950:74). ამ შემთხვევაში პირველი დარტყმა უნდა მიეღო ხლათის აიუბიანთა სამფლობელოს, რაც დამატებით სინერელებს შეუქმნიდა აიუბიანთა სახელმწიფოს. თითქოსდა იქმნებოდა რეალური პირობები საქართველოს ახლომდენოსავლური პოლიტიკის (ირანიდან ლევანტისკენ მიმავალი დიდი სავაჭრო გზების დაუფლების) რეალიზაციისა, მაგრამ საქართველოს სამფლონო კარის გეგმები შეცვალა მონოლოგიულნების გამოწერამ ამიერკავკასიაში.

## 1. საქართველო, ხლათის აიუბიანთა სამფლონებლო და არზრების საამირო XIII ს. 20-იანი წლების დასაწყისში.

გონილთა პირველი უეპოსევები და გიორგი ლაშას ცდა ანტიკონლობი კოალიციის შედერისა

1220 წ. ჩინგიზ-ხანის სარდლებმა ჯებე-ნოინმა და სუბუდაი-ბალათურმა, რომლებიც სამარყანდიდან ლტოლვილ ხერაზე-შაჲ მუპამიაც (1200—1220) მისდევდნენ, 30-ათასი მხედრით ხორასანი და სპარსეთის ქრისტი (ჯიბალი) გადაჭინდნენ და გამოწერამ ამიერკავკასიაში.

<sup>1</sup> ქართულ ისტორიოგრაფიაში ზოგჯერ საქე ისეა წარმოდგენილი, რომ ამ შემთხვევაში ჭვარისანთა და ქართველთა საერთო მტერი იყო თურქ-სელჩუკები, რომელიც ორივე მარეს უქმნიდნენ საერთოს (ი.ბერძე, 1966:57). სინადგვილები, გორგა ლაშას დროს საქართველოს და ჭვარისანთა შესაძლებელი სამხედრო კავშირი მიმართული იქნებოდა აიუბიანთა წინააღმდეგ.

რეს. ომით თუ უომრად, გზად მრავალი ქალაქი აიღეს. ნებით დამორჩილებულთ დრიდი გმირსახყიდი დააკისრეს, ხოლო იქ, სადაც წინააღმდეგობას წაწყდნენ, ქვა-ქაზე არ დატოვეს.

1220 წ. დეკემბერში მონღოლთა ლაშქარი აზერბაიჯანის ათაბაგთა სატახტო ქალაქს თავრისს მიადგა. ათაბაგ უზბეგს (1210—1225) ბრძოლის ძალა არ შესწევდა. მან მონღოლებს მორჩილება აღუთქვა, ცხენები, ტანისამოსი და ფული მისცა და კასპის ზღვის სანაპიროსკენ გაუსხსნა გზა (იმპ. ალ-ახირი, XII:374).

გზად მონღოლებს მოუხდათ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა, რომელიც არეს გასცევდა (კინაძე, 1979:533) და იქ მოხდა ის, რაც, აღმათ, მათ გვემბეში არ შედიოდა. ჭებესა და სუბადის თავიანთი ძლევამოსილი მსველელობის მანძილზე, პირველად დახვდა არა ციხე-ქალაქებს თავშეფარებული, დემორალიზებული მოსახლეობა, არამედ ორგანიზებული სამხედრო ძალა. ქართველთა 10-ათასიანი ლაშქარი მონღოლებს შეეგება და ბრძოლა გაუმართა (იმპ. ალ-ახირი, XII:375; სილაგაძე, 1966:130; კინაძე, 1979:533).

ქართველები დამარცხდნენ, მაგრამ მონღოლებმაც იგრძნეს, რომ სერიოზული მოწინააღმდეგ გმირუჩნდათ. ისინი ჰკუნის სილამწი აღარ შესულან და მუდანს მიაშერეს გამოსაზამთრებლად.

ბრძოლებში გამოწრითობილი მონღოლთა 30-ათასიანი ლაშქარი მრისხანე მტრის წარმოადგენდა და მასთან ომი ძალების სრულ მობილიზაციას მოითხოვდა. პირველი მარცხის შემდეგ გიორგი ლაშამ რეალურად შეაფასა მონღოლთა საფრთხე და დიდი ანტიმონღოლერი კოალიციის შეკრის გეგმა დასახა. მის შესახებ მოგვითხრობს იმპ. ალ-ახირი. მისი ცნობით, ქართველებმა დაზავება და მონღოლთა წინააღმდეგ კავშირი შესთავაზეს აზერბაიჯანისა და არჩანის ათაბაგ უზბეგს. ათაბაგმა ეს წინააღმდეგ მიიღო და ისინი შეთანხმდნენ, რომ გერთიან-დებოდნენ ზამთრის დასრულებისთანავე (იმპ. ალ-ახირი, XII:375; სილაგაძე, 1966:132).

მონღოლთა წინააღმდეგ კავშირი ქართველებს უთხოვიათ ხლათისა და ალ-ჯაზირას მფლობელისათვის ალ-მალიქ ალ-აშრაფისთვისაც. ისინი ყველანი (ჯა-მი-უცემ) ფიქრობდნენ, რომ თათრები მოიცდიდნენ ზამთარში — გაზაფხულადე, მაგრამ თათრები ასე არ მოიქცნენ და დაიძრნენ ქართველთა ჰკუნისაკენ (იმპ. ალ-ახირი, XII: 375; სილაგაძე, 1966:132-33). მეორე ბრძოლა, რომელიც 1220 წ. დეკემბრის ბოლო რიცხვებში ან 1221 წ. იანვარში მოხდა, კვლავ მონღოლთა გამარჯვებით დასრულდა.

ზამთრის მიწურულსამდე მონღოლთა მოულოდნელი გამოლაშეჩება ქართველებზე საფუძველს აძლევს მკლევარებს ივარაუდონ, რომ მტერმა შეიტყო მოსალოდნელი კოალიციის შესახებ და დაასწრო მოკავშირებს (ცინგაძე, 1960:119, 121; სილაგაძე, 1966:132; კინაძე, 1979:533). მავე დროს ცნობილია, რომ ათაბაგ უზბეგის ერთ-ერთმა მამლუქმა აკეშმა მონღოლების მხარე დაიჭირა და დიდი როლი ითამაშა ქართველთა დამარცხებაში. ქართველებისა და მათი

მოკავშირუების სამშალისის ამბავი თითქოს მას უნდა ემცნო მონღოლუბისათვის (ცინ-ამჟ, 1971:121; სილაგამჟ, 1966:133; კვნამჟ, 1979:534; *Буниятov*, 1978:115).

მაგრამ ანტიმონღოლური კალიფის ჩაშლის მიზეზი მარტო აკუშის ღალატი არ ყოფილა. აქ თავისი როლი ითამაშა ალ-აშრაფის პოზიციამ, რის შესახებაც იბნ ალ-ასირი თავისი თხზულების სხვა აღილზე, პირის 617/1220-21 წ. ამბებში მოგვითხრობს. არაბი მემატიანე ოუწყება, რომ "ქართველებმა, როგა თათრებმა მათ ქვეყანაზე იღაშერებს, დაამარცხეს იხინი, მოაოხრეს ქვეყანა და მრავალი მისი მცხოვრები გაელიტებს, გაუგზავნებს [მოციქული] პატრია-იჯანისა და არრანის მფლობელს უზბეგს და ხთხოვებს მას ზავი და გავშირი თათართა მოხაგერიებლად. ამავე მიზნით მათ გაუგზავნებს [მოციქულები] პატ-მალიქ ალ-აშრაფს და შეუთვალებს: თუ კი არ შევთანხმდებით ამ ზალხის წინააღმდეგ საბრძოლველად და ჩვენი ქვეყნიდან მათ უკუსა-გდებად, თუ კი არ მოჩავალთ თქვენ, თქვენი ლაშერითურთ ამ მნიშვნე-ლოვანი საქმისთვის [იცოდეთ], ჩვენ თვითონ შევუთანხმდებით მათ თქვენს წინააღმდეგ" (იმდ. ალ-ასირი, XII:399).

ქართველთა ელჩები ალ-აშრაფთან სწორედ მაშინ მისულან, როცა ის ფრა-ნკების, ე.ი. ჯვაროსნების წინააღმდეგ ეგვაპტუში გასამგზავრებლად ემზადებოდა. ხლათის გამგებელი გმირებმაურა სულტან ალ-ქამილის მოწოდებას შეერთებოდა მას ჯვაროსნანთა წინააღმდეგ საბრძოლველად ამ დროისათვის ჯვაროსნებს უკვე აღებული ჰქონდათ დამიეტა და უშუალოდ ემუქრებოდნენ დედაქალაქ კაირის.

ალ-აშრაფმა საქართველოს სამეფო ქარის წინადადება მოკავშირებაზე არ მიიღო. მან ქართველთა ელჩების ეგვაპტუში თავისი გამგზავრების აუცილებლობა დაუსაბუთა და საამისოდ რამდენიმე არგუმენტი მოიტანა:

პირველი ფრანგების მეტე დამიეტას აღება და ლამის ეგვაპტის დაყრიცხაც იყო. ეგვაპტეც რომ დაიყრონ, მაშინ სირიასა და სხვა ქვეყნებში აიტანებს ძალაუფლება აღარ შეწიებათ.

მეორე არგუმენტი თათრებთან შედარებით ფრანგების დაუკეტლობა იყო. მათ აუტიანთა სახელმწიფოს დაპყრობა სურთ და საკარისისა ერთ სოფელს დაეუფლონ, რომ მეტე აღარ დატოვებენ, ვიდრე მისი დაცვა შეუძლიათ თუნდაც ერთი დღეო.

და ბოლოს, განაცხადა ალ-აშრაფმა, ფრანგებს სურთ დაეუფლონ ალ-‘ადი-ლის სახლის სახელმწიფო ტახტს — ეგვაპტეს. თათრებს კი ჯერ არ მიუღწევიათ მასთან, არ გადაულიახვავთ მისი საზღვრები. მათ არც ამ სამეფოში შეცილების სურვილი აქვთ. თათრების მიზანია მხოლოდ ძარცვა, ხოცვა, ქვეყნების აოხრება და ერთი ქვეყნიდან მეორეში გადანაცვლება.

უკანასკნელი იმედი რომ არ გადაეწურა, ალ-აშრაფმა ქართველთა ელჩები ასე დაამშვეიდა: ხლათის ოლქი მე ჩემს ძმის მივეცი სამფლობელოდ (იგტა), გამოვგზავნი აქ, რომ თქვენთან ახლოს იყოს, დაფუტოვებ მას ჯარებს და როცა

დაგჭირდებათ, ის დაგეხმარებათ თაორების წინააღმდევო (იმ აღ-ასირი, XII:399; ჯაფარიშვილი, 1984გ:149-50).

აღ-აშრაფის, მახლობელი და შეუა აღმოსავლეთის ბევრი სხვა მუსლიმი გამგებლის მსგავსად, მონღოლთა შემოსევები დროებით და წარმავალ მოვლენად მიაჩინდა. მონღოლები ჯერ კიდევ არ ემუქრებოდნენ აუგიანთა სახეობისიც და ძნელი იყო იმის წარმოდგენაც კი, რომ ახლო მომავალში ისინი შეძლებდნენ ხლათის, თუ აუგიანთა სხვა სამულობელოების დაპყრობას.

აღ-აშრაფის პოზიცია აიუბიანთა ინტერესებს ასახავდა. ეგვიპტის წინააღმდევ მიმართული შეხუთე ჯარისანული ლაშქრობა უფრო საშიში ჩანდა. აღ-აშრაფის ჩარევამ და, სერთოდ, აიუბიანთა ძალების გაერთიანებამ ამ ლაშქრობის გარები განაპირობა. ჯარისანთა წინააღმდევ ბრძოლის საბაძოთვე ხლათის მფლობელია თავაზიანად უკრყო თვით ხალიფა ან-ნასირის (1180—1225) ოხოვნაც, მავსილისა და ირბილის გამგებლებთან ერთად დახმარებოდა მას ბაღდადზე მონღოლთა მოსალოდნელი ლაშქრობის შემთხვევაში (იმ აღ-ასირი, XII:378-79).

ხლათის გამგებელია საქმაოდ დააგვინა ეგვიპტეში გამგზავრება. მის დაყოვნებასა და ყოველან მკვლევარები ქართული ფექტორით ხსნიან. თ.ნატროშვილი მიიჩნევს, რომ ეგვიპტეში აღ-აშრაფის წასვლა მთლიანად გაუხსნიდა გზას დამასკოსკენ ქართულ მხედრობას (ნაცროშვილი, 1974 გ:38). უ. რიშარი კი წერს: „აღ-აშრაფის სამეფოზე ქართველთა დაწოლა იყო უეკველად ის მიზეზი, რომელმაც ხელი შეუშალა მას ეფუძნებული დახმარება აღმოერთინა აღ-ქამილისათვის ეგვიპტეში 1221 წლამდე“ (Richard, 1979:296). ჯარისანთა შეხუთე ლაშქრობის დროს ხლათის აიუბიანთა გამგებლის წინაშე ქართველთა გამოლაშქრების საფრთხე რეალურად იკვეთებოდა. ამდენად, მისთვის ხელსაყრელიც კი იყო საქართველოში მონღოლთა შეჭრა. აღ-აშრაფისთვის ბუნებრივია, რომ სასურველი იქნებოდა თავისი სამულობელოს ზურგში მონღოლებთან ბრძოლებში დამარცხებული და დასუსტებული და არა გამარჯვებული და ძლიერი საქართველოს დატოვება.

აღ-აშრაფმა მართლაც გადასცა ხლათის შხარე თავის ძმის შიპაბ აღ-დინ ღაზის.<sup>2</sup> მაგრამ ეს მოხდა პირის 617 წ. დასასრულს, ხალლ ღაზი ხლათში 618 წ. დასაწყისში ჩავიდა (იმ აღ-ასირი, XII:398). ეს ამბები 1221 წ. თებერვალ-მარტით თარიღდება. ამ დროისათვის ქართველები უკვე კარგა ხნის დამარცხებულნი

<sup>2</sup> აქვე აღნიშნავთ, რომ შიპაბ აღ-დინ ღაზის შშარელებით ხლათის შხარეში დიდანს არ გაგრძელებულა. დამისკოს გამგებლის აღ-მუ'აშზამის შხარდაპერით 1224 წ. გაზაფხულზე ის აუგანყდა აღ-აშრაფს. აღ-აშრაფის რეაქცია სწრაფი და უშეცდომი იყო. მისი თხოვებით სულტანმა აღ-ქამილმა მოახდინა აღ-მუ'აშზამის ბლოკირება. პალაბისა და მავსილის სამხედრო კონტაგირებით აღ-აშრაფი ხლათს მიიდგა და დამზრუციცა მის პრეტენზიების უსაფუძლელობა. 1 ივლისს მან დაიბრუნა ხლათი, მაგრამ მას ბოლომდე არ გაწირა და მას სამულობელოდ მათავარი იყონ უბრაზ (იმ აღ-ასირი, XII: 422-23; Humphreys, 1977:173-75).

იყვნენ მონლოლუბთან მეორე შეტაკებაში. აუბიანთა ძალებს გიორგი ლაშისთვის არც მონლოლუბთან მესამე შეტაკებაში აღმოაუჩენიათ დაბმარება.

ამრიგად, საქართველოს სამეფო კარის ცდაში, ისტორიაში პირველად დიდი და ძლიერი ანტიმონლოლუბი კოალიცია შევერა მუსლიმი გამგებლების მონაწილეობით, შედგე არ გამოიღო. მეზობელი სახელმწიფო ბიბინ გიორგი ლაშის მოწოდებას გამოეხმაურა მხოლოდ საქართველოს ვასალი, არზრუმის ამირა მულის ად-დინ ტულრილ-შაპი (ლაშა გიორგის-გრაიინდელი მემაფიანი, დც, I, 1955: 370; 'ამდ ალ-ლაფიფ ალ-მაღდაბი: 126; ჯაფარიძე, 1980:135), მაგრამ ეს, ისევე როგორც საქართველოს სამეფოს საკუთარი ძალები, საქმარისი არ აღმოჩნდა მონლოლთა დასამარტინებლად. მიუხედავად ამისა, სერიოზულმა წინააღმდეგობამ და გიორგი ლაშის დიპლომატიურმა (თუნდაც წარუმატებელმა) ღონისძიებებმა მაანც გამოიღო თავისი შედეგი. მონლოლუბმა ვერ შეძლეს აეღოთ ვერცერთი გამაგრებული ციხე-ქალაქი საქართველოში. 1221 წ. მიწურულში კი, მას შემდეგ რაც მესამედ დაამარტიქეს ქართველუბი, მათ მოახერქეს შარვანი, გადაჭრუს დარუბანდი და დატოვეს ამიერკავკასია.

აიუბიანთა და ბაგრატიონთა დამოუკრების ცდა. რუსულანის  
გათხოვება არზრუმის აპირას პაზუ

ლაშა გიორგის-დროინდელმა მემატიანემ შემოგვინახა საინტერესო ცნობა იმის თაობაზე, რომ აიუბიანებს სურდათ დინასტიური ქორწინებით დანათესავებოდნენ ბაგრატიონთა საგვარეულოს. მონლოლთა წასელის შემდეგ, აღბათ 1221 წ. მიწურულს "რუსუდან ითხოვეს ხლათხა დასასმელად დიდმან სულტანმან მელიქმან, რომელსა ეგვარტით ვიდრე ხლათამდის სპარსეთი ჰეონდა" (დც, I, 1955:371).

დიდი სულტანი მელიქი აიუბიანთა სულტანი ალ-ჯალიქ ალ-ქამილია. ის შუამდგომლობდა, რათა რუსულანი შეერთო შეძაბ ად-დინ ლაზის, რომელიც ალ-აშრაფია თავის მემკვიდრედ გამოაცხადა. ამ გზით აიუბიანები ცდილობდნენ მიაღწიათ საქართველოს საბოლოო ნერტრალიზაციისათვის და განერტყიცებინათ თავიანთა სახელმწიფოს ჩრდილოეთი საზღვრების უსაფრთხოება, მაგრამ საქართველოს სამეფო კარისთვის ეს ჰეორწინება ნიშანვდა, უახლოეს მომავალში მაანც, უარის თქმის ხლათისათვის ბრძოლაზე. პლიტიკური მოტივი, შესაძლოა, გადამწყვეტი აღმოჩნდა იმისთვის, რომ აიუბიანთა და ბაგრატიონთა დამოუკრების ცდა საშლილიყო. <sup>3</sup> ქართველი მემატიანის ლაკონიური შენიშვნით "დაშალა მოწყა-

<sup>3</sup> შეიძლება არსებობდა პირადული მოტივიც. მიუხედავად იმისა, რომ ალ-აშრაფი ვევრის გაემგზავრა, ხლათში დედოფლად ჩექონდა თმითა. ის ხლათში იყდა ამ კალაქის ხვარაზებულთა მიერ გარემოცვის დროსაც (იხ. ქემოთ, გვ.188,190). რუსუდანისთვის, თმაბარის საშლილისთვის, ალბათ მიუღებელი იქნებოდა, რომ ხლათში ყოფილიყო არა პირველი კალბატრინი, არამედ ალ-აშრაფის ვასალის, თუნდაც მისი ძმისა და მემკვიდრის შეუდლე.

ლებაშან დმრთისაშან და არ ყო ესრე" (ძც, I, 1955:371). სამაგიეროდ, ბაგრა-ტონები დანასტური ქორწინებით დაუნათესავდნენ მცირე აზიის სელჩუკიანთა საგვარეულოს.

გიორგი ლაშას სიკვდილის (18.I. 1223 წ.) შემდეგ, პირის 620/4. II. 1223 – 23. I. 1224 წ. რუსუდანი დაქორწინდა აზიზუმის მირას მუღის ად-დინ ტულ-რილ-შაჰის (ყილიჩ-აზისლან II-ის შვილისა და რუქ ად-დინ სულამიძ-შაჰის ძმის) ვაჟზე. უძმთააღმწერლის თანახმად, ის ფრ კიდევ ქორწინებიდან საქართველოში "მოყვანა მეფება... რუსუდანს... მძევლად ერთგულობისათვის". შემდეგ "ხთნდა მეფება რუსუდანს და ინება ქმრად მოყვანება მისი, რომელი ადასრულადა" (ძც, II, 1959:172). 'აბდ ალ-ლატიფ ალ-ბალდადის ცნობითაც ინიციატივა რუსუდანისან მომდინარეობდა, ინ ალ-ასირი კი წერს, რომ ეს მუღის ად-დინმა შესთავაზია ქართველებს თავისი ვაჟის კანდიდატურა "რათა თავიდან აეცილებინა ქართველთა ბოროტება" და ვინაიდან მუსლიმი ქიისტანული საქართველოს მეფე ფრ გახდებოდა, გააქრისტიანა ის ('აბდ ალ-ლატიფ ალ-შარდადი: 126; იმან ალ-ასირი, XII:417). ეს აბდავი საქმიოდ გახმაურდა და საგანგაშო გახდა ისლამურ სამყაროში (მუსლიმური სამართალი, სერიოდ, სიკვდილს უსჭის იმ მუსლიმს, რომელიც რჯულს უღალატებს). ინ ალ-ასირი უაღრესად გაღიზიანებულია მ ქორწინებით და უწიოდებს მას "უცხო ამბავს, რომლის შეგავსიც არ მოიძიება" (იმან ალ-ასირი, XII: 416; ჯაფარიძე, 1993 ქ.).

ზ. ბუნიატოვი აღნიშნავს, რომ აზიზუმელი უფლისწულის სახელი იყო დაუდი და ამასთან დაკავშირებით იმოწმებს ინ ბიბის თხზულებას (Буниятov, 1973:373; Буниятov, 1982:163-64, შე. 15), მაგრამ ეს მემატიანე საერთოდ არ ისტენებს რუსუდანის ქმრის სახელს და მხოლოდ იმას წერს, რომ რუსუდანის ასული (თამარი, იგივე გურგი-ხათუნი) იყო "ხელჩუგთა თეხლი, დავითის მოდგმა" (იმან მიმი: 177). "დავითის მოდგმა" მიგვანიშნებს არა მამის სახელზე, არამედ ბაგრატიონთა წარმომავლობაზე, რომელსაც ქართული ტრადიცია დავით წინასწარმეტყველს უკავშირებდა (ლორთვიდანიძე, 1966:145; ლორთვიდანიძე, 1992). სერიოდ, რუსუდანის ქმრის სახელს არ ისტენებენ თანამედროვე არაბი ისტორიკოსები ("აბდ ალ-ლატიფ ალ-ბალდადი, ინ ალ-ასირი"), რომლებიც საქმიოდ დაწვრილებით ეხებიან მის ქორწინებას. რუსუდანის ქმრის სახელი „დავითწყდა" ქართველ უძმთააღმწერლსაც, რომელმაც, ამასთან, ავგიწერა მისი გარეგნობა ("ქმნელ-გეთოლი... მუენიერ-გუამითა, მკნე და ძლიერი ძალითა" (ძც, II, 1959:172). ეს შემთხვევით არ უნდა იყოს. ქართველებმა ის ათევ-ლწუნეს ჯალალ ად-დინის შემოსევის დროს ჩადენილი ღალატის გამო. მუსლიმებმა მას არ აპატიეს რჯულის დაგდება, მაგრამ ამ საკითხთან დაკავშირებით ზოგიერთი მონაცემი მანც გავაჩნია. XIII ს. II ნახევრის ევვიპტელი ისტორიკოსი მუჰამედ ად-დინ ბ. "აბდ აზ-ზაჰირი, როცა ეხება გურგი-ხათუნს (თამარს) —

რუსუდანის ასულს, წერს, რომ მამამისის ლაგაბი იყო ღიას ად-ღინი (იმზ. 'ამა ატ-ჩაპირი, 1976:463), ხოლო ითანე ბატონიშვილის თანახმად მას "ეწოდა ქართულად სახელი ნათლობისა დიმიტრი"<sup>4</sup> (ითანე მაცონიშვილი, H 2134:5638; ჯაფარიძე, 1993 გ.).

ღიას ად-ღინი (დიმიტრი) რუსუდანზე საქამოდ ახალგაზრდა, 17 წლისა იყო. მას არ ჰქონდა თამარის ქმრების, განსაკუთრებით კი დავით სოსლანის უფლებები და ავტორიტეტი. მის სახელზე არ მოუქრიათ საფასე და ის აჩც ლაშქრებს წარმოლობა საომრად. მისი როლი მხოლოდ რუსუდანის ქმრობით შემოიფარგლა (ჯაფარიძეილი, 1966: 41).<sup>5</sup> არზრუმის სელჩუკიანებთან დინასტიური ქორწინება საქართველოს სამეფო კარს, შესაძლოა, იმედსუსახავდა, რომ ხანდაზმული მულის ად-ღინ ტუდორილ-შაპის გარდაცვალების შემდეგ გართულებების გარეშე დაუფლებოდა არზრუმს. გარდა ამისა, რუსუდანის სელჩუკი მეუღლე დედით იყო შეპ-არმენ ბეგ-თამარის (გარდ. 1193 წ.) შვილიშვილი. ეს გარემოება კი საქართველოს ხელისუფალთ ახალ პერსპექტივებს უსახავდა ხლათისათვის ბრძოლაში ('ამდ ალ-ალფად ალ-მარდად: 126; ჯაფარიძე, 1980:136). იბნ ალ-ასირის ერთი ცნობა საფუძველს გვაძლევს ვითიქრით, რომ აღნიშნულმა ქორწინებამ გაძლიერა ქართველთა გავლენა არზრუმზე. მულის ად-ღინა ჩაიცვა ქართველთა მეფის მიერ გაფხვნილი საპარიო სამოსი და აშკარად ოღმართა დროშა, რომლის ზემოთაც გაყენებული იყო ჭვარი (იმზ. ალ-ასირი, XII:451), მაგრამ მალე, 1225 წ. პოლიტიკური ვითარება მნიშვნელოვნად შეიცვალა. ხერაზმელთა შემოსევებმა თბილი საქართველო თავდაცვით ბრძოლებზე გადასულყოც. ამ პირობებში საქართველოს სამეფო კარმა დაქარგა თავისი გავლენა არზრუმის სამიროზე.

### სამხედრო ძონფლიშტი სურმარის საამიროსთან

1223 წ. სურმარის საამიროს მიერ, რომელიც ვასალურ დამოკიდებულებაში იყო ხლათის აუტიანებთან, პროვოკირებულ იქნა სამხედრო კონფლიქტი საქართველოსთან. 620 წ. შა'ბანში / 30. VIII – 27. IX. 1223 წ., როცა სურმარის ციხის

<sup>4</sup> აღსანიშნავთ, რომ ითანე ბატონიშვილი რუსუდანის ქვერს შეცდომით ხორასნელი მეფის ძედ მითინებს.

<sup>5</sup> შესაძლოა, რომ ყოველივე ეს გახდა რუსუდანის მეფელის უქმაყოფილების მიზეზი. 1226 წ., როცა ჭალალ ად-ღინმა თბილისი იღო, ის ხეარაზმელთა ბანაკში აღმოჩნდა. ან-ნასავის ცნობით, სულტანმა დაიბარა ის, მფარველობა გაუწია და შეუვალობა (ამანი) უბრძა მას. მაგრამ შემდეგ, ხეარაზმ-შაპის ხლათშე ლაშქრობის დროს ჭაბუკშე ისევ „სატანაშ იმძლავრა“, ის „ურნმუნების რომოს დაუბრუნდა“, ქართველებთან გაიქცა და შეატყობინა მათ თბილისში ხეარაზმელთა გარნიზონის მცირერიცხოვნობისა და სისტემის შესახებ, მაგრამ მის მდგომარეობა უკვე შერყეული იყო და რუსუდანი გაშორდა ქმარს (ან-ნასავი, 1973:171,222. განკორწინების მიზეზების შესახებ იხ.: ჭაფაზიშვილი, 1966:68). ამის შემდეგ მისი ბედ-ილბალი უცნობია.

მფლობელი თავის სიუზერენთან, ხლათის გამგებელ შიპაბ ად-დინ ღაზისთან იყვალებოდა, მის მოადგილედ დატოვებულმა ერთა ამირამ ღარიბია და გაძარცვა რამდენიმე სიფლი საქართველოს სამეფოში. სურმარიზე საპასუხო ლაშერობა მოაწყო დვინის გამგებელმა შალვამ. სურმარის მფლობელი, რომელიც ის-ის იყო დაბრუნდა ხლათიდან, დაედევნა ქართველებს, სხლია მათ და დაიძრუნა მათ მიერ მოპოვებული ნადავლი. შალვამ კიდევ ერთი მარბიელი ლაშერობა მოაწყო სურმარიზე. როდესაც ის დვინსა და სურმარის შორის ერთ ველზე იყო დაბანაკებული, ქართველებს მოულოდნელად დაეცა სურმარის მფლობელი, დაამარცხა ისინი, მოსრა და დაატყვევა მხაველი, მათ შორის თვით შალვაც,<sup>6</sup> რომელსაც იმნ ალ-ასირი ქართველთა ერთ-ერთ დიდ ამირას უწოდებს<sup>7</sup> (იმნ ალ-ასირი, XII:414).

შალვა ახალციხელის (სხვა შალვა ჩევნ იმ დროისათვის არ გვეგულდა) დატყვევება მნიშვნელოვანი ამბავი იყო. საქართველოს სამეფო კარია მიმართა არა შიპაბ ად-დინ ღაზის, რომელმაც ვფიქრობთ, წაჟეზა სურმარის ამირას აქტიურად ემოქმედა საქართველოს წინააღმდეგ, არამედ მის სიუზერენს ალ-აშრაფს, რომელსაც შეასხენეს, რომ სურმარის ამირას აქცია არ ეთანაბებოდა მათ შორის არსებული ზავის პირობებს: "თუ ზავი გვაქვს, მაშინ გვსურს, ჩვენი თანამებრძოლების ტყვეობიდან განთავისუფლება. და თუ ჩვენს შორის ზავი დაირღვა – შეგვატყობინეთ, რათა ზომები მივიღოთ" — წერდნენ მას ქართველები.

ალ-აშრაფმა დაამაყოფილა საქართველოს სამეფო კარის მოთხოვნა. მან უბრძანა სურმარის ამირას ტყვების განთავისუფლება და ზავის განახლება. აიუბიანებსა და საქართველოს შორის "განმტკიცდა შშვიდობის საფუძველი"<sup>8</sup> (იმნ ალ-ასირი, XII:415), მაგრამ ეს მშვიდობა გარეგნული და მოჩვენებითი იყო. საქართველოს სამეფო კარზე გაცოცხლდა იდეა ჭვარისნულ ლაშერობებში მონაწილეობისა.

### საქართველოს სამეცო კარის გეგმები ჯგიდა მიზაზე ლაშერობისა

მეხუთე ჭვარისნული ლაშერობის მარცხი საქმაოდ მტკიცნეული აღმოჩნდა რომეს პპისთვის, რომელიც შეეცადა ხელახლა დაერაშემა ევროპელი რანდები წმინდა მიწის მუსლიმთაგან დასახსნელად. პპი ონორე III იმედებს გერმანიის იმპერატორსა და სიცილიის მეფეზე ფრიდრიხ II ჰოპენშტაუფენზე ამყარებდა,

<sup>6</sup> ბ. სილაგაძე, რომელიც ებება იბნ ალ-ასირის ამ ცნობას, დვინის გამგებლის სახელს — შალვას, ცვლის ივანეთი (სილაგაძე, 1966:145).

<sup>7</sup> შალვა ახალციხელიდ მიიჩნევდა იბნ ალ-ასირის მიერ დასახელებულ დვინის გამგებელ შალვას ივ.ჭავაძიშვილი (ჭავაძიშვილი, 1966:45).

რომელმაც ჯერ კიდევ 1219 წ. დადო პირობა მონაწილეობა მიეღო ჯვაროსნულ ლაშქრობაში, მაგრამ არ შეასრულა ის. 1221 წ. ნოემბერში პაპი ახსენებდა იმპერატორს, რომ ქრისტიანული სამყარო იმედით ელოდა წმინდა მიწაზე მის წასელას. ფრიდრიხის II უარის თქმას აღარ აპირებდა. 1222 წ. გრძელდებოდა მისი მოლაპარაკები ონორე III-სთან. 1223 წ. მარტიში ფორჩნტინის კუბაზე, რომელსაც იერუსალიმის მეფე და ორუსალიმის პატრიარქიც ესწრებოდნენ, გადაწყვდა, რომ ფრიდრიხი თავის ლაშქრობას დაიწყებდა 1225 წ. 24 ივნისს. ევროპის ყველა კუთხეში მხარდაჭერისა და დახმარების მისაღებად ერთხელ კიდევ დაიგზავნა შიკრიკები (Buldasos, 1863:30-2; Cleve van, 1969:438). 1223 წ. შუა ხანებში ახალი ჯვაროსნული ლაშქრობის სამზადისის შესახებ ცნობილი გახდა საქართველოშიც. რუსუდან მეფე ონორე III-ს წერდა: "დიდად გავიხარეთ, როდესაც შევიტყვეთ, რომ მენი ბრძანებით იმპერატორს მართებს წმინდა ადგილების დასახსნელად ახლა სირიაში გადავიდეს. მოგვწერეთ ჩვენ, თუ როდის უნდა წავიდეს იმპერატორი და ჩვენც გავაგზავნით ჩვენს მხედართმთავარს იგანეს მთელი ჩვენი ჯარით ქრისტიანების დასახმარებლად, წმინდა საფლავის გასათავისუფლებლად. [ჩამოვლენ] იმ ადგილას, სადაც მას უბრძანებთ ჩახვლას" (თამარაშვილი, 1902:8; ცამარება, 1984:177).

წმინდა ადგილებისთვის ომში მონაწილეობას და 40 ათასი მეომრის გამოყვანას პირდებოდა რომის პაპს იგანე მხარგრძელიც. მეფე და ათაბაგი ონორე III-ს ლოცვა-კურთხევას თხოვდნენ, რათა მისი "ლოცვა-გურთხევით და უფლის მადლით" შეძლებოდათ აწერენით მომზადებულიყვნენ "უფლის სადიდებლად ბრძოლისათვის" (თამარაშვილი, 1902:8; ცამარება, 1984:177,179). თავის მხრივ, ონორე III, 1224 წ. 12 მაისს გამოგზავნილ წერილში აზუსტებდა ფრიდრიხის II-ის ლაშქრობის დროს და წერდა რუსუდანს: "... მივუთითებთ შენს უბრწყინვალებობას და მოვუწოდებთ მას უფლის მიერ, რათა თანახმად შენი ხაქებარი დაპირებისა, ევადო და იხე მოამზადო შენი ლაშქარი, რომ შეხძლო შენი დიდებულებისათვის დირსეული სამსახური გაუწიო უფალ იქსო ქრისტეს" (ცამარება, 1984:181).

ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობის მიღებისათვის რომის პაპი შენდობას და ყველა ცოდვის მიტევებას აღუთქმდა რუსუდანის ყველა ქვეშევრომის და, როგორც უ. რიშარი წერს, ის ქართველ ჯვაროსნებს ისეთსავე პრივილეგიებს პირდებოთ, როგორც ლათინებს (Richard, 1979:230).

როგორც ხსენებული მიმოწერიდან ირკვევა, საქართველოს სამეფო კარი 1223-1224 წლებში განწყობილი იყო დახმარება აღმოეჩინა ფრიდრიხის II-ისათვის. იგანე მხარგრძელის მიერ შემირებული 40 ათასი მეომარი კი ძალზე დიდი ძალა იყო. თავად ფრიდრიხის 1224 წ. სალაშქროდ მზად ჰყავდა 100 გალურა და 50

სატრანსპორტო ხომალდი, რომელთაც სიჩიაში შევქლა გადაეცვანა 10 ათასი ჰუთით და 2000 რაინდი (*Cleve van*, 1969:439). ჯარისსნულ ლაშქრობაში ჩაბმის შემთხვევაში საქართველოს სამეფოს სამხედრო ძალების პირველი დარტყმა მიმართული იქნებოდა ისევ და ისევ ხლაოს აუგიანთა წინააღმდეგ. მაგრამ ფრიდრიხ II-ის ლაშქრობა 1227 წლამდე გადაიდო, ხოლო საქართველო 1225 წ. თვით აღმოჩნდა ხვარაზმელთა აგრძესის მსხვერპლი.

## 2. საკართველო, აიუბიანები და მცირე აზიის სელჩუკები ხვარაზმელთა შემოსვების დროს

1225 წ. აზერბაიჯანში შეიქრა ხვარაზმელთა სულტანი ჯალალ ად-დინი (1220—1231), ეს არ იყო ხვარაზმელთა პირველი გამოჩენა საქართველოს სამხრეთ საზღვრებთან. უკვე 1217 წლისათვის ელიფუზიანთა სახელმწიფოს გამგებელი ათაბაგი უზბეგი სულტან „ალა ად-დინ მუჰამადის“ (1200—1220) მოხარუკ გახდა და თავის სამფლობელოებში: აზერბაიჯანსა და არაბანში — დარუბანდამდე მეჩეთების მინბარებიდან აღავლენდა ხუტბას ხვარაზმ-შაპის სახელზე (ან-ნასავი, 1973:61). უზბეგმა დაიჩივლა მუჰამადთან, რომ ვერ შექლებდა გადახადა მისთვის გაზრდილი გადასახადები, რადგანაც ათაბაგის სახელმწიფოს სანაპიროები ქართველებს ქვენდათ დაპყრობილი. მაშინ მუჰამადმა გორგი ლაშას თავისი ელჩი გაუგზავნა და გააფრთხილა თავი შევეაცებინა თავდასხმებისგან უზბეგის ქვეყნაზე, რადგანაც მა უკანასკნელს ერთ-ერთ თავის სამფლობელოდ თვლიდა. იმავდროულად მან საქართველოზე სალაშქროდ 50 ათასი რჩეული მხედარიც მოამზდა (ან-ნასავი:61; *Буниятов*, 1986:81-2).

„ამდ ალ-ლატიფ ალ-ბალდადი მოგვითხრობს, რომ სულტან მუჰამადს „ხურდა წახულიფო [წალამქროდ] თბილისნე და გადაექცია ის თავისი სანელმწიფოს ხატახტო ქალაქად (ხარირ მულქიში), ხაიდანაც იგამგებლებდა რუმის, ყივჩადთა და სომეხთა ქვეყნებზე, [აგრეთვე] ირანისა (ალ-აჯაამ) და დასავლეთის (ალ-დარბ) დანარჩენ ქვეყნებზეც“ (‘ამდ ალ-ლატიფ ალ-მაღადადი:117; ჭავატიძე, 1980:136).

„ალა ად-დინ მუჰამადის სხვა გეგმებზე XIV ს. არაბი ისტორიკოსის აზ-ზაჰაბის „იხლამის იხტორიის“ (“თ’რის ალ-იხლამ”) დამოწმებით მიუთითებს ზეპუნიატოვა. ხვარაზმ-შაპი, საქართველოს დაპყრობის შემდეგ, აპირებდა დაეძრალშე რუმისატებელმა ლაშქრობამ აიძულა ხვარაზმ-შაპი დაეტოვებინა მასლობელი აღმოსავლეთი და უკან გამზუნებულიყო (Буниятов, 1986:86).

1225 წ. სხვა პოლოტიკური სიტუაცია შეიქმნა. ხეარაზმელთა დიდი და მძლავრი სახელმწიფო მონარქოლთა დარტყმების შედეგად დაიშალა. მუჭამადის მემკვიდრე ჯალალ ად-დინი, რომელიც 1220 წ. სულტანი გახდა, ჯერ ინდოეთში გაიქცა, შემდეგ კი დასვლეთ ირანში გადავიდა და ის თავის კონტროლს დაუჭირდებარა. დევნილი ჯალალ ად-დინი თავისი მისამართი მისთვის მძლავრი პლატფორმი გახდა მონარქოლთა წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ ჯიბალი აღვილად იყო ხელმისაწვდომი მონარქოლთათვის და ხეარაზმ-შაჰის არ შეეძლო აქ შშეიდად ეგრძნო თავი. უფრო მიმზიდველი და მოხერხებული ამ მხრივ ჩანდა აზერბაიჯანი და აზრანი, რომელთა ანექსიაც, ათაბაგთა ხელისუფლების სისუსტის გამო, არ წარმოადგენდა დიდ სირთულეს.

1225 წ. იუნისში ჯალალ ად-დინმა დაიკავა ქმარალა მისი მოსახლეობის თხოვნით და შემდეგ, წინააღმდეგობის გაწევის გარეშე, დაიპყრო აზერბაიჯანი. ცოტა მოგვიანებით, ახლად დაპყრობილ ელდიგუზიანთა სახელმწიფოში თავისი ძალაუფლების განმტკიცებისა და ხელისუფლების კანონიერების შთაბეჭდილების შექმნის მიზნით, მან იქრაწინა უზბეგის მეულეზე, რამელიც ერაყის სელჩუქთა უკანასკნელი სულტნის ტუღრილ ბარსლანის ასული იყო.

ამრიგად 1225 წ. ზაფხულში, საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვრებათან გამოიჩნდა ახალი მრისსანე მტერი, რომლისთვისაც უკან დასახვი გზა მოჭრილი იყო და რომელიც თავისი არსებობის შესანარჩუნებლად გამოსავალს მხოლოდ ახალი ქვეყნების დაპყრობაში ხედავდა. საქართველოს სამეფო გახდა უმნიშვნელოვანესი რგოლი ჯალალ ად-დინის ექსპანსიონისტური გეგმის განხორციელების გზაზე.

### სამართველოს სამხედრო-პოლიტიკური იზოლაცია მახლობელ აღმოსავლეთში ხეარაზმელთა შემოსევების დროს

ჯალალ ად-დინის მიერ მარალის დაკავებისთანავე საქართველოს სამეფო კარისთვის აშერა გახდა, რომ ხეარაზმ-შაჰი მიღწეულით არ დაქმაყოფილდებოდა და შეეცადა კავშირი დაეყმარებინა ათაბაგ უზბეგთან. ხანგრძლივი სამხედრო კონფრონტაცია ელდიგუზიანთა სახელმწიფოსთან და საქართველოს სამხედრო წარმატებები ამჯერად მის საწინააღმდეგოდ შეტრიალდა. აზერბაიჯანისა და აზრანის მუსლიმები ხეარაზმ-შაჰი ხედავდნენ ისლამისა და მათი ინტერესების დამცველს, რომელსაც მათთვის ქრისტიანული საქართველოს მუქარა უნდა აეკილებინა. ამ მხრივ ნიშანდობლივა მარალელთა მოწოდება ჯალალ ად-დინისადმი, დაუკავებინა. მათი ჯალაქი, რომლისთვისაც "ქართველებს ჩაესოთ თავიანთი ბრჭყალები" (ან-ნასავა, 1973:15; Бүнисяտօթ, 1986:163).

თავის მხრივ, აზერბაიჯანის დაპყრობის შემდეგ, საქართველოზე ლაშქრობის წინ ჯალალ ად-დინმა აქტიური დიპლომატიური მოღვაწეობა გააჩადა. ხეარაზმ-შაჰის დიპლომატიის ერთ-ერთი მიზანი იყო საქართველოს მიმართ თავისი აგრე-

სოული მიზნების შენიღბვა.

გარნისის ბრძოლის (1225 წ. აგვისტო) შინ, როცა ხვარაზმელები უკვე აჩბევდნენ საქართველოს სამეფოს საპატიოობს, გალალ აღ-დინი ჭურ კიდევ ცდილობდა დაერწმუნებინა რუსუდანი თავის კეთილგანწყობაში. "როცა მოახლოვდნენ ხვარაზმელები - წერს 'აბდ ალ-ლატიფ ალ-ბალდადი - მათი ელჩი გახლა [ქართველთა] დედოფალს ტკბილი ხიტყვით. და როცა ის მათთან იყო დარბაზობაზე, მოვიდა მანენე ამბით, რომ ეს ხალხი [ხვარაზმელები] არბევდა [ქართველთა] ქვეყნის სანაპიროებს. მაშინ დედოფალმა უთხრა ელჩს: განა ახე იქცევიან მეფეები? ელჩს ერთს ალაპარაკებენ და თვითონ კი ხაწინააღმდეგოს აკეთებენ? და ბრძანა მისი გაძვევება" ("აბდ ალ-ლატიფი ალ-მარდადი: 123; ჯაფარიძე, 1980:137).

გარნისის ბრძოლის შემდეგ, გალალ აღ-დინმა, როგორც ცნობილია, რუსუდანს ცოლობა მოსთხოვა და მონღოლთა წინააღმდევ ერთობლივი ბრძოლა შესთავაზა (ქამთააღმწერელი, ქც, II, 1959:173-4), მაგრამ მისი წინადაღება, რუსუდანს ქმარიც რომ არ ჰყოლოდა, მიუღებელი იყო. გალალ აღ-დინი არ წარმოადგენდა იმ პიროვნებას, რომელიც სხვის დიქტატუს დაემორჩილებოდა. ის თავად ისტრაფოდა პირველობისაკენ. მასთან ქორწინება ფაქტობრივად ნიშნავდა ხვარაზმელთა მიერ საქართველოს უმძრად ოკუპაციას და ქვეყანაში ხვარაზმ-შაჰის თანმხელებ თურქმენთა მრავალრიცხვოვანი მასის ჩამოსახლებას, რასაც საქართველოს სამეფო კარი ვერავითარი სამხედრო მუქარის შიშით ვერ დასთანხმდებოდა. ამდენად, ამ მხრივ ხვარაზმ-შაჰის დიპლომატიურ ღონისძიებებს შედეგი არ მოჰყოლია. 1225-1228 წლებში საქართველოსა და ხვარაზმელთა შორის შეურიგებელი ბრძოლები მიმდინარეობდა.

გალალ აღ-დინი შეეცადა, რომ მოქადანია მახლობელი აღმოსავლეთის მუსლიმი გამგებლების ანტიხარაზმული გამოსვლების ნეიტრალიზაცია და თავიდან აეკოლებინა მათი შესაძლებელი დახმარება საქართველოსათვის.

ან-ნასავი მოვითხრობს, რომ ხვარაზმ-შაჰი 1225 წ. ივლისში მარალიდან რუმის, სირიისა და ეგვიპტის ხელმწიფებს (შულუქ) თავისი ელჩი მუჰამედ აღ-დინ უმარ ბ. სად ალ-ხვარაზმი გაუგზავნა და შეატყობინა, რომ დაეუფლა აზერბაიჯანს და "თავისი წვეტიანი გბილებით გამოგლიჯა ის ოლქები, რომლებსაც შპვ დაასვეს ეშვები ქართველებმა". გალალ აღ-დინმა მათ აცნობა, აგრეთვე, რომ აპირებდა მოეწყო ლაშქრობა ქართველებზე, სასტკიად შებრძოლებოდა მათ და ეწვენებინა, რომ ისლამის სახლს პატრონი გამოუჩნდა. თავის მიმართვას ის საფუძვლად უდებდა რუმის სელჩუკებთან და აიუბიანებთან მეგობრობის სურვილს (ან-ნასავი, 1973:155). იმდ ბიბის ცნობით რუმის სულტანს ხვარაზმ-შაჰი მოაგონებდა, რომ მათ შორის "აღლაპის გურთხევითა და წყალობით იყო თანახწორობა ხაღვთო მზის (ჯიპადი) გამოცხადებაში და ერთობა ხაქმეებში, ხალხსა და რწმენაში". "ყველაზე შესაფერისი ადა-

მიანი სიუვარულსა და მეგობრობაში არის ის, ვინც შენი მსგავსია ენითა  
და „რწმენით“ — უმტკიცებდა ჭალალ აღ-დინი ქაი-ყუბადს (Буниятов, 1986:164).

რუმის სულტანმა მიიღო ხეარაზმ-შაპის მოწოდება და გამოხატა თავისი  
ქაუფილება მასთან თანხმობისა და მეგობრობის დამყარების გამო  
(Буниятов, 1986:165). მას ხეარაზმელთა საფრთხე ჯერ კიდევ არ ემუქრებოდა  
და ჭალალ აღ-დინის წინაშე მეგობრობის დადასტურებით ცდილობდა, რომ  
ხეარაზმ-შაპის ენერგია ქრისტიანული საქართველოსა და ხლათის აიუბინთა  
წინააღმდეგ მარტინი წარემართა.

აღ-აშრაფება ჭალალ აღ-დინის მიმართვას არ უპასუხა, მაგრამ მისი პოზიცია  
ხეარაზმ-შაპისთვის აღიარ იყო მნიშვნელოვანი. სულტანს უკვე ჩატიქრებული  
ჰქონდა აღ-აშრაფის სამფლობელოს ანექია. ამ მიზნის განსახორციელებლიდ მას  
თავის მოკავშირედ აღ-აშრაფის ძმა, დამასკოს გამგებელი აღ-მარიქ აღ-მუჲ აზ-  
ზამი ეგულებოდა. ამ უკანასკნელმა ჭალალ აღ-დინთან კავშირი ჯერ კიდევ  
619/1222 წ. დაამყარა (Буниятов, 1986:162). 1225 წ. ბალდადზე წარუმატე-  
ბელი ლაშქრობიდან მობრუნებულ ხეარაზმ-შაპს მიემსრო ირბილის მფლობელი  
ბეგოვეგინანი მუზაფფარ აღ-დინ გოქბურიც, რომელიც თავის მხრივ ამიდისა და  
მარდინის ართურიან ამირებს დაუკავშირდა. დამასკოს გამგებლის მხარდაჭერა  
დოდი იყო. 1226 წ. მან დაიწყო სამხედრო ოპერაციები ცენტრალურ სირიაში  
ჰომისისა და ჰამას დასაყავებლად, ხოლო მუზაფფარ აღ-დინ გოქბური თავის  
მოკავშირებთან ერთად ამოქმედდა ჩრდილოეთ მესოპოტამიაში (Humphreys,  
1977:178-80). აღ-აშრაფი ჭალალ აღ-დინის მომხრეთა პირისპირ მარტიოდიარტო  
დარჩა. 1226 წ. სკეტცებერში ის აღ-მუჲ აზზამთან ურთიერთობის მოწესრიგების  
მიზნით დამასკოში გაემგზავრა, მაგრამ დამასკოს გამგებელმა დააკავა მას და  
აღ-აშრაფმა აღ-გაზირაში დაბრუნება მხოლოდ 1227 წ. მაის-იუნისში შეძლო.  
1226 წ. ნოემბერში ჭალალ აღ-დინი შეიკრა ვანის ტბის რეგიონში და იერიში  
მიიტანა ხლათზე, რომელსაც იცავდა აღ-აშრაფის ნაცვალი ჰაჯიბი აღი. დეკმ-  
ბერში ზამთარმა და ივას ტომის თურქმენთა თავდასხმებმა აზერბაიჯანში აიძულეს  
ხეარაზმ-შაპი ალყა მოეხსნა ხლათისთვის. შემდევ მთელი მის უკრალება მონ-  
ღოლთა წინააღმდევ ბრძოლაშ მიმყრო. ამასობაში, 1227 წ. ოქტომბერში  
აღ-მუჲ აზზამი გარდაიცვალა და ფრიდრიხის II-ის ხელმძღვანელობით დაწყებულ  
ჯერისანთა ახალი ლაშქრობის პირობებში აღ-აშრაფმა და სულტანმა აღ-გამი-  
ლმა დამასკოს დასუფლებლად ერთობლივი ბრძოლა დაიწყეს. 1229 წ. ივნისში  
აღ-აშრაფი დამასკოს გამგებელი გახდა და ამავე დროს შეინაჩინა ვანის ტბის  
რეგიონიც (Humphreys, 1977:206, 214-15 და შემდეგ.). მაგრამ ის არარ დაბრუნე-  
ბულა ხლათში, სადაც მისი მეუღლე თამთა (ქურჭიმა) იმყოფებოდა. ხლათს  
ფაქტობრივად განავებდა ჰაჯიბი აღი, რომელიც შეუპოვრად ებრძოდა ხეარაზ-

8 1228 წ. ქაი-ყუბადი აქეზებდა ჭალალ აღ-დინს აიუბინთა მტრობისაკენ და პირდებოდა  
ახატმარებას მათ წინააღმდევ ბრძოლაში (ან-ნასავი, 1973:216).

გელუბს. ის სისტემატურად აწვდიდა ინფორმაციას აუბიანებს საქართველოში ხვარაზმელთა მოქმედების შესახებ. ასე, მაგალითად, ჰაჭიბი 'აღა გალალ აღ-დინის მიერ თბილისის აღების გარდა აღ-აშრაფს არყობინებდა გავის ციხის გარე-მოცვის ამბავსაც 626/1228-29 წ. (მუქ.აღ-ჰამავი, 1982:176), მაგრამ ხვარაზმელებით ბრძოლებში აუბიანთა და ქართველთა სამხედრო ძალები გათხშული აღმოჩნდნენ. საქროო მტრის წინააღმდეგ მათი გურითანანება არ მოხერხდა მაშინაც კი, როცა ხვარაზმელებმა სახრაფოლო ოპერაციები ვანის ტბის რეგიონში გადატანეს და ხლათს დაემუქრნენ. მართალა, ბოლნისის ბრძოლაში, რომელც გაიძირთა 1228 წ. მიწურულს, ან 1229 წ. დამდეგს, ჭუვინი (და ამ უკანასკნელის მიხედვით რაშიდ აღ-დინიც) ქართველთა გარში ასახელებენ სირიელსა და რუმელ მოკავშირეებსაც (ჯუვინი, II, 1958:439; ჯუვინი, 1974:35; რამიდ აღ-დინი, II, 1960:27-28), მაგრამ აუბიანთა და მცირე აზიის სელჩუქთა მონაწილეობა ამ ბრძოლაში, რაც ქართულმა და არაბულმა წყაროებმა არ დააფიქსირეს, იმდროინდელი პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით საეჭვოა (ვარცვანია, 1979:123).

გალალ აღ-დინის შემოსევებში განაპირობეს ცვლილებები საქართველოს მეზობელი მცირე პოლიტიკური ერთეულების ორენტაციაში. აღ-აშრაფს განუდგნენ მისი ვასალები სურმარის საამიროს გამგებლები შარავ აღ-დინ უზდერე და ჰუსამ აღ-დინ ჰედრი. მათ გალალ აღ-დინს ჭერ კოდევ გარნისის ბრძოლამდე (1225 წ. ავგისტო) გამოუცხადეს მორჩილება, როთაც შეინიარჩუნეს თავიანთი სამფლობელო. გარნისის ბრძოლის შემდევ კი, როცა ხვარაზმ-შამა ლაშქარი გაგზავნა "აბხაზთა ქვეყნის უგიდურესი საზღვრებისა კენ", სურმარის ამირებმა მეგზურის როლი იყიდეს და თავი გამოიჩინეს საქართველოს აოხებაში (ან-ნა-სავი, 1973:160-61).

ხვარაზმელთა შემოსევების დროს ნეიტრალური პოზიცია ეკავა არზინგანის საამიროს, რომელიც ბასინის ბრძოლის შემდევ საქართველოს მოხარე გახდა, მაგრამ ამირა ბაპტრამ-შაპის გარდაცვალების (1225 წ.) შემდევ მისი დამოუკიდებელი არსებობის დღეები დათვლილი იყო. 1227 წ. სულტანმა ქაი-ყუბადმა ბაპტრამ-შაპის ვაჟს "აღა აღ-დინ და" უდ-შაპის არზრუმშე ლაშქრობაში დახმარება მოსთხოვა და როცა და" უდ-შაპი გამოცხადდა მასთან, სულტანმა დააპატიმრა იგი და არზინგანი რუმის სასულტნოს შეუერთა (იმპ. აღ-ასირი, XII:478). იმდროინდელ რთულ პოლიტიკურ კოსარებაში საქართველოს სამეფო კარბა ვერ შეძლო რამე რეაცია მოხედინა ქაი-ყუბადის აქციაზე.

ზემოთ ვნახეთ, რომ მონარქიალთა პირველი შემოსევის დროს საქართველოს სამხედრო ძალით დახმარება აღმოუჩინა მისმა ვასალმა არზრუმის საამირომ. რუსუდანის ქორწინება არზრუმის ამირას ვაჟთან თითქოსდა იძლეოდა იმის გარანტიას, რომ საქართველოს სამეფო კარი საჭიროების შემთხვევაში მომავალშიც გამოიყენებდა არზრუმელთა ლაშქარს, მაგრამ 1225 წლიდან ვითარება ამ მხრივაც შეიცვალა. მულის აღ-დინ ტულრილ-შაპი გარდაიცვალა და ტახტი დაიკავა მისმა ძემ აბუ ლ-ფათჰ გაბან-შამა. ხვარაზმელთა შემოსევის დროს საქართ

ველომ დაკარგა კონტროლი არზრუმშე. რუმის სულტნისაგან დაშინებული ჯა-  
ჰან-შაჲი ალ-აშრაფის ვასალი გახდა (იმპ ალ-ახირი, XII:479; მუქ. ალ-ჰამავი, 1982:175; ან-ნასავი, 1973:246). მოგვიანებით, 1230 წ. შან ჯალალ ად-დინის  
მხარე დაიჭირა, თუმცა კი უნდა აღნიშნოს, რომ საქართველოს წინააღმდეგ  
სამხედრო ოპერაციებში არზრუმის ამირას მონაწილეობა არ მოულია.

საქართველოს ძვრიად დაუგდა თბილისელ მუსლიმთა გარევეული წრეების  
ღალატი, რაც დასტურდება ქართველი, სომხეტი და არაბული წყაროებით (ქც,  
II, 1959:175; კირაკ. განმავევი: 149–50; იმპ ალ-ახირი, XII:451). თუ გარნისის  
კატასტროფული გადაწყვეტი აღმოჩნდა ქართველი მხედართმთავრების ივანე  
მხარეგრძელისა და შალვა ახალციხელის შეუთანხმებელი და უპასუხისმგებლო  
მოქმედება, თბილისის დაცემაში (1226 წ. 9 მარტი) მნიშვნელოვანი როლი ითა-  
მაშია ადგილობრივ მუსლიმთა გმიცემლობაშ (ფარცვანია, 1976: 41–43).

\* ამდე ალ-ლატიფ ალ-ბალდადი იუწყება, რომ გარნისის ბრძოლაში ქართვე-  
ლთა ხარში ხეარაზმელთა წინააღმდეგ შალვა ახალციხელის მეთაურობით იბრ-  
ძოდნენ თურქმენებიც (“ამდე ალ-ლატიფ ალ-შალდადი: 123; ჯაფარიძე,  
1980:137). ისინი, შესაძლოა, იყვნენ გელაშვინის ტბის მიღმამოებში ჩამოსახლებუ-  
ლნი და უკვე საქართველოს სამეცნო ქვეშვერდომი თურქმენები, ანდა მოქირავ-  
ნები აზერბაიჯანში მომთაბარე ივას თურქმენული ტომიდან, რომელიც მტრო-  
ბდა ხეარაზმელებს (იმპ ალ-ახირი, XII:462; ან-ნასავი, 1973:172, 374–75). ამას  
გარდა, ჯალალ ად-დინთან ბრძოლებში საქართველოს ხელისუფალნი იყვნებდნენ  
ყოვჩალთა და ჩრდილო კავკასიულთა დაქირავებულ რაზმებსაც, მაგრამ ეს საერთო  
სურათს არ ცვლის. ხეარაზმელთა შემოსევების დროს საქართველო ფაქტობრივად  
სამხედრო-პოლიტიკურ იზოლაციაში მოექცა. აიუბიანებმა და მცირე აზიის სელ-  
ჩუკებმა შეძლეს გამოენახათ საერთო ენა ჯალალ ად-დინის ასალაგმად, მაგრამ  
საქართველოს დახმარება მათ არ დასჭირდათ. ქრისტიანული საქართველოსა და  
მეზობელი ისლამური ქვეყნების გაერთიანება საერთო მტრის წინააღმდეგ არ  
მოხერხდა.

## ისაი-ჩიჩენის ბრძოლა და მისი შედეგები საქართველოსთვის

1230 წ. 14 აპრილს წლინახევრის ალის შემდეგ ჯალალ ად-დინმა აიღო  
ხლათი (Boyle, 1968:333). მოელი ამ ხნის მანძილზე ქალაქი საკუთარი ძალების  
იმედზე იყო. ალ-აშრაფს მისთვის რამე ეცვემტური დახმარება არ გაუწევა. ხლათის  
აღების შემდეგ ვარაზმ-შაჲს ტყვედ ჩაუვარდა ალ-აშრაფის ორი ძმა და,  
რაც მთავარია, მისი მეუღლე თამთა (ალ-ქურჭიმა). ქუვეინის ხატოვანი თხრობით,  
“როცა ზეცის ჯემშიდმა შაჲისგენ გამგზავრება განიზრაზა, შეფერა მხემ  
(ჯალალ ად-დინმა — გ.ქ.) ვახშმის ხუფრაზე გამლილ ტკბილეულს მიამურა,  
აივანზე ავიდა და ივანეს ქალიმგილთან, რომელიც მალიქ ამრაფის შეუ-  
დღე იყო, გაატარა დამე” (ჯუჯინი, II, 1958:445; ჯუჯინი, 1974:39).

ჯალალ აღ-დინმა ხლათში დიდიალი სიძლიდრე იგდო ხელთ, მაგრამ ეს იყო მისი უკანასკნელი წარმატება. ხლათის დაცვიმამ უაღრესად შეაშფოთა რემის სულტანი ქაი-ყუბადი. გარდა მისა ჯალალ აღ-დინს ეახლა და დახმარება აღმო-უჩინა არზრუმის ამირამ ჯაპან-შაპა (მუჭ. აღ-ჰამავი, 1982:185; იმპ აღ-ასირი, XI:1489), რომელიც აღზე აღ-აშრაფის ვასალი იყო. ეს ახალი ალიანსი საფრანგეს უშინიდა რემის სასულტნოს. ქაი-ყუბადმა ელჩები გაუგზავნა ხვარაზმ-შაპას და ითხოვა ნებართვა არზრუმის დაკავებისა, მაგრამ პასუხი უარყოფითი იყო (ან-ნა-სავი, 1973:246-47). მაშინ ქაი-ყუბადი აუტიანთა სულტანს აღ-ქამილს დაუკა-ვშირდა და მოუწოდა ერთობლივი ძალით გამოსულიყვნენ ჯალალ აღ-დინის წინააღმდეგ. ის წერდა, რომ ხვარაზმ-შაპის შეჩერება მახვილის გარეშე შეუძლე-ბელი განდა და რომ მათ ახლა მხოლოდ ისრა რჩებოდათ, სიცუკები და საქმეები შეეთანხმებინათ და ისე დაეცვათ საკუთარი სახელმწიფოები (აღ-ნასავი, 1973:247).

აღ-ქამილმა დააკამაყოფილა ქაი-ყუბადის თხოვნა. მისი მითითებით სირიის აუტიანთა სამხედრო ძალები (5 ათასი შეედარი) აღ-აშრაფის მეთაურობით დაიძრნენ სიგასისაკენ, სადაც ისინი უნდა შეერთობოდნენ ქაი-ყუბადის 20 ათა-სიან ლაშკარს, რომლის შემადგენლობაშიც სელჩუკების გარდა იყვნენ კილიკიული სომხები და ფრანკი მოქარუნებებიც (კირა, გამამაჯევი: 151; Boyle 1968:334; Cahen, 1968:129). ჯაპან-შაპი ამაოდ აურთხილუბდა ჯალალ აღ-დინს არ დაეშვა მოკავშირეთა ძალების გერთიანება. აგადმყოფობის გამო ხვარაზმ-შაპამ ეს კერ მოახერხა, ხოლო 1230 წ. 10 აგვისტოს კი, არზინჭანის დასავლეთით იასი-ჩიმენ-თან მომხდარ ბრძოლაში მან სასტიკა მარცხი განიცადა და ხლათისკენ დაიხია.<sup>9</sup>

იასი-ჩიმენთან ბრძოლაში, რომელშიც, როგორც ფიქრობენ, გადამწყვეტი როლი ითმაშეს სირიის გარებმა (Cahen, 1968:130), დაიღუპა და ტყვედ ჩავრდა მრავალი ხვარაზმელი. დატყვევებულთა შორის იყვნენ არზრუმის გამგებელი ჯაპან-შაპი, მისი სიძე და ძმა. ჯაპან-შაპი მოგვიანებით სიკედილოთ დასაჯეს (ან-ნა-სავი, 1973:257; მუჭ. აღ-ჰამავი, 1982:210-11). დალუპულთა შორის მუპამად აღ-ჰამავი ასახელებს ულთას, ე.ი. ოლოისის მფლობელს (ხავიძ), რომელიც ხვარაზმ-შაპის მხარეზე იბრძოდა (მუჭ. აღ-ჰამავი, 1982:209). მისი ვინაობა უცნობია. ის უნდა იყოს ოლოისის ქართველი გამგებელი, რომელიც ჯალალ აღ-დინს მიექმერო.

ინ ბიბი მოგვითხრობს, რომ იასი-ჩიმენის ბრძოლის შემდეგ ქაი-ყუბადმა

<sup>9</sup> ბრძოლის ველიდან ლტოლევილმა 1500 ხვარაზმელმა შიაღწია ტრაპიზონს (ბარ ჟებრეუსი, 1932:395; იმპ აღ-იბრა: 246; მუჭ. აღ-ჰამავი, 1982:210). ფალმერაიერი ოვლიდა, რომ ამ დროს ხვარაზმ-შაპა და ტრაპიზონს შორის ასებობდა კავშირი (Fallmerayer, 1827; ავალიშვილი, 1989:6:76). ასევე ფიქრობს ა. სავვეოდისი (Savvidis, 1981:170, 177, შენ. 4), მაგრამ ამ თვალსაზრისის წინააღმდეგ რის საფუძველსაც არ იძლევა ჩვენს მიერ აქ დასახელებული ბარ ჰებრეუსის და მუპამად აღ-ჰამავის ცნობები, იხ.: ჯავორონკოვ, Шукuros, 1987:177.

ხელთ იგდოთ არზრუმი, შემდეგ კი მან აღ-აშრაფი სომხეთზე სალაშქროდ მოამზადა და ასასათან, მას ოლოტისი და კიცვე რამდენიმე ციხე-სიმაგრე სამფლობელოდ დაუტოვა (იმპ მიმ: 174; შენგალია, 1975:96). იქმნება შთაბეჭდილება, რომ მანამდე ოლოტის რუმის სულტანი ფლობდა. 5. შენგველია ვარაუდობს, რომ ქაიყუბაძეა ოლოტის დაიკავა მას შემდეგ, რაც 1226 წ. ანატოლიაში დაიპყრო ჯითა, ჩემიძ-ქეჩუკი, დარ-ბაქრი, ჰამუ და სხვა ციხეები. ოლოტისისა და სხვა ქართული ციხე-სიმაგრეების დაპყრობას მკვლევარი 1226-1231 წლებში ათავსებს (შენგალია, 1975:96). უნდა აღინიშვნოს, რომ იბნ ბიბი მცირე აზიის სელჩუქთა პირობეტა და ის ცდილობს განადიდოს ქაიყუბაძი და დააკინინოს აღ-აშრაფი. ეს მაშინ, როცა აუგიანის გარეშე ქაიყუბაძი, აღმათ, ვერც გაბეჭდვდა ხვარაზმელებთან ომს. როცა ხლათზე დაიძრა, აღ-აშრაფმა ქაიყუბაძისგან დახმარება მიიღო, მაგრამ რუმის სულტანის ნებართვა მას არ ესპიროებოდა. მუპამად აღ-ჰამავი მოვითხრობს, რომ არზრუმში მოკავშირეები ერთად შევიდნენ (თუ-მცა იმსაც ფიქრობენ, რომ არზრუმი აღ-აშრაფმა დაიკავა) (Humphreys, 1977:219-20). ამის შემდეგ აღ-აშრაფმა დაათველებურა ის ციხეები, რომლებიც აღრე ქართველებმა წაართვეს ხლათს. რამდენიმე ციხიდან მან შეარჩია და დაიკავა მხოლოდ ერთი, ყველაზე სუკეთესო — ულთას, ე.ი. ოლოტის ციხე (მუკ. აღ-ჰამავი, 1982:213).

როგორც ვხედავთ, ოლოტისის ციხე 1230 წლისთვის ქართველებს ეჭირათ. აღ-აშრაფს ის ქაიყუბაძისგან არ მოუღია სამფლობელოდ. უფლება ამ ციხე-ქალაქშე მან მოიპოვა ხვარაზმელებზე გამარჯვების შემდეგ, მის უფლებას აძლიერებდა ისიც, რომ აღრე ლოტიის ხლათს (შავ-აშენთა სახელმწიფოს) ეკუთვნიოდა. ამირიგად, 1230 წელსვე ტაოს ეს უმნიშვნელოვანესი ციხე-ქალაქი აოუბიანთა ხელში აღმოჩნდა. მოუხდავად მუპამად აღ-ჰამავის მითითებისა, ოლოტისი არ იყო კრადერთა ციხე, რომელიც აღ-აშრაფმა ტაოში დაიკავა. მასთან ერთად იყო ზე ციხეებიც, როს შესახებაც წერს იბნ ბიბი. ამის დამადასტურებელი ცნობა უკრვება კუტბ ად-დინ აღ-იუნინის. ის მოგვითხრობს, რომ XIII ს. 60-იანი უბის მიწურულში აბალა-ყაინის გარი, თევზდარის დამარცხების შემდეგ შეი-კრა სამხრეთ საქართველოში, საჩინის გაყილის სამფლობელოში და აიღო ოლოტისის, მამრიგანისა და ბარქაის ციხეები, რომლებიც აღრე ქართველებს წაურთმევიათ აღ-აღილის ძისათვის, აღ-მალიქ აღ-აშრაფისათვის (აღ-იუნინი, II:411; იმპ აგ-დავადაში, VII:141; Бүнქათი, 1972:130, 131). ამ ციხეთაგან, ოლოტისის გარედა, ტაოში მამრიგანი (შამირევანი, ნარიმანი, ნამირევანი) — ოლოტისის სამხრეთით, ოლოტისის წყალზე, იმ გზაზე, რომელიც საქართველოს ყელით არზრუმის ველისკენ მიემართებოდა. 1230 წ. ფლიქრობთ, აღ-აშრაფი ოლოტისის გარდა დაუცულა მამრიგანსაც.

არზრუმიდან აღ-აშრაფი ხლათისკენ დაიძრა. გზად ის მანასკერტში შეჩერდა, სადაც შეიტყო, რომ გალავ ად-დინს უკვე დაეტოვებინა ხლათი. აქე მან მიიღო მილოცვა იგანე მხარეგრძელისგან. მუპამად აღ-ჰამავი იუწყება, რომ "იგანემ

ალ-აშრაფს გაუგზავნა ხმალი, რადგანაც ქართველებს წესად აქვთ, თუკი გაიმარჯვებს მეზობელი, მას მახვილი გაუგზავნონ" <sup>10</sup> (მუკ. ალ-ჰამავი, 1982:220).

ხლათი ალ-აშრაფს გაძარცული და ოხრებული დახვდა. აქტდან მან გააბა საზაფო მოლაპარაკება ჭალალ აღ-დინთან. საბოლოო შეთანხმებით მათ აღადგი-ნეს თვეუნითი სამფლობელოების უწინდელი საზღვრები. ალ-აშრაფის დაუწენებუ-ლი მოთხოვნით ხვარაზმ-შაქმა ღამომ სურმარი, რომლის ამირა ჰუსამ აღ-დინ ჰიდრი და მისი ვაჟი, ხლათისთვის მიყენებული ზარალის გამო ალ-აშრაფმა დაიჭირა და დამასკოში გადაგზავნა (მუკ. ალ-ჰამავი, 1982:219). 628/1230-31 წ. ალ-აშრაფმა გაუუშა აქტითინათ საუმირი, რომლის გამგებელმა ჭალალ აღ-დინის გულმოწყალუებით შეინარჩუნა ძალაუფლება (მუკ. ალ-ჰამავი, 1982:218) და იგი თავის ძმას ძმას ად-დინ ღაზის გადასცა. მოვალეობით, აზერბაიჯანში მონღოლთა გამოჩენით შემფუოთებულმა ჭალალ ად-დინმა გაანთავისუფლა ალ-აშრაფის ძმები, მაგრამ თავისთან დაიტოვა თამთა, რომელიც შემდეგ მონღოლებს ჩაუგარდა ხელთ. <sup>11</sup> იასი-ჩიმენის ბრძოლიდ გარკვეულად შეცვალა ძალთა თანა-ფარიდბა საქართველოს სამეფოს სამხრეთ საზღვრებთან. ალ-აშრაფმა აღადგინა თავისი ბატონობა ხლათზე და შექმნა პლაცდარმი ტაოში. კიდევ უფრო გაძლიე-რება რემის სასულტნო. ქა-ყუბალმა მოახდინა არზუუმის საამიროს ანგესია. როგორც აიუბინთა, ისე მცირე აზიის სელჩუქთა გაძლიერება სახიფათო იყო საქართველოს სამეფო კარისათვის. სამავიროდ ჭალალ ად-დინის მარცხი და მისი სამხედრო ძალის შესუსტება უმჯობელად შვების მომტანი იქნებოდა მისთვის.

### 3. საქართველო, აიუბინები და რეპის სასულტნო

#### XIII ს. 30-0160 ღლების დასაწყისში

ჩართული დიპლომათია მონღოლთა ხელახალი გამოსინის  
გენერალი

628/1230—31 წ. აზერბაიჯანში მონღოლები შეიძირნენ. ჭალალ ად-დინი, რომელიც ჩიორმადან-ნოინთან ბრძოლაში დამარცხდა, აზრანში გადავიდა, აქერთ ხანს განჯაში შეჩერდა, სადაც ჩაქრი ანტიხვარაზმული აფანუება და შემდეგ

<sup>10</sup> ამრიგად, ერთხელ კიდევ დასტურდება, რომ ივანე მხარგრძელი არ გარდაცვლილ 1227

წ. (სტ. ორბელიანი, 1976:64; Brossat, 1850:500, შენ.1). ის იხსენდება 1232 წ. გადაწერილ ერთი სომხური სახარების ანდერძ-მინაწერისა და ყარსის ციხის 1234 წ. წარწერაშიც (აბდალაძე, 1975:103, შენ.11; Orodelli, 1963:471).

<sup>11</sup> თამთა მოგვიანებით ყარა-ყორუმში მოხვდა, საიდანაც რესულანის მიერ გაგზავნილმა ელჩიმ პამადოლამ დაიხსნა. თამთა 643/ 1245-46 წ. მონღოლთა ყაენის თარლიყით დაბრუნდა უკან, როგორც ხლათისა და მისი ოლქის გამგებელი. ალ-აშრაფი ამ ტრის შეკვეთისას კოტალი აღარ იყო (გარდ. 1237 წ.). თამთაშ შეუთვალი მის ძმას, მათი და მიმოდინის მფლობელს შეიძინა ად-დინ ღაზის: „ შე ვიყავი შენი მის კოლი. ყაენმა მე მიმოდინა ხლათი და თუ კი დაქორწინდები ჩემშე, ეს კვეყანა შენი იქნება“, მაგრამ ღაზის არ

ხლათისა და მაიაფარიკინისკენ გაემართა. სულტანი შემოვლითი გზით ისტანბულში პირვებდა წასვლას, მაგრამ 1231 წ. აგისტოში მონღოლთა მუკაჩიმა მისი რაზემი გაანადგურა და მალე ჯალალ ად-დინიც მაიაფარიკინის მახლობლად მოებში მოკლეს. მონღოლებმა ჩრდილოეთ მესაპოტამიის მრავალი ქალაქის სანახები დარბიეს და შემდევ განის ტბის რეგიონისკენ მობრუნდნენ. "ხოლო მო-რა-იქცეს თათარნი ხუარაზმელთა დევნისაგან, მიერ წარვიდეს და მოაოკრეს ქუეყანა ხლათისა და გალაშერტისა" (ქაშთალმწერული, ქ. 11, 1959:186; იმნ აღ-ახირი, XII: 499-501). ინ აღ-ასირი მოუთითებს, რომ მათ 628 წ. ზულ-ჰიჯას თვეში/30. IX-28. X. 1231 წ. აიღეს და მოაოხრეს ხლათის მხარის ქალაქები ბერქრი და არქეში (იმნ აღ-ახირი, XII:500). ამის შემდევ "თათარნი წარვიდეს ადარბადაგანს, და ზავნი იქმნეს თავრეგელთა შორის და თათართა, და აღიდეს თავრევი და მიმდგომი მიხი ქუეყანა". ჰიჯრის 628 წ. მიწურულშივე, ე.ი. 1231 წ. ოქტომბერში აზერბაიჯანიც დაყრიობილ იქნა (ქ. 11, 1959: 186; იმნ აღ-ახირი. XII: 500; Петрушевский, 1970: 225). ამულ-ფარაჯ ბარ ჰებრუეს იმასაც კი წერს, რომ 1231 წ. თათრებმა ქართველებიც დამორჩილეს (მატ ჰემრეთი, 1932:396). ჩანს, ასეთი ხმა იმდროინდელ მახლობელ აღმოსავლეთში გაძრულდა და ასახვდა ქართველ პოლიტიკოსთა შიშს მონღოლთა მოახლოებული საფრთხის გამო. ასეთ პირობებში საქართველოს სამეფო კარმა შესაძლებლად ჩათვალა ერთხელ კიდევ შეეთავაზებინა მონღოლთა წინააღმდევ კავშირი აღ-აშრაფისათვის, რომელიც 1231 წ. მარტში დამასკოში დაბრუნდა და კოტა ხნის შემდევ კაიროს გაემგზავრა.

ევგამტელი ისტორიკოსი ინ აღ-დავადარი მოგვითხრობს, რომ ჰიჯრის 628/9.XI.1230 – 28.X.1231 წ., უფრო 1231 წ.ზაფხულში, "როდესაც აღ-ფა-ჰლავანის ძედ ცნობილმა (მარუფ) ქართველთა მაღიქმა შეიტყო, რომ თათრები მის წინააღმდევ მიემართებოდნენ, აღ-მაღიკ აღ-აშრაფს მოციქული გაუგზავნა იმ მიზნით, რომ თათრების [წინააღმდევ] გახაერთიანებდად შეთანხმებულიყვნენ. მაგრამ მათ შორის შეთანხმება არ მოხდა იმის გამო, რომ ალლაპიმა, დიდებულიც არის იგი და ძლიერი, ამ ზალხის [თათრების] გაბატონებაიხურვა" (იმნ აღ-დავადარი, VII:304).

ფაქტურანის ქ. ჩანს, შერქმულ სახელია. მას ატარებდა რამელობულ ქართველი დოფებული (მალიქ), რომლის ვინობაც არ კიცით. დასაშვებია ისიც, რომ ის სახელს არაბი ისტორიკოსი ამასინვებს. ჩვენთვის ამ შემთხვევაში მთავრი არის ის, რომ მას ჰქონდა საქართველოს სამეფო კარის სანქცია მოღაბარავება ეწარმოებინა აღ-აშრაფთან. სამწუხაროდ, აუგბიანმა აუც ამჯერად ისურვა ქართველებთან კავშირი. მას და სულტან აღ-ქამილს სხვა ინტერესი გაუჩნდათ. ეს იყო დიარ-ბაქრში ლაშქრობა

უპასუხა. შემდევ თამთამ აცნობა მას, რომ მიდიოდა მაიაფარიკინის დასაქავებლად, მაგრამ ღაზიშ არც ამჯერად უპასუხა (კირაკ-განძაკეცი: 182; სიბტ ბ. აღ-ჯაუზი, 1952:

და პისნ-ქაიფას ართუეკიანთა სამფლობელოს ანექსია.

მუჭამად ალ-ჰამავი მოგვითხრობს, რომ პიქრის 629 წ. ზამთარი, ე.ი. 1231 წ. დეკემბერი და 1232 წ. იანვარ-თებერვალი მონღლობმა მუღანში გაატარეს, საიდანაც ახორციელებდნენ მარბიელ ლაშქრობებს და აიღეს განჯა (მუჭ. ალ-ჰა-შავი, 1982:232). განჯის აღება 1231-32 წ. დასტურდება ქართული და სომხური წყაროებითაც (ჰამთააღმწერელი, ძც, II, 1959:184-85; მოშიამვილი, 1961:100; მანაძე, 1943:79-80). უამთააღმწერელი მოგვითხრობს, რომ მონღლობი, მას შემდეგ რაც შეწყვიტეს ხერასშელთა დევნა და დაიმორჩილეს აზერბაიჯანი, "მეორესა წელსა წარვიდეს ბარდავს, განმას და მუდანს და მუნ იწყეს რევად და ოკრებად საქართველოსა" (ძც, II, 1959:186; მცდ. სილაგაძე, 1992:58).

მონღლოლთა სხვა ლაშქარი განჯის აღების შემდეგ ჩრდილოეთ მესოპოტა-მისკენ გაემართა. ჰიკრის 629 წ. ჯუმადა ალ-ახირას თვეში / 6.IV – 4.V.1232 წ. აიუბიანთა სულტანს ალ-ქამილს დამასკოში აცნობეს ხლათის მხარეში მონღლოლთა შეკრის შესახებ. შეშფოთებული სულტანი აიუბიანთა გაერთია-ნებული ძალებით სწრაფად დაიძრა ჩრდილოეთისაკენ. ის ჯერ სალამიაში დაბანაკდა, მერე კი ალ-ბარიასკენ გაემართა. აქმას ეახლა მრავალი ხელმწიფის, მათ შორის ქართველთა მეფის ელჩიც (იმნ აღ-დავადარი, VII:305; ალ-მაკრი-ზი, I:1:281-82). უკველია, რომ რუსუდანი აიუბიანთაგან მონღლოლთა წინა-აღმდეგ მხარდაჭერას ითხოვდა, მაგრამ ქართულ დაბლომატიას ამ შემთხვევა-შიც მარცხი ელოდა. 629 წ. რამადანში / 21.VI – 20.VII.1232 წ. ქ.ჰარიანში მისულ ალ-ქამილს აცნობეს, რომ მონღლობმა დატოვეს ხლათი. მის დაცუმას თითქმის აღარაფერი უკლდა, მაგრამ სულტანის მოახლოებით დაშინებულმა მონღლოლებმა მიატოვეს ის (მუჭ. ალ-ჰამაზი, 1982:235; ალ-მაკრი-ზი, I:1:283; Gottschalk, 1958:195). აიუბიანებმა ერთხელ კიდევ დაკარგეს ინტერესი მონ-ღლოლებისადმი. საქართველოს ხელისუფალთა ცდა აიუბიანებთან ერთად ანტი-მონღლოლური ფრონტის შეექმნისა კიდევ ერთხელ დამთავრდა უშედეგოდ. ეს იყო მათი უკანასკნელი შანსი. მალე, 1232 წ. ოქტომბერ-ნოემბერში ალ-ქამილმა ხელო იგდო მიდი და პისნ-ქაიფა დარა-ბაქრში, რამაც უაღრესად გაამწვევა მისი ურთიერთობები რუმის სულტანთან — ქი-ყუბადთან. აიუბიანები და მცირე აზიის სელჩუკები, რომლებიც 1230 წ. აგვისტოში ჯალალ ად-დინის წინააღმდეგ გაერთიანდნენ, ახლა ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. მონღლოლთა ახალ შემოსე-ვებს მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო გათიშული დახვდა. ხერა-ზმელუბთან ბრძოლებში დასუსტებული საქართველო მოკავშირის გარეშე, მარ-ტოდმარტო აღმოჩნდა მონღლოლთა წინაშე, რომლებმაც მისი სამხრეთ-აღმოსა-ვლეთი სანაპიროების — ვარამ გაეღლის სამთვლობელოების დარბევა დაიწყეს (სილაგაძე, 1992:58 და მცდ.). ამ უმძიმეს ვითარებას დაერთო საქართველოს წინააღმდეგ რუმის სასულტნოს ექსანსია.

იბნ ბიბის ცნობით, რომელიც ქართულ ისტორიოგრაფიაში ნ.შენგელიაში შემოიტანა, 629/1231-32 წ. მონლოლთა ერთი ნაწილი ჩარჩალან-ნოინის მეთა-ურობით, საქართველოს დედოფლის რუსუდანის წაკეშებით, რუმის სასულტნო-ში შეიპრა და სივასის სანახებში ფუსერის მოსახლეობა დაარბია (იმით მიმი: 175; შენგალია, 1975:97). მემატიანე მონლოლთა ამ ლაშქრობის თვეს არ ასახელებს და მის შესახებ არც არაბი ისტორიკოსები გვაწვდიან რამე ცნობას. ვთიქრობთ, რომ ეს მდგრადი 1232 წ. ან ზაფხულის მიწურულს, ან შემოდგომის დამდეგს მოხდა, რაღაც არც მონლოლები შემდეგ მულანში დაბრუნდნენ, სადაც ჩვეულებრივ ზამ-თარს ატარებდნენ ხოლო.

როგორც კი მონლოლთა რეილის შესახებ აცნობეს, სულტანშა ქაი-ყუბადმა მტრის წინააღმდეგ მირა ქამალ აღ-დინ ქამიარი წარგზავნა. სივასის მისადგომე-ბთან ქამალ აღ-დინმა შეიტყო, რომ მონლოლები უკუჭცულყველენ, მაგრამ მაინც გააგრძელა მსვლელობა არზეაუმამდე, სადაც ამ მხარის გამგებლის მუბარიშ აღ-დინ ჩაშნიგირის რჩევით შეჩერდა. აյ მას მზევრავებმა შეატყობინეს, რომ მონლოლები ოუნუსის ულელტეხილით (დარბანდ-ი-ოუნუს) მულანს წასულყველენ (იმით მიმი:176). მათვე დამატებით აცნობეს მას, რომ სულტანის სამფლობელოში მონლოლების შეპრაში საქართველოს დედოფლის შეგულიანებამ ითამაშა როლი. ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ სელჩუქებს საქართველოზე დაეწყოთ ლაშქრობა.

იბნ ბიბი არ განმარტავს, თუ კონკრეტულად რაში გამოიხატებოდა რუსუ-დანის მიერ მონლოლთა შეგულიანება-წაკეშება. კაյანი მიიჩნევდა, რომ ქართველებმა დახმარება აღმოუჩინეს დამპყრობლებს, შესაძლოა იძულებით, მაგრამ ეს შეესაბამებოდა მათ ტრადიციულ მტრობას თვეურებითან. ამიტომ გადაწყვდა, რომ მოოხრებული პროვინციების ზარალის ასანაზღაურებლად სელჩუქებს შეური ეძიათ მათზე (Cahen, 1968:130); სხვა ნაშრომში ის წერდა, რომ ქაი-ყუბადმა ქართველებს რამდენიმე სასაზღვრო კიხე წაართვა იმ საბამით, რომ მონლოლთა რეილი მის სამფლობელოში განხორციელდა ქართველთა ტერიტორიის გავლით (Cahen, 1970:817). ხ.მუსავევის თანახმად რუსუდანი მონლოლთა წამქეშებელი და მოკავშირე იყო (Mycaes, 1972:16). 6.შენგელია აღნიშნავს, რომ რუსუდანმა „მოახერხა საქართველოს ორი მოსისხლე მტრის დაპირისპირება და ერთმანეთზე წაისიანება“ (შენგალია, 1975:99). შეიძლება ვკამათოთ და ვიმსჯელოთ ამ შემთხვევაში რუსუდანის დიპლომატიურ ნიჭისა და აღლოზე (შერ. სილაგაძე, 1992:61-62). ერთი მხრივ, როცა მონლოლები კარს იყვნენ მომდგარნი, მათთან მორიგება და რუმის სასულტნოსკენ მათთი წარჩართვა გამართლებული იყო. მეორე მხრივ, ფაქტია, რომ როცა მონლოლებმა თავიანთი მსვლელობა აღარ გააგრძელეს და უკან დაბრუნდნენ, მცირე აზიის სელჩუქებმა დალაშეჩერეს საქართველო.

სელჩუქთა სარდლები ქამალ აღ-დინ ქამიარი და მუბარიშ აღ-დინ ჩაშნიგირი

არ დაქმაყოფილი დნენ სახელმწიფოს ყველა მხრიდან შეკრებილი მრავალმრიცხოვნი ჭვერით ჯარით და წამოყვანეს 5 ათასი ჭირა-ხერი, ე.ი. დაქირავებული მეობაზე (იმზ. მიმი: 176; *Bombaci*, 1978: 353) საალყო მანქანა-იარაღებითურთ. მოკლე ხანში მთა საქართველოში 30-40 ცნობილი ციხე აიღეს.

6. შენგალია წერს, რომ სელჩუქი საქართველოს სამხრეთ ნაწილში შეიქმნენ (შენგალა, 1975:100). გასარკვევი რჩება, თუ კანქრუტულად რომელი მხარე დალაშქრეს მათ.

ინნ პიბი სელჩუქთა მიერ აღებულ ციხეთა შორის ასახელებს მხოლოდ ორს: ნიხასს და ხახს. მათი იღენტიტიფაკა შესაძლებელია. ნიხაზი მდგრადიობდა აზზ-რუმის ჩრდილო-აღმოსავლეთით, 45 კმ-ზე და თოროუმის დასავლეთით, მდ. ჭიროხისის მარჯვენა ნაპირზე. აქ მოუვალ კლდეზე ციხის ნანგრევები დაფიქსირებულია XIX ს. 70-იან წლებშიც (*Eriuqos*, 1883:83; ჯადა, 1964:103). ხახი კი, კვერკრობთ, არის სომხური და თურქული წყაროების ხახუ, იგრვე ხახული. მაშა-სადამე, ირკვევა, რომ ქაი-ყუბადის გარს დაურჩევია და დაუპყრია იმიტრას ნაწილი მანც. ლაშქრობა შეიძლებოდა განხორციელებულიყო როგორც აზზ-რუმის დაბლობიდან საქართველოს ყელის (ცურჭი-ბოლაზი) გავლით, ისე სპერიდან.

რუსულანი ძიულებული გახდა ზავი ეთხოვა და ქაი-ყუბადიც დათანხმდა. დატოვა თუ არა მან დაყრიბობილი ციხეები — უცნობია. ზავის პირობები ითვალისწინებდა რუსულანის ასელის, თამარის გათხოვების ქაი-ყუბადის ვაზზე — ქაი-ხესრაუზე. ეს ჭირწინება მოხდა 1237 წ., ქაი-ხესრაუს სასულტნო ტახტზე ასკლის შემდეგ<sup>12</sup> (*Brossset*, 1850:502; შენგალა, 1975:103, შე. 34). 6. შენგალია მიიჩნევს, რომ ზავის პირობების ერთ-ერთი მუხლი აღმართ ითვალისწინებდა სელჩუქთა მხარეზე ქართველთა სამხედრო ძალების გამოყვანას (შენგალა, 1970:106). მართლაც, უკვ 1234 წ. ქართველთა შენაერთები მონაწილეობდნენ ქაი-ყუბადის ბრძოლებში აუტიანთა წინააღმდეგ ჩრდილოეთ შესორომაშიაში და 1237 წ. კი შედიოდნენ იმ ლაშქრში, რომლის დამკრასაც რუმის სულტანი აპირებდა ასევე აუტიანთა წინააღმდეგ ამინის დასპურობად (შარ მემრულესი, 1932:399, 402). ეს ხდებოდა მაშინ, როცა საქართველოს სამეფო ხელისუფლება ვერ ახერხებდა ორგანიზებული წინააღმდეგობა გაეწია ქვეყანაში შემოწრილ მონლოლთა ურდიგებისთვის. ქაი-ყუბადი, რომელიც 1232 წ. ზავი თავისი პოლოტიკური მიზნებისთვის გამოიყენა, ცხადია, საქართველოს ზედა არ აწუხებდა. მას

12 თამარის შავია და ქაი-ხესრაუ ბიბი შეიღები იყენენ. კ-ეპელიძე შეითოვებდა, რომ თამარის მეფობის დროს საქართველოში ფეხმოქიდებული იყო ისეთი საეკლესიო პრატეცია, რომლითაც შეულლება შეიძლებოდა ნითექსომის მექქეს ხარისხის შემდეგ, მეშეოდესა და შემდეგ ხარისხებში ცეკვებული, 1938:120, აგრეთვე: ნადარეიშეილ, 1971:67). ამდენად, მართლმადიდებლური ქრისტიანული ნორმებით, დაუშევებელი უნდა ყოფილიყო თამარის გათხოვება ქაი-ხესრაუზე, მაგრამ პოლიტიკური ფაქტორებით, ჩანს, ამ შემთხვევაში უტორო შეიძლეოდა იღმომნდა. აქვე აღვინმავთ, რომ მცირდება ის სამართლით ასეთი ჭირწინება ნებიდართულია.

არ გაუწევია რაიმე დახმარება რუსუდანისთვის.

1233 წ. სულტანმა ქაი-ყუბადმა მძიმე დარტყმა მიაყენა აოუბიანებს (რომლებმაც მანამდე მოახდინეს ამიღისა და ჰისნ-ქიფის ანექსი). ის შეიჭრა ვანის ტბის რეგიონში და ადვილად დაიკავა ხლათი (*Gottschalk, 1958:212*). იმავე წელს მან ჩრდილოეთი ხელთ იგდო სურმარიც. უფრო აღრე, 1227-1230 წლებში, როგორც ვნახეთ, ქაი-ყუბადმა დაიპყრო და გააუქმა არზინჯნისა და არზრუმის საამიროები. სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით საქართველოს უშეალოდ დაუმშობლდა აგრესიული რუმის სასულტნო, რომლის აღმოსავლეთი საზღვრებიც აზერბაიჯანმდე აღწევდა. არზრუმი და არზინჯნი, ხლათი და სურმარი არცთუ დიდი ხნით აღრე საქართველოს საგარეო-პოლოტიკური ინტერესების სფეროში შედიოდა, მაგრამ ახლა, დაუძლურებულ ქვეყანას, რომლის სანაპიროებსაც უკვე აოხრებდნენ მონლოლები, აღარ ძალუებდა პროტესტი გამოითქვა რუმის სასულტნოს სამხედრო-პოლოტიკურ აქცეუბზე. ძნელი სათქმელია, თუ როგორ წარიმართებოდა მისი ურთიერთობები ამ ძლიერ მეზობელთან, რომ არა მონლოლთა შემოსევები. მონლოლთა ქარიშხლის წინაშე კი ორივე უძლური აღმოჩნდა.

მონლოლთა დაპყრობითი ომების გამანადგურებული შედეგები მახლობელი და შეუა აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის კარგად არის ცნობილი. მძიმე იყო ისინი საქართველოსთვისაც. მაგრამ მონლოლთა შემოსევებს ერთი სპეციფიური თავი-სებურება ჰქონდა. წარმართი და შამანისტი მონლოლები, რომლებიც ებრძოდნენ ისლამურ (მათ შორის საქართველოს მოწინააღმდეგ) ქვეყნებს, მოკავშირეებად უენებდნენ და უკრძნობოდნენ ქრისტიანებს (*Петрушевский, 1970:230*). მალე საქართველო, რომელმაც კვერ გამონახა საერთო ენა ისლამურ სამყაროსთან, ჩათრებული აღმოჩნდა მასთან ახალ, ხანგრძლივ და სისხლისმღვრელ ომებში, რომლებიც იღხანთა სახელმწიფომ გააჩალა.

## საქართველო და მახრებელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო: იდეოლოგიური პრემია და მუზიკობიანი თანაარსებობა

თურქ-სელჩუკებმა ახალი სული შთაბერეს ორთოდოქსალურ ისლამის — სუნიზმს. მათ გაანადგურეს შიიტი ბუვეიისანები ირანსა და ერაყში, სძლიერ შიიტ ფატიჰიანებს სირია-პალესტინაში და ენერგიულად ებრძოდნენ ისმაილიტებს. სუნიტი აჯტორები ექტენდნენ მახლობელ აღმოსავლეთში თურქთა თოთქმის ყოვლისმომცველ ბატონობის იდეოლოგიურ და თეოლოგიურ გამართლებას. მუჰამად ქაშარი დაახლოებით 1072 წ. თავის წიგნში "დივან ლუღათ ათ-თურქ" წერდა, რომ "თურქებს დმერთმა უბობა მეფობა, აქცია ისინი ეპოქის ხელმწიფებად, ჩააბარა მათი დროის ადამიანთა ხადავევები და გააპატონა გაცომრიობაზე" (*Lewis, 1974:195*). რავენდი მოგვითხრობს ხატიფზე, ზებუნებრივ იდუმალ ხმაზე, რომელიც მექაში, ქაბას ტაძარში თოთქოსდა ამცნო იმამ აბუ ჰანიფას (ჰანიფიტთა მაჰსაბის ფუძქმდებელს), რომ ვიდრე თურქებს მახვილი უპრითა, მისი სარწმუნოება არ გაქრებათ (*Bosworth, 1981:33*). რავენდი იქვე დასხენს, რომ "არაბთა, სპარსთა, ბიზანტიელთა და რუსთა მიწებზე მახვილი თურქების ხელშია და მათი მახვილის შიში ყველას გულში შტრიცედ დამკვიდრებულა" (*Bosworth, 1968: 15*).

თურქ-სელჩუკები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს სუნიტური ისლამის კონსტალიტაციას, ამავე დროს გამოვიდნენ ქრისტიანთაგან ისლამის სამყაროს დამცველთა როლში. დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს დაშლის შემდეგაც მახლობელი აღმოსავლეთის თურქელი პოლიტიკური ერთეულები წარმატებით ებრძოდნენ დასავლეთის ქრისტიანებსა და ბიზანტიის.

ჟროული წარმოშობის აიუბიანთა გამოსვლას მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკურ ასპარეზზე მოჰყვა თურქელი ელემენტის როლის შემცირება, მაგრამ ეთნიკურ კუთვნილებას ისლამისათვის არ ჰქონდა დიდი მნიშვნელობა. აუბიანთა აღზევება ნიშანვდა ორთოდოქსალური ისლამის პოზიციების შემდგომ განმტკიცებას. ისლამის მძლავრი იდეოლოგიური აპარატი ერთნაირად უჰერდა მხარს როგორც თურქ-სელჩუკებს, ისე აუბიანებს, რომლებიც სუნიზმის დამკვიდრებს წარმოადგენდნენ.

თურქ-სელჩუკების შემოსევების წინ ისლამის გავრცელების ძრითადი ფრა

საქართველოში იყო თბილისის სამირაო, რომლის ტერიტორიაც საკუთრივ თბილისით და მიმდებარე მხარეებით (მათ შორის ქრისტაფოთ) იურგლებოდა. მუსლიმები, მოხხედავად იმისა, თუ როგორი იყო მათი ბატონობის პოლიტიკური ფინანსები თბილისში, 1122 წლამდე მტკიცედ ინარჩუნებდნენ აქ თავიანთ პოზიციებს.

VIII ს. შეა ხანებიღან თბილისისადმი ინტერესს იჩენდნენ როგორც ზომიერი, ისე უკიდურესი შიომური სექტები, რომლებიც ცდილობდნენ თვისი გავლენა მოეცოვებინათ ისლამის ამ სამართლო ოლქში (ხუდრ), მაგრამ, საბოლოოდ, აქ გაიმარჯვა ორთოდოქსალურმა ისლამმა — სუნიზმი. ინდ ჰაუკალი, რომელიც X ს. შეა ხანებში ესტუმრა თბილისს, წერს, რომ მისი მოსახლეობა (იჯულისმება მუსლიმები) წმინდა სუნას მიმდევარი იყო. საფიქრებელია, რომ თბილისის სუნიტებში სხვადასხვა მაჟამადის მიმდევართა შორის შაფიტები ჭარბობდნენ. (ე. სიხარულიძე, 1976 ა: 36; გ. მერაძე, 1983:54-60; ჯაფარიძე, 1989გ:80,83-4, 87-8).

VIII ს. შეა ხანებში პირველად არის დაფიქსირებული და შემდეგ ხშირად გვხვდება ნისპა ათ-თაფლისი (ათ-თაფლისი). მას ატარებდა არაერთი სუნიტი და შიომური დათისმეტყველი, მუჰადდისი, სამართლის მცენრე (ფაკიზი), მეცნიერი და სხვ, რომლებიც თავიანთი მოღაწეობის რომელიმე კუთხით დაკავშირებულნი იყვნენ თბილისთან. ადგილი პეტრო არამარტო მუსლიმთა მიგრაციას თბილისისკენ, არამედ მათ ემიგრაციასაც თბილისიდან ისლამური სამყაროს მძღვანი სავაჭრო-სახელოსნო და კულტურული ცენტრებისკენ (ე. სიხარულიძე, 1976 მ:43-53; ჯაფარიძე, 1989გ:77-88; 1990ა:65-78). თბილისის სამირაოში გავრცელდა მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყაროსათვის დამახასიათებელი პოლიტიკური ინსტრუმენტი (ვ. გამაბაშვილი, 1964: 331-41). აქ იქტებოდა არაბული მონეტები. თბილისის ამირებად იყვნენ სხვადასხვა არაბული საგვარულოს წარმომატებენლები. IX ს. მიწურულოდან XI ს. 80-იან წლებამდე მას განაცემდა ჯაფარიანთა (ბანუ ჯა'ფარ) არაბული საგვარულო.

საქართველოს გაერთიანების პროცესში, უკვე XI ს. 30-იანი წლებიდან დღის წესრიგში დადგა თბილისის შემოერთების საკითხიც, მაგრამ ბაგრატ IV-ის ღონისძიებები ამ მიმართულებით უშედევო აღმოჩნდა, ხოლო შემდეგ თურქ-სელჩუკთა შემოსევებმა გადავადეს ქალაქის განთავისუფლება მუსლიმთა ბატონობისაგან.

თურქ-სელჩუკთა შემოსევებმა ახალი იმპერის მისცეს ისლამის გავრცელებას საქართველოს ტერიტორიაზე. 1064 წ. საქართველოში შემოკრილ სულტან ალფ-არსლანს მიეგება ლორესა და ჯვახეთის მოსახლეობა, რომელმაც "მიიღო მოძღვრება [ჭეშმარიტი] რწმენისა." გამუსლიმებულთა შორის იყვნენ ქართველი დიდებულებიც (ალ-ჭეხაიძი: 23ა; შენგალია, 1968:229).

1067 წ. ალფ-არსლანის ხელახალი შემოსევის დროს მოხდა უპრეცედენტო

ფაქტი საქართველოს ისტორიაში: ისლამი მიიღო კახეთის ქრისტიანში მეფეებ აღსართანში. მან აღიარა მუსლიმური რწმენის ფორმულა ("არა არს დმერთი თვინიერ აღლაპიხა და მუჰამადი მოციქულია აღლაპიხა") და წინა-დაიცვითა კიდეც. სულტანმა აღსართანს გაუგზავნა სამართლისმკოდნე (ფაგი-ქი), რათა ესწავლებინა მისთვის ისლამის კანონები, ლოცვა და ყურანის სურები (აღ-პუსაინი: 26ა-28ბ; შენგალია, 1976გ:193).

თურქ-სელჩუკების შემოსუებებს თან ახლდა საქართველოში ქრისტიანული საკულტო ნაეგბობების ნგრევა, მათ "წმინდანი ეკლესიანი შექმნებს სახლად ჰუნეთა მათთა, ზოლო ზაგურთხეველი დმრთისანი – ადგილად არაწმი-დებიხა მათისა. და მდდელი, რომელიმე თუთ მეწირვასავე შინა საღმ-რთო ქა ქა მსხურპლისაბა მუნვე მას კლითა მეწირულ იქმნებს და სიხს-ლნი აღრივნებს თვხნი მეუფისათა თანა" (დავით აღმ. ისც. 1992:160).

აღ-პუსაინის ცნობით, აღფუ-არსლანმა ჭავახეთში დაანგრევინა ეკლესიები და მათ ადგილზე მექეთები აგებინა (აღ-პუსაინი: 23ა). ისლამის გავრცელება დამა-ბასირათებული იქნებოდა ყველა იმ კუთხისა და ქალაქისათვის (დმანისი, რუსთავი, სამშელდე, ოლთისი და სხვ.), რომელიც თურქ-სელჩუკებმა დაიძყრეს.

ისლამის პოზიციები გაძლიერდა თბილისშიც. აღფუ-არსლანის ბრძანებით აქ აფი საქართული მექეთი (აღ-პუსაინი: 26ბ). თბილისში მუსლიმური და ქრის-ტიანული მოსახლეობის თანაფარგობის შესახებ სხეადასხეა, ურთიერთსაწინა-დმდევე მოსაზრებაა გამოთქმული (იბ. ჩხაფარაადშილი, 1973:29; გ.გამაპული, 1981:86, 96), მაგრამ ამ საკითხზე ზუსტი მონაცემები არ გავაჩინა და გადაჭრით ჩაიძეს თქმა ძნელია. არაფრი კიცით მუსლიმთა ეთნიკური შემადგენლობის შესახებაც, მაგრამ საფიქრებელია, რომ XI ს. 60-იანი წლებიდან თბილისში უნდა გაძლიერებულყო თურქული ელემენტი (ჩხაფარაადშილი, 1973:24).

ისლამის ჭვეუნებში მცხოვრები სალებობის მსგავსად ქრის-ტიანულ მოსახლეობას თბილისში ექნებოდა სტატუსი მფარველობაში მყოფი ხალხისა, ზიმმიებისა (პლ აზ-ზიმმა). ქრისტიანებს პერიდათ საკულტო საკულტო შენობები. აღ-პუსაინი იხსენიებს ერთ ეკლესიას (შესაძლოა, სიონს), რომელსაც თბილისელი ქრისტიანებისთვის ისეთივე მნიშვნელობა პერიდა, როგორც ქაბას მუსლიმებისთვის (აღ-პუსაინი: 23გ; შენგალია, 1976გ:193; თშილისის ისცობით 1990: 163).

დავით IV-ის სამხედრო-პოლიტიკურ აქტივობას, მის ძლევამოსილ ბრძოლას თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ, უნდა განეპირობებინა და განაპირობა კიდევაც ქრისტიანთა მღვმარეობის გაუარესება თბილისში. დავით აღმაშენებლის ისტო-რიკოსი მოგვითხრობს, რომ ქალაქი "... სავხე იყო სიხსლითა ქრისტეანეთა-მთა; რამეთუ ოდესმე ყვიან დავდავი და თვინიერ მიზეზისაცა მოსრნიან რაოდენნი ბოვნიან ქრისტეანენი, ზოლო ოდესმე ქარავანსა თანა მემო-ყოლილთა თურქმანთა ზედა განსცნიან შემომავალ-განმავალი ქრისტე-

ანენი, და ტყეუეობასა და სიგუდილსა მიხვნიან; და ესრუთ ისრვოდა ქვეყანა [ გ ] მრავალ გამ" (დავით ალ. ისც. 1992:203).

თბილისელი და დმანისელი მუსლიმები იყვნენ ერთ-ერთი ინიციატორი ანტიქართული მუსლიმური კოლეგის შექმნისა, რომელიც 1121 წ. ავისუტოში დიდგორში სასტყად დაამარცხა დავით IV-მ. მომდევნო წლებში მან დაიხსნა თბილის და დმანისი და ამ ქალაქების მუსლიმური მოსახლეობა ქართველი მეფის ქვეშევრდომი გახდა. თურქ-სელჩუკებთან ბრძოლის პროცესში საქართველოს სამეფოს შემადგრნლობაში შევიდა შარვანისა და სომხეთის ოსმალი ქალაქი (კაბალა, ანისი, დვინი, ყარსი...), სადაც ასევე იყო წარმოდგენილი მუსლიმური მოსახლეობა.

სამხედრო-პოლიტიკურ კონფრონტაციას ისლამურ სამყაროსთან (ქვეყნის შიგნით და მის გარეთ) თან სღევდა მწვავე იდეოლოგიური ბრძოლა ორი რელიგიის აღმსაჩერებელთა შორის. ამავე დროს, საქართველოს სამეფოს ქვეშევრდომობაში მუსლიმური თემების შესვლა განაპირობებდა იმის აუცილებლობას, რომ საქართველოს სამეფო კარს მათ მიმართ გამოემუშავებინა ურთიერთობის გარკვეული ფორმები.

## 1. მართვლი ძრისთიანობა და ისლამი:

### იდეოლოგიური ბრძოლა

### ა. იდეოლოგიური ბრძოლის ასპექტები

ჩვენთვის საინტერესო ხანის ქართულ ისტორიულ წყაროებში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებას, რომელ შიც მუქ ფერებშია დახატული თურქ-სელჩუკთა შემოსევები, არ შეიმჩნევა აშეარად გამოხატული და ყოვლისმომცველი ანტითურქული განწყობილება. ვ.დონ-დუა წერდა, რომ „ხალხის შემეცნებაში საქართველოს შეურიგებელ მტრად აღიარებული იყო არამარტო მუსლიმობა თავისთავად, არამედ უძლიერესი და უაგრძესიულესი მისი წარმომადგენელი, საუკუნოვანი თავდამსხმელი — „თურქნი“ (ღონითა, 1973ა:80). მაგრამ ამ თვალსაზრისის დასაბუთება წყაროების მონაცემებით ძნელია. თვით ვ.დონ-დუას ფაქტობრივად მოპქონდა მხოლოდ ერთი მაგალითი, როცა თამარის მონაპირეთა დიდ წარმატებად იყო მიჩნეული ის, რომ "ვერცა თურქნი იორის პირსა და მტკუარის პირსა საძოვარსა აწყვენდეს" (დც, II, 1959:130). მკლევარი თვლიდა, რომ თამარის მეორე ისტორიკოსის ამ ცნობაში „თითქოს მულავნდება ისტორიკოსის წადილი, ირიბი გზით მოავინოს მკითხველს მეთურთმეტე საუკუნიდან დაწყებული „თურქობის“ საშინელება, მაშინ ახალ სტიქოურ უბედურებად მოვლუნილი თურქულ ცხენოსან ლაშექართა თარეშები იმ იორ-მტკურის სანაპიროზე“ (ღონითა, 1973ა:80).

ლიტერატურული ძეგლებიდან ანტითურქული განწყობილების ერთადერთ მაგალითად არის დასახელებული ჩუსთაველის "აღაფობდეს საჭურჭლესა შიხსა, ვითა ნათურქალხა". "ნათურქალი", ვ.გაბაშვილის აზრით, „მოსწრებული და გვიხსინათებს თურქთა ალაფობისა და რეპვა-თარების შედეგებს". ამასთან, ის მოუთითებდა, რომ ქართველი ისტორიკოსთა ანტიმამადინური განწყობილება ნამდვილად ანტითურქულ განწყობილებას ნიშნავდა (ვ.გაბაშვილი, 1968:287).

საჭიროა აღინიშნოს, რომ თამარის ისტორიკოსთა ეპოქაში თურქული ელუ-მენტი, რომელიც გამატონდა მახლობელი და შეუა აღმოსავლეთის ვრცელ ტერიტორიაზე განსხვავდებოდა იმ ძალისაგან, რომელიც მონაწილეობდა თურქ-სელჩუქთა შემოსევებისა და დაპყრობებში. თურქები ეზიარენ ფეოდალურ ურთიერთობას (ნ.მეტბენიშვილი, 1973:67). თურქთა ზედაფენამ დაპყრობილ ტერიტორიებზე თანდათან გადაიღო დაპყრობილი ხალხების მრავალი წეს და ჩვენა, რომელიც უცხო იყო მომაბარებელისათვის. არაბულ აღმოსავლეთში, მაგალითად, თურქთა ურბანიზებულიძა ზედაფენამ ძალზე მაღლ შეითვისა არაბული, შეერთია დაფილობრივ მოსახლეობას და, როგორც მიხეილ სირიელი წერდა, არაბები და თურქები შეერწყენ ერთმანეთს ერთ ხალხად (Гусейнов, 1957:104; Семенова, 1990:80). დავით IV-ის მემკვიდრეთა თანამედროვე ართურიანები, შაჰ-არმენები, სალთუკიანები, ელდიგუზიანები და სხვ. ასევე შორის იდგნენ მათი წინამორბედი თურქმენი ბელადებისაგან, რომელთა ერთადერთ მიზანს ძარცვა-რბევა და ნაცავლის მოკოვება წარმოადგენდა.

თურქთა ზედაფენამ განიცადა ირაბული ისლამიზებული საზოგადოების მძლავრი გავლენა და ის თავდა გახდა იმ საზოგადოების ტრადიციებისა და მისწრაფებების გამომხატველი და დამცველი. ქართული კულტურისა და სამეცნიერო კარისათვის თურქი სულტანები და ამირები, უპირველეს ყოვლისა, მტრული რელიგიის — ისლამის წარმომადგენლებსა და დამცველებს განასახიერებდნენ. ამრიგად, ფაქტობრივად, იდეოლოგიური ბრძოლა მიმართული იყო არა იმდენად თურქ-სელჩუქთა, რამდენადაც ისლამის წინააღმდეგ. მესაბაძისად, მუსლიმ იდეოლოგთათვის ბრძოლა ქართველებთან იყო ბრძოლა „ურწმუნო“ ქრისტიანთა წინააღმდეგ. ნაჩატულ წყაროებში ასახა იდეოლოგიური კონფრონტაციის გამოვლინების სხვადასხვა ფორმა.

მოწინააღმდეგის სარწმუნოების დისკრედიტაცია და საკუთარი რჩეულის უპირატესობის წარმოჩენა. ისლამის ფუძემდებლის სახელი XII-XIII სს ქართულ ისტორიულსა და ლიტერატურულ წყაროებში სხვადასხვა ფორმით არის დამოწმებული: მუპამადი (არს. იყალთოლი: 311v, 312r; თეოდ. ამუკურა: 96), მუპამედი (თეოდ. ამუკურა: 98; ძც, II, 1959:432), მოპამადი (ძც, II, 1959:13323), მოპამადი (ჩახტებაძე: 1756, 5516), მოპამედი (ძც, II, 1959:935), მუპმედი (არს. იყალთოლი: 312r; ძც, II, 1959:599), მაპმადი (შავთოლი: 824; რესთაველი, 10312). მუპამადი არის "მოციქული" და "წინასწარმეტვებალი" (არს. იყალთოლი: 311v; ძც, II, 1959:935), მაგრამ მის ამ ფუნქციებს, მუსლიმური კონკურნტაციის

განსხვავებით, ექლუვა უარყოფითი კვალიფიკაცია.

ისლამური მოძღვრება მუპამადზე, როგორც წინასწარმეტყველზე, მჭიდროდ არის დაკავშირებული მოძღვრებასთან საერთოდ წინასწარმეტყველებისა და იმ სალვოთ წერილის შესახებ, რომელსაც ალლაჰი ადამიანებს გარდღოუვლენს ამ წინასწარმეტყველთა მეშვეობით. ისლამური კონფლიქტით, უმაღლესი რანგის მოციქულები: ადამი, ნოე, აბრაham, მოსე და იუსონ ქრისტე იმავდროულად იყვნენ წინასწარმეტყველებიც. თითოეული მათგანი იგზავნებოდა გარკვეულ ტომებთან და ხალხებთან. მუპამადი ითვლება უკანასკნელ და ყველაზე დიდ მოციქულად და წინასწარმეტყველად, „წინასწარმეტყველების კარებად“ და „წინასწარმეტყველების ბეჭდად“ (ხათიმ ან–ნაბიინ) (Петрушевский, 1966:67; Пиотровский, 1991:184; Horowitz, 1974:427-8; Wensinck, 1932:203-4).

ეს მოძღვრება მიუღებელი იყო ქრისტიანებისათვის. უკვე იოანე ამასკელი უწოდებდა მუპამადს ცრუ წინასწარმეტყველს, რომელიც შემთხვევით გაეცნო ძველსა და ახალ აღთქმას, ესაუბრა არიანელ ბერს და შემდეგ შექმნა საკუთარი ერესი. ის წერდა, რომ არავინაა იმის მოწმე, რომ ღმიერობმა გარდმოუვლინა ყურანი მუპამადს. გარდა ამისა, იყო ქრისტესან განსხვავებით, არცერთ წინამორბედ წინასწარმეტყველს არ უწინასწარმეტყველებია მისი გამოჩენა (ითანა დამასკელი, 1992:159-61; Addison, 1942:26). არგუმენტი იმის თაობაზე, რომ მუციმადის, როგორც წინასწარმეტყველის, მოვლონება არ ისხენიება ძველსა და ახალ აღთქმაში, იყო საქმიოდ მნიშვნელოვანი ქრისტიანთათვის ანტიმუსლიმურ პოლემიკაში (იხ. მაგ. Vryonis, 1971ა: 271-72). ეს არგუმენტი იმავე დროს საქმიოდ მტკიცნეული იყო მუსლიმთათვის, რომლებიც ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ ქრისტემ წინასწარმეტყველა მუპამადის მოციქულობა (ასევა ტურანში: 616), რომ ამის შესახებ ნათელები იყო სახარებაშიც, მაგრამ ქრისტიანებმა ამოშალეს ის (დათიაშვილი, 1976:92-3).

შეუა საუკუნეების აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქრისტიანი თეოლოგები არ ცნობდნენ წინასწარმეტყველად და მოციქულად მუპამადს, რომელიც უარყოფდა ქრისტიანული რწმენის ძირითად დოგმატებს (Yomim, 1976:99; Журавский, 1990:26-7 და შემდეგ; Addison, 1942:28; Hourani, 1980:4,8), ბუნებრივია, რომ იგივე თვალსაზრისი გაბატონებული იყო ქრისტიანულ საქართველოშიც. მუპამადი გამოცხადებულია როგორც „ცრუ მოციქული“, „უსჯული“, „ცრუ წინასწარმეტყველი“ (წამება არჩილ მეფისა: 250; დავ. და კონს. წამ., 489; დც, I, 1955:251; ახ. იდალთოვლი: 311 ს). იოანე შავთელი მას უწოდებს „შეზღაპრება, ცხდ დადამბრება, (სპარს. წინასწარმეტყველი)“, დმრთისა არმართლად შეადაგებელსა“ (შავთელი: 823). ამავე დროს მუპამადი არის „მიღწი იგი ხელისმღებელი“ (წამება არჩილ მეფისა: 252), „ხიძვა-მრუშებით, არაწმიდებით, ჩუგნა-ლირწებით ხჯელთა მპყრობელი“ (შავთელი, 822). ამ შემთხვევაშიც ქართული ქრისტიანობა ხარეს უხდიდა იმ ტრადიციას,

რომელიც ოთანე დამისკულიდნ მოყალებული (ითანე გამასკული, 1992:164-65) მთელი შეუ საუკუნეების განძილზე (Уотт, 1976:101-2; Журавский, 1990:28) ბრალს სკეპტიკისტის ფუქსმდებელს "დედათა მიმართ აღვრწიავ- რილად ცხოვრებაში" (შეტ. აზტ. იყალთოლი: 312r).

რადგანაც მუკამიდი „უსჯული“, „ცრუ მოციქული და წინასწარმეტყვლია“, გისი სარწმუნოება — ისლამი, მუპამედის, მუჰმედის, მაჰმადის სჯული, „ხჯული გოამედისა შიერ ქადაგებული“ (ძც, II, 1959:43,59,185), არის „ცრუ სჯული“. ამ სარწმუნოების აღმასარებელთ და მიმდევრით ეწოდებათ ისლამინი (ჩახ-ტეტეაძე: 9712), ისლომინი ან ისლუმინი (ძც, II, 1959:11, 14,67,70), მუსლუმანი (ძც, II, 1959: 93 ), მუსულმანი (ძც, II, 1959: 5, 107 ; ჩახტეტეაძე: 3215, 6515), მუსურმანი (ძც, II, 1959: 131), მოჰმადის ტრომინი, მოჰმადიანი (მრ.მოჰმადიანინი) (ჩახტეტეაძე: 1756 1860; ძც, II, 1959:131), მამადინი (ძც, II, 1959:5), მოჰმადის რესულის მჭირავნი (ტეტავაჯლი, 1951:10312). გარდა ამისა, მუსლიმთა მნიშვნელობით, მოუხედავად მათი ეთნიკური კუთვნილებისა, XII-XIII სს. ქართულ წყაროებში გამოიყენებოდა, აგრეთვე: სპარსი (ვ.გამაზოლი, 1968:275-79), აგარანი (ძც, II, 1959:5-6), აგარის ერი და აგარის ტრომი (ჩახტეტეაძე: 3216; 7612), აგარის ნათეასვი (ძც, II, 1959:75), ისმაილელი (ძც, I, 1955:351; II, 1959:5-6) და სარკინოზი, სჭულოთ სარკინოზი (ძც, II, 1959:8, 11, 71,101) — ის ტეტრინები, რომელიც ადრეულ ქართულ წყაროებში არაბის მნიშვნელობით იმბარებოდა.<sup>1</sup> „ცრულრწეულინი“ არიან მუსლიმები, სარკინოზები (ძც, II, 1959:101). აბასიან ხალიფას თამარის პირველი ისტორიკოსი უწოდებს „ცრუ ხჯულისა მდებელობა სარკინოზობისასა“ (ძც, II, 1959:11). ოდიოზურია ისლამის შეფასება ქართველ მეხიტარეთა პოეზიაში. იოანე შავთელი ისლამს უწოდებს „შავმადის ხჯულისა გარდალაჯულისა, ბილწად ხაქიქელ-საბახრობელისა“ (მაკოლი: 821). ჩახ-რუსაძე მუსლიმებს ახასიათებს როგორც „აგარის ერთა საღმობიერთა“ (ჩახ-

აგარი, ჰაგარი იყო ბიბლიური აღრამის სარტკე. მისი ვაფეშვილი ისმაილი ითვლება არაბთა ეთნიკურად. „აგარის ძენი“ (*Bany Hagar*) არაბების მნიშვნელობით ისმარებოდა სირია-ულში. სირია-ულშიცეც არაბებსა და მამადიანებს აღნიშნავდა *hagraya* (ქ. ნერეთული, 1981: 197). ისმაილეთი მოწინაარებს ისმაილიტთ. სარკინოზის ჭავანშერი განმარტავდა როგორც „სარას ძალის“ (ქც. I, 1955:230). ასეთი „ერიმოლოგია“ უკრინობა ბერძნულს: *Saracenia* (სარაკენის). სარკინოზი გააზრებულა, როგორც *Sarpha* (ხად. სახელი სარა) და *Kusaw* (ნათ. კუსავ), „ძალის“ (ქ. ნერეთული, 1981:199). იოანე დაბატკელის განმარტებით ეს სახელურდება მოწინაარებს სირკებებიდან, „სარას კერნუს“, რომელგაც ეგარჩა უთხრა ანგლოზის: „სარარა კერნ მა არლისენ“, ანუ სარამ მე კარიელ გამზიშე , განმიტევო, (იოანე დამასკელი, 1992:159; Sweetman, I/1, 1945:64). ჩ.საუთერნი წერს, რომ ამ სიტყვის ასწანა, შესაძლოა, მოპოვება ისიღორის: ეს არის *Sarageniti* — სარას შთამომავალი, ან ასე იწოდებიან ისინი თავითანთა სირია-ული წარმოშობის გამო *quasi Syringae* (Sauthern, 1962:17, შერ. 11).

რეგისტრი: 32:16). ისლამის მიმართ უფრო თავშეკავებულია რუსთაველი. მაგრამ მის პოვებაშიც, როგორც აღნიშნავდა ვ.დონდლია, მუყრინი და მულომნი სასაცილო რაოლში გამოდიან, თითქოს ყველას მხსნელი „მუსაფი“ (ყურანი) მათ განსაცდელის უძის ვერავითარ შემწეობას აძლევს და მხოლოდ სისულელეს „აჩმაზვინებს“ (დონდლია, 1973 გ: 109); უარყოფითია დამოკიდებულება მუსლიმთა რიტუალებისადმი. ასე, მაგალითად, მუსლიმთა მარხვა თამარის პირველი ისტორიკოსის მიერ შეფასებულია როგორც „შეგინებულიმარხვა“, „ბილწისა ხჯულისა მათი მარხვა“, ხოლო ქადაგება „ბილწიქადაგება“ (დც, II, 1959:101,102).

მუსლიმთათვისაც ქრისტიანები, მათ შორის ქართველები, იყნენ „ურწმუნები“. „ურწმუნოთა სახლად“ ხდება მუსლიმთა ის სამფლობელოები, რომელთაც ქართველები დაუფლენენ. ასე, მაგალითად, 1206-7 წ. როცა ქართველებმა სახოლოოდ დაისყრეს ყარსი, არაბი მემატიანის თვალსაზრისით ის „გადაიქცა ურწმუნოთა ხახლად (დარ შირქ) მას შემდეგ, რაც იყო ერთდღე-რთიანობის სახლი“ (იმნ აღ-ახირი, XII:256).

ჭუვინი წერს, რომ ჭალალ აღ-დინშა შალვა ახალციხელის სიკედილით დასჭის შემდეგ დალაშქრა საქართველო და არბევდა მას, „ხანამ ბოლოს და ბოლოს ჭეშმარიტებამ არ ხძლია სიცორუეს“ (ჯუვეინი, 1974:31). საარსელი მემატიანის თვალსაზრისით, როგორც ოკვედა, ისლამის რწმენა — ჰუშმარიტებაა, ქრისტიანული კი — სიცრუე.

\*იმად აღ-დინ აღ-ისფაპანი, როცა ის აღნიშნავს ყარა-სონცურის გამარჯვებას ქართველებზე, წერს, რომ ღმერთის ერთარსობის (აპლ ათ-თავჭიდ) მიმღევრებმა სძლიერს სამების მიმღევართ (აპლ ათ-თახლის). ამის შედეგად კარგმა საქმემ გაიმარჯვა უკეთურებაზე (აღ-ისფაპანი / აღ-მუნდარი, 1900:173), ამ ცნობაში სახება ოდიოზური მნიშვნელობით იხსიარება.

როგორც ცნობილა, მოძრვებება სამების შესახებ ქრისტიანული ღვთისმეტყველების უმთავრესი დოგმატია, რომლის მიხედვითაც ღმერთი ერთია თავისი არსებით, მაგრამ ამავე დროს ის არის „სამგვამოვანი“, სამი ჰიპოსტასის მქონე: მამა ღმერთი, ძე ღმერთი და სულიწმიდა.

სამება, როგორც ის არის წარმოდგენილი ყურანში, არ ეთანხმება საეკლესიო საბჭოების მიერ ფორმირებულ დოქტრინებს. ყურანში სამება შედგება ღმერთის, იესოსა და მარიამისაგან (*Anawati*, 1973:83; *Wolfson*, 1976:304). ამ ტრიადაში სულიწმიდა არ ფიგურირებს. ყურანის თანახმად, ალლაჰმა გამოგზავნა ანგელოზი ადამიანის სახით, რომელსაც ეწოდება ჩვენი სული (ყურანი: 19:16), რათა გამოუცხადოს მარიამს, რომ მას დაებადა ძე. ძე დაიბადა ზებუნებრივად, ქალწული მარიამისაგან, ალლაჰმის მიერ შთაბერილი სულით და შემქმნელი სიტყვის „ჰუნ“ („იქმენ“) ბრძანებით. იესო, რომელც ყურანში სხვადასხვა სახელით (ის. ძველთ) იხსენიება, მიეკუთვნება ალლაჰმან დაახლოებულ პირებს, ე. ი. მსგავსია უმაღლესი ანგელოზებისა (*Пиотровский*, 1991:119). მარიამს აცნობეს, რომ იესო იქნე-

ბორა ალლაპის მოციქული, საღვთო წერილის მქადაგებელი და სასწაულმოქმედი, გაგრძელ, ამავე დროს ყურანში ხაზგამულია ის, რომ იქვთ არის ალლაპის მონა (ყურანი: 43:59) და არა მისი ქედა და ლვთაება (ყურანი: 57:5; 930). ისლამი უარყოფს იქსოს ლვთაებრიობას.

ყურანის მთელი რიგი აუბისა მისართულია სამების წინააღმდეგ: "იწამეთ ალლაპი და მისი მოციქულები და ნუდა იტყვით არისო სამება" (41:69). "ურწმუნონი არიან, რომლებმაც თქვეს: ალლაპი მესამეა სამისაგან, რადგანაც არა არს ღმერთი, თვინიერ ერთადერთი ღმერთისა" (57:6); "შესიაძე მარიამისა, მხოლოდ მოციქულია" (57:8). "ის არის იქსო, მე მარიამისა, სიტყვა ჭეშმარიტი, რომელიც ემჰვებათ. არ ეგების, რომ ალლაპმა იყოლიოს შვილები, დიდება მას" (1934:5). "თქვეს ეძრაელებმა: 'უზადრი (ეზ-რა-გვ) არიხო მე ალლაპისა. და თქვეს ქრისტიანებმა: იქსო არიხო ალლაპის ძე. ეს სიტყვები მათი ბაგებიდან ჰგავს სიტყვებს ურწმუნოთა, ალლაპიმც დახოფავს მათ'"(931). "ალლაპი მარადიულია, არ უშობია და არც მობილა" (ყურანი:112:3; Sweetman, I/1, 1945:31 და შემდ.; Wolfson, 1976:305).

მუპამაღმა უარყო სამების დოგმატი, რაღვანაც მასში ხედავდა შირქ-ს, ალლაპის მოზიარეობას, მრავალმეტრთიანობას. ალლაპი ერთადერთია, მას არა ჰყავს მოზიარე (და შარიქა ლაპუ) და როგორც აღინიშნა, არ უშობია და არც შობილა (ლაპ ჩაღიდ ვა და მულადულ). იქსო არის მხოლოდ მოციქული ალლაპისა და მის მონა (Петрушевский , 1966:68) და არა ქე ალლაპისა, მეორე „გუამი“, ჰიპოსტასი სამებისა. კველა ის, ვინც ამტკიცებს საწინააღმდეგოს, არის მუშრიექ, პოლიტიკისტი, მრავალმეტრთიანობის ამილარეტელი, ურწმუნო. სამების მიმდევრები, ამდენად, არიან ურწმუნოები. "იმად აღ-დინ ალ-ისფაპანის თანახმად, ქართველები, როგორც სამების მიმდევრებინი (აპლ ათ-თასლის) არიან ურწმუნონი, რომელთა დამარცხებაც ალლაპისათვის სასურველი საქმეა.

თამარის პირველი ისტორიული ისლამს ზორაოსტრიზმთან აკავშირებს, რათა კიდევ უფრო დაამტკიროს ის. როცა ქართველების წინააღმდეგ ალდგნენ ერაყისა და ხორასანის სულტანი და ბაღდადის ხალიფა, მათ "ძებნეს ცეცხლითა განლეული მ(უ)ალნი ზორლა(ს)ტროსისნი, რომელი იყო პირველ [ი] მეფე და ვარსკულავთ-მრიცხველი ხბარსთა შორის, რომელთათვეს ით[ქ]ვა ეხ-რეთ: "ვიდრემდის გაქუნდეს ესე, არ მოაკლდეს მეფობა ხბარსთა"<sup>2</sup>

<sup>2</sup> ქართული წყაროს ეს პასაქი საგანგებოდ განიხილა ვ-გაბაშვილმა. ის საესებით მართებულია და აღნიშნავდა, რომ ამ ამბავის „არაფერი საერთო არა აქვს ოფიციალურ მუსლიმურ თვალსაზრისითან“ და ის შეიძლება იახნას იმ მკიდრო კავშირის საფუძველზე, რომელიც „საარსულ ტრადიციებსა და ისლამს შორის არსებობდა“ (ვ. გაბაშვილი, 1968:280-81).

(ისტ. და აზრ. შერავანდ., ქც, II, 1959:11).

მემატიანე სხვა ადგილზე კიდევ უფრო მკაცრ ბრალდებას უყვნებს მუსლიმებს: "აწ თქვას სიტყუამან ესეცა საძნაური და საბრალო. ვინათვან სიბრძნედ და მეცნიერობად ნათესავსა აგარიანთასა აქვს საქმე გრძნებისა და მოგულბისა განსწავლილთა იუნიტანისაგან"<sup>3</sup>. ისინი "შემდგომითი მემდგომად არიან მჩხიბავნი, მწამლველნი, უარისმყოფელნი დმრთისანი" (ქც, II, 1959:76).

ვალში ქართველებს არც მუსლიმები რჩებოდნენ. „ურწმუნო“ ქართველები ეშმაკის, სატანას „მეცნიერები“ და „მიმღევრები“ არიან (ჯუვაინი, 1974:31,32). ისინი სატანას შეცონებით მოქმედებენ. ჯალალ ად-დინის წინააღმდეგ ბრძოლის დროს ქართველებმა მართ დაიმტედეს თვე, რაღაც აც "შათ გამარჯვება აღუთქვა სატანაშ". ყურანის მიხედვით კი "სატანა მხოლოდ ცრუ დაპირებებს იძლევა" (იმპ ალ-ასირი, XII: 450; ყურანი: 4:119).

მუსლიმთა მხარეზე მაღალი ალლაჰი. ინმ ალ-ასირი თავის თხზულებაში ხშირად შესთხოვს ალლაჰს, რომ მიხედოს მუსლიმებს, გამოუგზავნოს ქართველთა წინააღმდეგ პიროვნება, რომელიც დაიკავს ისლამის საზღვრებს და შურს იძიებს მუსლიმთათვის (იმპ ალ-ასირი, XII: 204,435). ეს ალლაჰმა მოუტანა სიხარული მუსლიმებს შემახისათან, როცა ერთოვნების წაჲკიდა ქართველები და ყოვჩალები და ამით იხსნა სულტანი მამტუდი (იმპ ალ-ასირი, X:615-16). 602/1205-6 წ. ხლათი ქართველთა შეტევის დროს მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, მაგრამ "ალლაჰმა იხსნა იხსინ [მუხლიმები], შათი [ქართველების] ბოროტებისაგან" (იმპ ალ-ასირი, XII:241) და, ბოლოს, სწორედ "შადალმა ალლაჰმა მიხედა [იხსლამის] ქვეყნის ხაცოდავ ხალხს წყალობის თვალით, შეიწყალა იხინი და გაუგზავნა შათ ჯაღალ ად-დინი... და [მან] შერი იძია ქართველებზე იმისთვის, რაც შათ გაუგეთეს იხლამსა და მუხლიმებს" (იმპ ალ-ასირი, XII:435).

ქრისტიან ქართველთა თვალსაზრისით ღმერთი „ურწმუნო“ მუსლიმთა წინააღმდეგ ბრძოლაში მათ მხარეზეა. დიდგორში, ქართველი მემატიანის თანაბმად, დავით IV-მ იმიტომ გაიმარჯვა, რომ "კელი მაღლიისა მეეწეოდა, და ძალი ზეგარდამზ ჟფარვიდა ბას; და წმიდამ მოწამე გიორგი განცხადებულად და ყოველთა სახილველად წინა-უძღოდა მას და მკლავითა თვისთა მოხრვიდა ზედა-მოწევნულთა უსჯულოთა მათ წარმართთა" (გავით აღმ. ისტ., 1992:191).

მოუხედავად იმისა, რომ 1163 წ. ლორესა და დმანისს შორის მდგომ გიორგი III-ს მუსლიმები მოულოდნელად დაეცნენ თავს, მეფეს უმნიშვნელო დანაკარგი

<sup>3</sup> იუნატინის შესახებ იხ. კეკელიძე, 1962:216, კეკელიძე, 1973:24, შენ.36.

ქქონდა. არა მარტივი იმიტომ, რომ მან გამოიჩინა "განსაკუთრებული ხიმკნე და ხიქვაზღვა", არამედ იმის გამო, რომ მას დაეხმარა "კელი ხაუფლო" (ისტ. გა აჩმ. მართავანდ., ქც, II, 1959:14).

მოწინააღმდეგის სახელმწიფო მოღვაწეთა და სამხედრო ძალების დამცირება. საქართველოს მეზობელი შარვანისა და არჩანის მუსლიმ პოეტთა შემოქმედებაში მაღალი შეფასება ეძღვავა ქართველ მეფებს დემოტრე I-სა და თამარს (სცენამი, 1990:55-8; გ. ძერაძე, 1976:62). მაგრამ, ჩვეულებრივ, მუსლიმი ავტორები მიმართავდნენ „ურწმუნო“ ქართველ სახელმწიფო მოღვაწეთა დამცირებისა და დისკურსიტაციის მეთოდს.

ინ ბიბი თამარს აღარებს ბილკისს (იმნ მიმი :33). ბილკის საბას (სამხედრო არაბეთი) ბიბლიური დედოფალი თავის ჰელვეტიულებისან ერთად, სატანისაგან მოტუებული, თავანს სკემდა არა აღლას, არამედ მზეს (*Carra de Vaux, 1974:63; Пицопровский, 1991 გ:41-42*). ინ ბიბიმ თამარს მხოლოდ რუქ აღ-დინზე გამიჯნურება არ აგძარა და სხვა ავტორული ცოდვებიც მიაწერა. თამარი, თურმე, თანამდა არაბული ანდაზისა "ქალებს აქვთ ბუნებრივი მიდრეგილება ვნებისაგენ", სადაც კი წააწყდებოდა კვალს ლამაზლოყება და ტებილად მოუბარი უფლისწულისას, მასზე სიყვარულის ვნების ენაზე სიმღერებს თხზვდა და იყენებდა ოქრის და სიტყვას, რათა სასურველი მსხვერპლი თავისი სურვილების ბადეში გაება (იმნ მიმი: 33; *Canard, 1969:7; ნაცოლმცილი, 1988:70*). მ.კანარმა, რომელმაც კრიტიკულად შეაფასა ინ ბიბის ეს ცნობა, ასეთი ასწანა მოუქმება მას: „შეართველობა ქალისა, დედოფლისა, აღმოსავლეთში, განსაკუთრებით კი მუსლიმებს, შეეძლოთ ალეთქვათ როგორიც შეურაცხმულფელი და არაჩვეულებრივი. დედოფლები, რომლებიც ხდებოდნენ არამარტო მეფეების ცოლები, არამედ თვითონ ახორციელებდნენ უმძღვეს ხელისუფლებას და ჩრდილოვნენ თავიანთ მამაკაც ქმრებს... ყოველთვის წარმოადგენდნენ კრიტიკის ობიექტს“<sup>4</sup> (*Canard, 1969:8-9; Берадзе, 1984:71*).

პირველად ინ ალ-ასირთან გვხვდება და შემდეგ, სხვა არაბ ავტორთა თხზულებებში გავრცელდა რუსუდანის სამიჯნურო თავგადასავლები (იმნ ალ-ასირი, XII:416-17; ამგ ღ-ფიდა', III:133; იმნ თაღრი-მარტი, VI:259). რაც არ უნდა რეალური საფუძველი ქქონდეს მათ (შდრ. ვირაჲ. განძაკვეთ: 155), ამ გაღმოცემებში აშეარად შეინიშნება მუსლიმთა გაღიზიანება. მათთვის აუტანელი იყო საქციელი არზრუმის გამგებლის ვაკისა, რომელმაც რუსუდანზე ქორწინების საზღაურად დათმო ისლომი და გაქრისტიანდა. ეს უკიდურეს გაღიზიანება ჩშორად გამოსცევის ინ ალ-ასირის თხზულებაში და როგორ ჭალალ აღ-დინმა სძლია ქართველებს, არაბმა მემატიანებ ნიშნის მოგებით გაიხსენა აღლაპის მოციქულის

<sup>4</sup> მ.კანარის აზრით, თამარისა და რუსუდანის სახელმწიფო დაკავშირებული გამღოცემები ისახა შეუასეულებების არაბულ ხალხურ რომანში „ხირათ ალ-პიმი“ (*Canard, 1969:14 და შემდ.*). ამ რომანში უაღრესად ოდიოზურად არის დახასიათებული ქართველთა დედოფალი ბუბთუსი (ფატიმას ცხოვრება: 166-67).

მუჟამადის სიტყვები: "არ ექნებაო წარმატება ხალხს, რომლის ხაქმე-ებსაც განაგებს ქალი" (იმპ ალ-ასირი, XII:436). რაც შექება ჭუკვინის, მან ქართველთა შესაფასებლად პირველი მართლმორჩმუნე ხალიფას აბუ ბაქრის (632-634) ნათქვამი დამოწმა: "მდაბალია ის, რომელსაც ქალისთვის თავისი საქმეებიჩაუბარებია" (ჯუვაინი, 1974:30). როგორც იმპ ალ-ასირი, ისე ჭუკვინი ვერ ფარავნ სიხარულს იმის გამო, რომ მარცხი განიცადა ხალხმა, რომელსაც მართავს ქალი.

"იმად ად-დინ ალ-ისფაპანისთვის საძულველ პიროვნებაა ივანე აბულეთის ძე, რომელმაც აიღო განგა. მემატიანე წყველა-კრულვას უთვლის მას (ალ-ისფაპანი/ალ-მენდარი, 1900:173; ჯაფარიძე, 1992:122). ან-ნასავის მიხედვით შალვა ა ახალციხელი "ერთი ყველაზე ცნობილი ეშმაკია" (ან-ნასავი, 1973:158). ჭუკვინი კი წერდა, რომ შალვა და ივანე ახალციხელები იყვნენ "ებოქის ყოველ-გვარი არეულობებისა და შეოთის ამტებთა მეთაურები". ამასთან, შალვა "ადის ტოშის მამაგაცს ჰეგავდა ტანის სიდიდითა და წარმოხადვებით, გვთილმობილი დირსებითა და ძლიერებით" (ჯუვაინი, 1974:29). ამ უკანასკნელი, კოორდინაცია საქებარი დახასათების მიღმა სხვა აზრი ძევს. უურანსა და მუსლიმურ გადმოცემებში "ადი არაბეთის ერთ-ერთი ძველი ხალხია, რომელიც დაიღუპა. უურანი მოგვითხრობს: 'ადის ტოშელა კეთილდღეობაზე, მათ მაღალ ტანზე და, ამავე ტრიოს, მათ ურწმუნობაზე. ისინი ისე გამაყდნენ, რომ უარი თქვეს უური ეგღოთ ალლაპის შეგონებებისათვის და ამისათვის დაისაჭირო'. ქარიშხალმა აღგავა: 'ადიტები პირისაგან მიწისა (Пиотровский, 1991:12; Buhl, 1974:13). იმდენად, ჭუკვინის ნართაული მინიშნებით, შალვას, როგორც ურწმუნოს, დალუპვა ელის, რაც მოხდა კიდეც.

ქართველი მემატიანეებისათვის, საერთოდ, არ არის დამასასიათებული მუსლიმ სახელმწიფო მოღვაწეთა განურჩეველი დისკრედიტაცია. ცნობილია და დასაბუთებულია ის მაღალ შეფასება, რომელიც მისცა მალიქ-შავს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსმა (ქვ, I, 1959:321; გ.გამაშვილი, 1968:292-93). იმავე მემატიანემ "გაცი დაპშანი" ე.ი. გმირი, მამაცი, გამბედავი (Brossat, 1849:214; ჩელიძე, 1984:14) და "მრავალღონე" უწოდა ნაჯმ ად-დინ ილ-ღაზის. უძმთააღმწერელი მუქ ფერებში აგვიწერს ხარაზმელთა შემოსევას, მაგრამ როცა მოგვითხრობს ჭალალ ად-დინის სიკვდილს, არ კილას მას: "ხულტანი ჯალალდინ მოიკლა, და აქა მინა დახრულდა ხრულიად კელმწიფობა მაღალი" (ქვ, II, 1959:185). და მაინც, არც ქართული წყაროებია თავისუფალი მოწინააღმდეგის დამცირებისგან. ეს უპირველესად ეხება სელჩუკთა სულტან მაჰმუდს, რომელიც „მტრება შიშისაგან“ დავითისა (დავით აღმ. ისფ., 1992:198). გორგი III-ის წინააღმდეგ დარაზმული მუსლიმი გიმებლები თამარის პირველი ისტორიკოსის მიხედვით არიან "მხგავსად მკეცთასა აღმლებს ველი გბილთა" (ქვ,

II, 1959:6) და სხვ.

იბნ ალ-ასირი აქტორებს იმ მუსლიმ გამგებლებს, რომლებმაც შეწყვოტეს ქართველთაგან ისლამის საზღვრების დაცვა, მიეცნენ განცხრომასა და გართობას (იბნ ალ-ასირი, XII:256). სამაგიროდ ის განადიდებს ჭალალ ად-დინს, რომელმაც სტლია ქართველებს და აიღო თბილის: "ეს იყო დიდებული დაპყრობა და მისი [ჯალალ ად-დინის] ადგილი განდიდდა იხლამის ქვეყნებში და მუსლიმებში. და ეს იმიტომ, რომ ქართველები დიდი წნის მანძილზე უსამართლოდ ეპყრობოდნენ [მუსლიმებს] და რასაც ხურდათ, იმას უპართვებდნენ... და მათ ხელს ვერავინ უშლიდა... და უქმნა [ჯალალ ად-დინის] ქართველებს ესე საქმენი და დიდება მას, ვისაც ხურს რამე და თქვა: "იქმენ" და იქმნა (იბნ ალ-ასირი, XII:451, 453).

ხეარაზმ-შაჰის ქმედება ზემომოტანილ ცნობაში შედარებულია ღმერთის — ალლაჰის ქმედებასთან, მის შემქმნელ სიტყვასთან "ქუნ" ("იქმენ"), რომლის წარმოთქმითაც მან შექმნა სამყარო, ადამი, იუსუ ჭრისტი. ჭალალ ად-დინის მიერ საქართველოს მოოხრების აღწერის დროს ან-ნასავი სიამაყით აღნიშნავს, რომ მუსლიმებმა ამ ქვეყანაში მიიღწიეს ისეთ აღგილებს, სადაც მანამდე არ აფრიკალუბულა ისლამის დროშა და არ წაყითხულა ყურანის არცერთი სურა და აია (ან-ნასავი, 1973:161).

ასევე, ქართველი მემატიანები ქართველ მეფეებს დამსახურებაში უთვლიან ისლამის წინააღმდეგ ბრძოლებსა და ამ ბრძოლებში მოპოვებულ წარმატებებს. დავით IV-მ "... დახსცნა წარმართნი, მოხრნა ბარბაროზნი... მეოტად წარიქცივნა არაბნი, იავარად ისმაიტელნი, მტუერად დასხნა სპარსნი, ხოლო გლეხად მთავარნი მათი" (დავით აღმ. ისფ., 1992:206). გიორგი III-მ "რა იძყრა შარავანდედი მეფობისა, შვდ ხამეფოდ განწევებული, ადმგულმან ზენათა პორფირითა და გურგუნითა, ადიჭურნა მკლავნიცა მუსრვად და მოწყვედად წინააღმდგომთა ქრისტეს ხჯულისათა: აგარიანთა, ისმაიტელთა დაშამადინთა" (ისფ. გა აბბ. შარავანდ., ქც. II, 1959:5).

თამარის დროს "მოაკლდებოდეს ძალსა მოჰმადიანთასა, და მცემელიცა ებანსა, რაქეთუ ქრისტიანეთა ორდანონი კმოვანიბდეს კიდით კიდემდე. დამრტა ხახოება მუხურმანთა, და ყოვლითურთ უღონონი ღონე-ყოფდეს, რათა წყალობად მოიზიდონ წყალობის-მოყუარე თამარი" (შას. უშ-სმოძღ. ქც, II, 1959:131-32).

ორივე მხარე ცდილობს განტექს და დაამციროს მეტოქეს სამხედრო ძალები და განადიდოს საკუთარი. გარნისის ბრძოლის წინ ჭალალ ად-დინის სიახლოეთ "ქართველებს დამბლა დაეცათ. იხინი შიშმა და მწუხარებაშ მოიცვა... იხინი იმედოვნებდნენ, რომ ხელტანი დათანხმდებოდა ზავზე და გადაურჩებოდნენ არწივის თავდასხმასა და ზღვის მორევს"

(ან-ნასავი, 1973:157). გალალ ად-ღინის მემატიანის ცნობით ქართველთა კუთხილმა, როგორსაც შევქლოთ გატაცვალი საფუნი და მათმა მრავალრიცხოვნობამ სულტანი ისე შეაშინა, როგორც მგლებს ეშინიათ ცხვრის ფარისა და ლომებს — მოხეტალე ჭოგბისა (ან-ნასავი, 1973:157). დამარტებული ქართველი ბიძინი მასთან მივიღნენ „დამცირებულთა მორჩილებით, ისე როგორც დამნაშავეები მიდიან [ჯოჯოშეთის] ცეცხლთან. და მათი სასები დაფარული იყო ურწმუნოების მტკრითა და დამძიმებული — წარუმატებლობის სისუსტით“ (ან-ნასავი, 1973:158).

ასეთივე მაგალითები შეიძლება მოვიტანოთ ქართული წყაროებიდანაც. დავთ IV თბილისთან დაუდარაჯდა თურქებს და „მხწრაფლ შთაბრიალდა ვითარება არწივი, და დააბნივა ვითარება გაგაბნი“ (ძე, I, 1955:350). ბასიანში, სადაც ქართველები მოულოდნელად დაეცნენ რუქნ ად-ღინს: „[წარიგუეთა] ხახოება მეფისა მათისა. ხოლო იგინი განკრთება... ქართველებმა“ მიმართეს ხბარსთ-კერძ. და ვითარ ნადირსთვეს მოხსრაფე იქნებს მონადირე, ეგრეთ მხსრაფლ მოეტევნებს ერთ-კერძო ხოხლან დავით და ერთ კერძო ზაქარია... და ვითარ მგელნი ცხოვართა, ეგრეთ შეუცვივდეს ურიცხუსა მას ხბასა შინა სულტნისასა“ (იც. ღ ა აშ. შარავანდ., ძე, II, 1959:96-97).

დამარტებულია დამარტებული მტრის აღწერაც: „და ინილვებოდა ხაქშე საპკრველი რამეთუ თვით იყვნებს მსახურ თქისა შეკრვისა, რომელნი განერნებს პირსა მაკლისასა. უდიდები მათი შეიკროდა უმცროსისა მიერ თქისა, და უწარჩინებულებები მათი მოიყანებოდა გამოიმული ძეასა ცხენისასა, და ერთითა ხაბლითა ერთისა მიერ კაცისა შეიკროდა ოცი, და თმითა გამოებმოდა ერთი-ერთხა, ყრმისა მიერ მცირისა უმჯობესნი მბრძოლთანი მოიყანებოდეს ვითარება თიკანი. გამოიძინებს ყოველნი ადგილნი და გაქცევლთა კოდებეს, ხოლო ნეშტთა ვითარება მართულთა ქათამთასა მოჰკრეფებეს“ (ბას. ეზოხმოძ., ქც, II, 1959:139).

კამათი თეოლოგიურ საკითხებშეც. ცნობილი ქრისტოლოგის იანენ დამასკელის (გარდ. 750 წ.) დროიდან სათავე დაედო ანტიოქუსლიმური ტრაქტატების შექმნას. ასეთ ტრაქტატებში მოთხრიასობილია, თუ როგორ უპირისპირდებან ერთმანეთს ქრისტიანი და მუსლიმი მოაბეჭდები, რომლებიც კამათობენ ქრისტიანული და მუსლიმური თეოლოგიის ძირითად საკითხებზე. კამათი ჩვეულებრივ მთავრდება ხოლო ქრისტიანის გომარჯვებით, რომელიც წარმატებით იცავს ქრისტიანული რწმენის დოგმებს, თვალსაზრისებს და აბათილებს, აცამტვერებს მუსლიმურს.

საოცარია, მაგრამ XII ს-მდე ქართული მწერლობა არ იცნობს რაიმე ორიგინალურსა თუ ნათარგმნ ანტიოქუსლიმურ პოლემიკურ ტრაქტატს. არ თარგმნილა იანენ დამასკელის „ქრისტიანისა და ხარგინოზის გამათი“ (*Disputation*

*christiani et saraceni*“), რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული შუა საუკუნეების ქრისტიანულ აღმოსავლეთში. ითანა დამასკელის მთავარი ფილისოფიურ-დოგმატიკური ობზელების „ცოდნის წყაროს ასევე მხოლოდ ნაწილობრივ კართული თარგმანი მოგვეპოვება. მისი მეორე ნაწილი „წვალებათათვის“, რომელშიც ქრისტიანულ ერესებთან ერთად განხილულია ისლამიც, როგორც ერთ-ერთი ერესი და მოცემულია მისი კრიტიკა, ადრე არ თარგმნილა<sup>5</sup> (ლოლაშვილი, 1978:108-110). მხოლოდ მოვალეობით, XII ს-ში არსენ იყალთოელმა ბერძნულიდან ქართულად თარგმნა ითანა დამასკელის მიღევრისა და მისი მოწაფის თეოდორე აბუჟურას ანტიმუსლიმური პოლემიკური ტრაქტატი „სარგინოზთა მიმართისა ხიტყებ-გებისაგან ნეტარისა თეოდორე ავტეგურადახი“ (თეოდ.ამუკუტა: 94-115). მანვე შეაღინა პირველი ქართული ანტიმუსლიმური პოლემიკური ობზელებაც „ქენებად ხიტყებებისად და ხასკელისად შევლისათვე ქრისტეანებთა და სარგინოზთა“ (არს.იყალთოელი, S 1463; ლოლაშვილი, 1978:118-23). ყოველივე ეს მოწმობს, რომ ისლამურ სამყაროსთან სამკლრო-სასიცოცხლო კონფრონტაციის პირობებში, საქართველოში ისლამის გამოცხადებისა და მომძღვრების საპირისპირო, ქართული ეკლესიის მესვეურებმა სეროზული ყურადღება დაუთმეს ისლამთან იდეოლოგიურ ბრძოლას და ქრისტიანული მართლმადიდებლური საწმინდების დოგმების უპირატესობის წარმოჩენას ისლამურთან შედარებით.

მოუხდავად იმისა, რომ თეოდორე აბუჟურას თბზელება ნათარგმნია, ის მაინც კარგად გვიჩვენებს, თუ რა საკითხებშიც ამახვილებდნენ ყურადღებას ქართველი ქრისტიანები მუსლიმებთან თეოლოგიურ კამათში. ესენია: მუჭამადის გამოცხადება ცრუმოლუქულად, გაბათილება მუსლიმთა თვალსაზრისისა იმის თაობაზე, რომ ქრისტე იყო მხოლოდ ალლაპის მოცეული და არა მისი ძე და ლიქრითი, დაცვა სამების დოგმატისა, რაც მოუღებელ იყო მუსლიმთათვის, ქრისტინების ქრისტიანული წესის უპირატესობის წარმოჩენა მუსლიმურთან შედარებით და სხვ. (თეოდ.ამუკუტა: 96-115; დათიაშვილი, 1976:91-101).

ჩვენთვის ასეამად უფრო სანქტერესოა არსენ იყალთოელის „ქენებად ხიტყებებისად“ ამ თბზელების ორივინალობაზე მოუთითებდა კ-ტკელიძე, რომელიც ამავე დროს დასძენდა: „რასაკირველია აზრები და არგუმენტები ამოღებულია იმ თბზელებებიდან, რომლებიც იძრუონნდელ პოლემიკურ მუწერლობაში ტრიალებდნენ. მაგრამ კომპონიციური და იდეური დამუშავება ქართველს უკარგნის“ (კველიძე, 1951:449).

„ქენებად ხიტყებებისად“ იუწყება, რომ თბილისში მოვიდა „სარგინოზთა ხელმწიფე“, სახელად იმამია. მის წინაშე გაიმართა თეოლოგიური კამათი, რომელშიც ქართველია ბერძმა დაამარცხა ჭერ მაზდანი, მერე კი მუსლიმი თეო-

<sup>5</sup> ეს ნაწილი მხოლოდ ახლახან ითარგმნა ქართულად გამურკაბის მიერ (ითანა დამასკელი, 1992:113-171).

ლოგი ("შეცვლის მეცნიერი") ი. ლოლაშვილი თვლიდა, რომ ეს კამათი თბილი-სში გაიმართა დავით IV აღმაშენებლის მეფობის ბოლო (1122-1125) წლებში, ანდე დემეტრეს მეფობის დასაწყისში (ლოლამცილი, 1978:100), როცა თბილისი განთავისუფლებული იყო მუსლიმთაგან. მაგრამ ის ფაქტი, რომ იამამაშ მოითხოვა შემოვძროვათ ბერისთვის სამისა, ქალაქში მუსლიმთა მძლავრობაზე მეტყველებს. ამასთან, არ არის გამორჩეული, რომ არსენ იყალთოელის მიერ აღწერილი პაეჭრობა-კამათი ფიქტურიც კი იყოს.

არსენ იყალთოელის ტრაქეტატში ქრისტიანთა და მუსლიმთა პოლემიკის ტრადიციული საკითხებია დასმული. ქართველი ბერი მუსლიმი ოპონენტის კითხვების შესაბამისად განმარტავს, თუ ვინ იყო იქსო, მართამის ქე, როგორ „შევიდა მუცელსა დედაკაცისა ჰურიისასა“, „რისთვის აიძულა“ მან „თვესა ყოფად და მერჩე მიკუმად თვით თვესა ჰურიათა მოკლვად“, არის თუ არა სახარებაში მუჭამადის სახელი, არის თუ არა მუჭამადი ცრუ წინასწარმეტყველი და სხვ. შემდეგ ბერი თავად უსვამს კითხვებს მუსლიმ მობაეჭრეს: მუჭამადი „ყოვლისა სოფლის მიმართ მოვლინებული“ იყო, თუ მარტო არაბებისთვის და მუსლიმებისთვის; რომელი ენით იყო საქადაგოდ მოვლინებული მუჭამადი; ბრალს სდებს მუსლიმს „დედათა მიერ აღვრწყარილად“ ცხოვრებაში; აიძულებს მუსლიმს აღიაროს, რომ „ქრისტე სული არს და სიტყვა დმრთისად მობილი ქალწულისა შარიამისაგან.“

ი.ლოლაშვილია მოუთხა, რომ არსენ იყალთოელის ტრაქეტატში ყურადღება გამახვილებულია ქრისტიანული რელიგიის ჰუმანურ მხარეზე და ისლამის იმულებითსა და ძალიატანებით გავრცელებაზე:<sup>6</sup> მუჭამადი „მოვიდა ერთითა ძირითა და სიმრავლითა დაშქართადთა და შახვილითა და ესე ასწავა ერსა თკსხა: უგეთუმცა გზასა მიზკდოდე და მიგედეროს ვინმე, აგინეთ, და უგუეთუ გაგინონ, თქუენ ეცით, უგეთუ გცენ, თქუენ მოკლათ და სისხლი მასვე აზდვიერ“. განსხვავებით ქრისტეს მოციქულთაგან, რომლებიც „დიდ-დიდთა და თკომპეყრობელთა მეფეთა მოაქცევდეს, ბრმათა აღუხილვიდეს, მკელობელთა ავლენდეს, ვნებულთა ყოველთა განეპურნებდეს და მკუდართადადგინებდეს“. ყოველივე ეს უცხოა მუჭამადისთვის. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ის „არა დმრთისა მიერ მოხსრულ იყო და მოვიდა; რამეთუ არა ჰგვანან მცნებანი ქრისტესანი მცნებათა მიხთავას. იყალთოელი: 312r, ლოლამცილი, 1978:98-99).

მუსლიმებთან წარმატებით პაეჭრობა ქრისტიანი თეოლოგებისგან მოითხოვდა ყურანის<sup>7</sup> — მუსლიმთა სალვო წიგნის საფუძვლიან ცოდნას. არსენ იყალ-

<sup>6</sup> მსლამის ძალმომრეობაზე ანალოგიური თვალსაზრისი გვხვდება აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქრისტიანთა პოლემიკურ ლიტერატურაშიც (Sweetman, II / 1,1965: 141-142; Vryonis , 1971ა: 27; Vryonis, 1971ბ: 432).

<sup>7</sup> არაბ. აღ-კურ' ან არსენ იყალთოელის პოლემიკურ ტრაქეტატში დამოწმებულია ყურანისა და კურანის ფორმებით (არს. იყალთოელი: 311r, 312). ჩუსთაველი იყენებს ყურანის

თოვლის ტრაქტატში ქართველმა ბერძა იცის, რომ ყურანი შედგება 114.სურის-გან, რომელიც მას სიყრმეშივე "ზეპირით დაეხსნავლია" (S 1463:311 v). ტრაქტატში დამტმებულია ყურანის სხვადასხვა სურის აიგბის თარგმანი და პარაფრაზი.ორი აის იდენტიფიციაცია კულტონის ი.ლოლაშვილს (ლოლაპვილი, 1978:89,98). იამამას, რომელიც მოითხოვს, რომ სამოსი შემოახორნ ბერძა, ეს უკანასკნელი ასე პატჲხობს: „არა ჭრ არს შ [წ]ნ ქდა იძულებით ყოფა ეგე, რამეთუ კურანსა თქენსა ესრეთ წერილ არს, ვითარმედ „არა არს იძულება მჯელსა შენსა”, რამეთუ „ჩანს ჭეშმარიტება უპერურებისგან” (ატს. იყალთოფლი: 309 v). გამოყოფილი ციტატა შეესაბამება ყურანის მე-2 სურის 256-ე აის. ერთ-ერთ თავის პასუხში მარიამი შესახებ ბერძ მცირე ცვლილებით იმოწმებს ყურანის მე-3 სურის 42-ე აის: „მარიამ, ახლო ამრანისო, რამეთუ სათნო გიყო შენ ღმერთმან, გამოგირჩია და განგწმიდა და სათნო გიყო და წმიდა გყო უმეტესად ყოველთა დედათა ქუეყანასა ზედა” (ატს . იყალთოფლი: 311 v).

ჩვენი მხრივ, მოვიყვანთ კიდევ რამდენიმე მავალითს. ქართველი ბერძი ასე მიძართავს მოპატექრე მუსლიმს, „წერილ არს კურანსა თქენსა კანონსა მარია-მისსა, რასა ერყეს ღმერთი: „მარიამ ახულმან ემრანისმან, რომელმან შეზ-დუდა ხიქალწულე თვისი, და მიავლინეთ მისდა სულისაგან ჩუენისა.” ციტატა ნაწილობრივ შეესაბამება ყურანის 66-ე სურის მე-12 აის. ბერძის სიტ-ყველში „არა ეს წერილ არსა კურანსა თქენსა: „იესუ ქრისტე სული არს და ხიტყუა დმრთისაა, მობილი ქალწულისა მარიამისაგან” გამოყოფილი ციტატა ნაწილობრივ შეესაბამება ყურანის მე-4 სურის 170-ე აის. ბერძი, რომელიც სარქინოზს აუწყებს, რომ ღმერთმა ქმნა სასწაული, როდესაც ქრისტიანული სარწმუნოება ყველასათვის გასაგები გახადა, ამბობს: „ესრე წერილ არს კურანსა თქენსა: „ვითარმედ წარგავლინე შენ ენითა სარკინოზულითა განცხადე-ბულითა” და აქად ძალ არს ჩუენდა და ყოველთა თესლთა ქუეყანისათა ენისაგან, რომელ არ გუესმის” (ატს. იყალთოფლი: 311 v). გამოყოფილი ციტატა ასახავს ყურანის 26-ე სურის 192-195-ე აიგბის. როცა ბერძი უუბნება მუსლიმებს: „ურთი-ერთას არა ეწამებან წიგნი ეს: სახარუბა და ყურანი, ვითარმედ ერთი რომე-ლომე ჰერმარიტ არს და ერთი ტუპვილ აწ უკატ გმიორის შენ, რომელი ამათგანი არს ჰერმარიტ, ანუ რომელი ტუპვილ და ცრუ. მოციქულსა შენსა განამტკუცნება? რამეთუ ესრეთ წერილ არს კურანსა თქენსა: უკუტიუ რასმე საღმრთოსა საქმესა ვერ მიიწივნეთ, პჲითხეთ მათ, რომელთა უწინარეს თქენება მივეც წიგნები: დაბადება, ფხალმუნი დავითისი, და სახარება, რაცთა მათ

სინონიმურ ტერმინს მუსაფის (მუსაფი), (რუსთაველი, 1951:351, 530, 1166). ეს სიტყვა ქართულში შემორჩენილია „მასაფის“ ფორმით. „მასაფი“ ისმარება დაწყვე-ლისა და ლანძლების შემთხვევაში, მაგ., „შენი რჩული და მასაფი არ იქნა“ (ნოზაძე, 1963:538).

მიერ ხცნა „ჰემშარიტი“ (ატს.იყალთოფლი: 312r). გამოყოფილი სიტყვები ნაწილობრივ ასახავს ყურანის მე-2 სურის 87-ე, მე-3 სურის მე-3, მე-4 სურის 163-ე და მე-5 სურის 50-ე აიგბს.

როგორც ვხედავთ, ქართველი ბერი მუსლიმთან პაექრობაში მარჯვედ იმოწმებდა ყურანს, რომელსაც არსენ იყალთოელი აღმართ როგორინალში იკრიბდა.

მუსლიმებთან თეოლოგიურ კამათში მონაწილეობას იღებდა დავთ IV და, საფიქრებელია, დემეტრე I-ც<sup>8</sup>.

XII ს. მიწურულში სირიას (პალაბში) და ევიდტეში მტბოვრები ყალი \*იმად აღ-დინ აღ-ისფაპანი<sup>9</sup> (ცნობილი ისტორიელის, სულტან სალაჰ აღ-დინის მდივნის \*იმად აღ-დინ აღ-ჸათბ აღ-ისფაპანის სეხნის) წერდა, რომ დავითს "ჰეონდა დიდი ცოდნა (ნაზარ 'აზიმ) იხლამისა და მას ჰეონდა [აგრეთვე] გამათი განჯის ყადისთან: [ალლაპის] ხიტყვა (აღ-ქალიმა) შექმნილია (მახლუკა) თუ მარადილით (გადიმა)" (ბუხთან აღ-ჯამი: 118-19; ჯაფარიძე, 1993გ:50,50-56).

მცირეოდენი განსხვავებით იმავეს მოგვითხრობს XIII ს. პირველი ნახევრის არაბი ისტორიკოსი მუჰამედ აღ-ჸამავიც მასთან „ისლამის დიდი ცოდნა“, რომელც ჰეონდა დავითს, შეცვლილია „ისლამის შარიათის“ ცოდნით (მუჰ.აღ-ჸამავი, 1960:78ა; იბ.აგრეთვე იმზ აღ-დავადართ, VI:516). სწორედ ამ ცნობას მუჰამედ აღ-ჸამავის თხზულებიდან პირველად ყურალდება მიაკცია მ.ბროსემ და ფრანგულად თარგმნა ის (Brossat, 1851ა:237). ბროსეს მიხედვით იმოწმებდნენ მას ნ.მარი, ივაზახიშვილი (Mapp, 1902:19; ჯავახიშვილი, 1965:210) და ამ უკანასკნელზე დაყრდნობით კი — სხვა არაერთი მკვლევარი.

მ.ბროსეს ფრანგულ თარგმნში ქალიმა (ალლაპის სიტყვა) ყურანით არის გაიგვიყენელი ის ქართველ მკლევართა შრომებშიც. ასე თვლიდა, მაგ., ე.სიხარულიძეც, რომელმაც ჩვენთვის საინტერესო ცნობა მუჰამედ აღ-ჸამავის თხზულებიდან პირველად თარგმნა არაბულოდან ქართულად (ხისართლიძე, 1976ა:52). ამასთან, ჩვეულებრივ მიჩნევდნენ, რომ დავით აღმაშენებლისა და ქანჯის ყადის კამათი ეხმარდა ყურანის წარმოშობას, „ყურანი როგორ და სათვანი წარმოიშვა“ (Mapp, 1902:19; ჯავახიშვილი, 1965:210; ლომინაძე, 1966:88; სცეფნაძე, 1990:49; თმილისის იცვლით, 1990:138 და სხვ.), მაგრამ არ ყოფილა იმის ცდა, რომ გარკვეულყო, თუ რას ნიშანას ყურანის წარმოშობა და რა აზრია ჩადებული არაბი ივტორების ზემოსხენებულ ცნობაში ამრიგად,

8 ფიქრობენ, რომ მძაფრ რელიგიურ-თეოლოგიურ პოლემიკას შეიცავდა დემეტრეს წერილი დიდ სელჩუკთა სულტან სანგარისამი (არაბულ და სირიულ ენებზე), რომლის შესახებაც ცნობა შემოგვინახა აბუ ლ-ჸასან ბერკამი, იგვე იმნ ფუნდუქმა (გარდ. 1169-70 წ.). სპარსულად შედგენილ საისტორო თხზულებაში „თარიზ-ი ბაიბაკ“ (გ.ბერაძე, 1994: 16-18).

9 ყადი \*იმად აღ-დინის ცხოვრების შესახებ სხვა რამებ ცნობა არ მოგვეპოვება (Cahen, 1938: 115; მუსტაფა, 1979: 291-92). ერთ ჩექეს ნაშრომში მას XII ს.მიწურულის სირიაში მცხოვრებ ანონიმ არაბ ისტორიკოსს ვუწოდებთ (ჯავახიშვილი, 1993გ: 50 და შედ.).

გაუკვს საფუძველი, რომ ქვემოთ რამდენადმე ვრცლად შევეხოთ ამ საკითხს.

ყადი „იმად ად-დინ ალ-ისლამინისა და მუჰამად ალ-ჰამავის ცნობაში ჩვენ გამოყოფთ ორ მომენტს: 1. ისლამის, ან ისლამის შარიათის დოდ ცოდნის დავით აღმაშენებლის მიერ და 2. დავითის კამათს განჯის ყადისთან „ალლაჰის სიტყვის“ შესახებ — შექმნილი იყო ის თუ მარადიული.

1. ისლამის შარიათი (შარ' ალ-ისლამი) — ისლამის რელიგიური კანონია. ის იქმარება არა იმდენად იურიდიული, რამდენადც ზოგად-სოციალური მნიშვნელობით. შარიათი წარმოადგნს მუსლიმთა ქვეყნის, რელიგიური ცხოვრების, ურიდიული ნორმების პრინციპებისა და წესების ერთობლიობას. ის ემარტება ყურანსა და სუნას (ისლამის ფუძემდებლის მუჰამადის ცხოვრების წესს), აწესრიგებს ალლაჰთან ადამიანების დამოკიდებულების გარევნულ ფორმებს, რაც გულისხმობს დაცვის კულტის წესებისა (‘იბადათ), რომელიც განსაზღვრავს ლოცვისწინა განბანებას, ლოცვას, პილიგრიმობას, მარხვის შესრულებას, ზაქათის გადახდას და სხვ. აღმიანთა ურთიერთობებს ერთმანეთთან (მუ'ამალათ) და საჭელს ამ წესების დარღვევისათვის (‘უგუბათ) (Maccé, 1963:97-8; Пиотровский, 1983:122-23; Сюкияйнен, 1986:7-64; Сюкияйнен, 1991:291-94; Schait, 1974გ:524-29). ისლამის შარიათის ცოდნა დავით IV-ის მიერ პრაქტიკულად ნიშნავდა ისლამის ცოდნას. ამით აისწერა ის, რომ ერთი არაბი ავტორი (ადამ „იმად ად-დინ ალ-ისლამინი“) მას ისლამის, მეორე (მუჰამად ალ-ჰამავი) კი — ისლამის შარიათის დოდ ცოდნას მიაწერს.

2. დავით IV, რომელიც ქარგად იცნობდა ისლამს, განჯის ყადის ეკამათებოდა „ალლაჰის სიტყვის“ შესახებ, როგორც ითქვა, ქართველი მკლევარები „ალ-ლაჰის სიტყვაში“ გულისხმობენ ყურანს.

ყურანი ორთოდოქსალური (სუნიტური) ისლამის თვალსაზრისით ზეციური, ლოთიური წიგნია, რომელიც ზეგანიდობონ შათაგონების (ზეშათაგონების) სახით მიეკავა მუჰამადს. მცირე გამონაჯლისის გარდა ყურანში ლაპარაკობს ღმერთი და ბუნებრივია, რომ მუსლიმები განიხილავნ მას როგორც ალლაჰის, ღმერთის სიტყვას (ქალამ).

ყურანის წარმოშობის შესახებ ისლამში განვითარდა ორი ძირითადი თვალსაზრისი. ვინაიდან „სიტყვა“ ორთოდოქსალური ისლამის ჩრდილი ღმერთის შეუქმნელი და მარადიული ატრიბუტია, ამიტომ ყურანი, როგორც ლოთაებრივი სიტყვის გამოვლინება, არის შარადიული (კადიმ) და შეუქმნელი (დაადრ შანლუბ). სუნიტებისან განსხვავდით მუ'თაზილები, რომელთა მოძღვრება ხალიფე მიმუნის (813-833) დროს სახალიფოში გაბატონებული გახდა, ამტკიცებდნენ, რომ ყურანი არ იყო შეუქმნელი და მარადიული. მუ'თაზილები თვლიდნენ, რომ მუჰამადი უსმენდა არა ალლაჰს, არამედ მის ხმას, რომელიც შექმნა ალლაჰმა და არსებობდა მისგან განცალკევდით, გაწნდა მის შემდეგ, ამიტომ ყურანი — ღმერთის სიტყვა არ არის მარადიული. ის შექმნილია. ყურანი რომ ღმერთს არ

შეუქმნა და ის რომ მარადიულად არსებობდეს, მაშინ მას ექნებოდა მარადიულობისა და შეუქმნელობის ისეთივე კატეგორიები, როგორც ღმერთის, აქედან გამომდინარეობს მრავალდმერთანობა, რომლის აღიარებაც მუსლიმ თეოლოგებს დაუშვებლად მიაჩინდათ. მუ\*თაზილები ამტკიცებდნენ, რომ შეუქმნელი და მარადიული არის მხოლოდ ღმერთი და რაღაც მეორე ღმერთის არსებობა გამორიცხულია, ამიტომ ყურანი არ არის მარადიული და ის შექმნილია ერთადერთი ღმერთის, ალლაჰის მიერ.<sup>10</sup>

მუ\*თაზილების მოძღვრება ერესად გამოცხადდა და მათი დევნა სახალიფოში დაიწყო ხალფა მუსავაჟილის (847-861) დროს, მაგრამ მუ\*თაზილები ამის შემდეგაც, მომდევნო საუკუნეებში, თვით დავით IV-ის ეპოქაში განაგრძობდნენ მოლგაწეობას ერაყსა და ირანში. XII ს. დიდი მუ\*თაზილი თეოლოგი იყო აზ-ზა-მახშარი (გარდ. 1144 წ.).

ყადი \*იმად ად-დინ ალ-ისფაჰანი და მუჰამად ალ-ჰამავი მოგვითხრობენ, რომ დავითი განჯის ყადის ეკამათებოდა „ალლაჰის სიტყვის“ შექმნილობისა და მარადიულობის შესახებ. თუ „ალლაჰის სიტყვა“ მათ ცნობაში გულისმობას ყურანს (როგორც ეს მიაჩინდათ მკლევარებს), მაშინ გამოდის, რომ მოპაეჭრეები ეხებოდნენ იმ სერიოზულ პრობლემას, რომელიც საუკუნეების მანძილზე აწუხებდა თვით მუსლიმ თეოლოგებს. შეიძლებოდა დაგვეშვა, რომ დავით IV, რომელიც კარგად იცნობდა ისლამს, ისლამის რელიგიურ კანონს, ამავე დროს იცნობდა მუ\*თაზილთა მოძღვრებასაც და იყენებდა მათ არგუმენტებს. მაგრამ ასეთ დაშვებას აბრკოლებს ერთი გარემოება. ზემომოტანილ ცნობაში „ალლაჰის სიტყვას“ შეესაბამება ტერმინი ქალიმა და არა ქალაში.

ისლამური ფილოსოფიის ცნობილი საეკალისტი პ. ვოლფსონი აღნიშნავს, რომ მუსლიმები არ არიან წინააღმდეგნი გამოიყენონ ქალიმა „სიტყვის“— ყურანის მარადიულობის მნიშვნელობით, მაგრამ, როგორც წესი, ამისთვის ისინი ხმარობენ სხვა ტერმინს — ქალაშს (*Wolfson, 1976:239–40. ბერ. 22.*). არაბულ თეოლოგიურსა და ფილოსოფიურ ლიტერატურაში „ალლაჰის, ღმერთის სიტყვას“ შეუქმნელი და მარადიული ყურანის მნიშვნელობით ეწიდება სწორედ ქალაში და არა ქალიმა.

რას ნიშნავს ქალიმა?

ტერმინი ქალიმა გრ. ქალიმაτ ხშირად გახვდება ყურანში. ის გამოიყენება ძალზე ზოგადი მნიშვნელობით, როგორც სიტყვა — კარგი თუ ცუდი, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ის უნდა გავიგოთ როგორც ღმერთის, ალლაჰის სიტყვა. „ალლაჰის სიტყვები“ არ შეიძლება შეიცვალოს (ყურანი: 10:6). ყურანიდან ხშირად ციტირებულ პასაუებს მიეკუთვნება აიები, რომლებშიც „ალლაჰის

10 დაწვრილებით ყურანის წარმოშობის თაობაზე ამ ორი თვალსაზრისის განვითარებისა და ურთიერთდაბირისპირების შესახებ ის.: *Maccà, 1963:157. Петрушевский, 1966: 100–102, 206–207; Madelung, 1985:504–25, Welh, 1981:26.*

სიტუაცია „გამოცხადებულია იქსო ქრისტე. ასე, მავალითად, ანგელოზები (იგული-სხმებია ჭიბრაილი, იგივე გაბრიელი) უუბნებინ მარიამს: „ო, მარიამ! ჰეშმარი-ტად, ალლაპი გაგაწარებს შენ სიტყვით მისგან, რომლის სახელიცაა შესია, ‘ისა (იქსო—გჯ.), მე მარიამისა, დიდებული ამქვეყნიურ და იმქვე-ყნიურ ცხოვრებაში კეთილმხახურთა შორის” (ეფრანი, 345). ყურანის კომენტატორები (აღ-ბაიდავი, ას-სუიუტი და სხვ.) თვლიდნენ, რომ ქალიმა ალლაპი, რომელიც არის იქსო ქრისტე, როგორც ღმერთის სიტყვა დაკავშირებუ-ლია მის შემქმნელ სიტყვასთან „ქეზნ“ (იქმენ). აღამის მსგავსად იქსოც ალლაპმა შექმნა: „ჰეშმარიტად, ‘ისა ალლაპის წინაშე შეგავხია ადამის. მან შექმნა ის მიწისაგან (თურაბ). შემდეგ თქვა “იქმენ” და იქმნა (ეფრანი, 369; MacDonald, Gardet, 1974:508).

როგორ არის წარმოდგენილი იქსო ქრისტე ყურანში?

ყურანით იქსო ქრისტე მუჰამადმად ყველაზე პატივცემული და ამავე დროს უკანასკნელი წინასწარმეტყველია. მას ეწოდება „ისა, აღ-მასიდ (მე-სია), ნაბი (წინასწარმეტყველი), იბნ მარიიამ (მარიამის ძე), „აბდ ალლაპ (ალლაპის მონა), რასულ ალლაპ (ალლაპის მოციქული), სალიპ (კეთილმსახური), კავლ აღ-ჰაკკ (ჰეშმარიტების მეტყველება), ქალიმა (ალლაპი სიტყვა) და სხვ. (Пиוטровский, 1991:102. Anawati, 1973:81). ალლაპმა მარიამს გაუგზავნა ანგელოზი ადამიანის სახით, რათა ეცნობებინა მისთვის, რომ დაებადება ძე, რომელსაც ეწოდება „წყალობა ჩევნგან“ (ალლაპისაგან), „სიტყვა მისგან“ (ალლაპისაგან), „სიტყვა ალლაპისაგან“ (ეფრანი, 1921:339;345). ძე დაიბადა ზებუნებრივად, ქალწულ მარიამისგან, ალლაპის მიერ შთაბერილი სულით, რომელსაც ეწოდება „წვენი (ალლაპის) სული“ (ეფრანი, 2191:6612) და შემქმნელი სიტყვის „ქეზნ“ (იქმენ) ბრძანებით. ეს კომბინირებული ვერსია იქსოს დაბადებისა გვხვდება შემდეგ აიში: „მესია, იქსო, ძე მარიამისა, არის შხოლოდ მოციქული ალლაპისა, მისი ხიტყვა, რომელიც გაუგზავნა მარიამს და სული მისი“ (ეფრანი, 4171; Wolfson, 1976:310).

ყურანი აღიარებს, რომ იქსო არის ღმერთის, ალლაპის სიტუაცია და მისი სული, მაგრამ უარყოფს იქსოს ღვთაებრიობას (Sweetman, I/1, 1945: 31; Wolfson, 1976:310). იქსო ადამიანია, მაგრამ არაჩეულებრივი, რომელიც ალლაპმა სხვა მოციქულებივით კი არ აირჩია, არამედ აღამის მსგავსად თვით შექმნა (Пиотровский, 1991:119). ამრიგად, ქალიმა, „ალლაპის სიტყვა“ — იქსო ქრისტე მუსლიმური თვალსაზრისით არ არის მარადოული (კადიმა), შეუქმნელი (დამრ მაზლუგა). ის შექმნილია (მაზლუგა).

როგორ ეთანხმება ეს მუსლიმური თვალსაზრისი ქრისტიანულს?

სამების ქრისტიანულ დოქტრინაში, როგორც ცნობილია, ქრისტეს უკავია

მეორე ადგილი. ის არის ქვერთი, ღმერთის სიტყვა (ლოგოსი). ამასთან, "ხიტყვა" გრძოლუნება ქრისტეს მარადიულობის (დაუსაბამობის) მნიშვნელობით ითანე დამასკელის თანაბმად "არაოდეს იყო ღმერთი თვინიერ ხიტყვას, არა-მედ მარადის აქეს თავსა მორის თესა ხიტყვად მისგან მობილი". იქსო ქრისტე "იშვა შამისაგან უწინარეს ყოველთა ხაუკუნეთა". ის არის "მობილ და არა-ქმნელი" და ამავე დროს "თანა-არსი მამისად, რომლისა მიერ ყოველი შეიქმნეს... და უკამო და დაუსაბამო არს შობად მისი" (ითანე გამახვილი, 1966:348, 351, 352). ქრისტიანული კონცეფციით მარადიული (დაუსაბამო) ქრისტე განხორციელდა, განკაცდა შობილ ქრისტეში. იქსო, შობილი ღმერთისაგან, ქვერთისა, თავადაც შეგვასია მამის. ის არის ღმერთი. მას აქვს აღამიანური და ლუთაებრივი ბუნება (იბ. ძაგ., თუთ. ამჟურა: 84, 90, 93).

ამზეც, მუსლიმურსა და ქრისტიანულ თეოლოგიაში იქსო ქრისტეს, როგორც ღმერთის სიტყვის შესახებ წარმოდგენები დაიმტრიულად განსხვავდება ერთმანეთისაგან. არაბულად მოლაპასუკ ქრისტიანებს, როგორც სურათიდ ქრისტიანებს, სწამდათ, რომ „სიტყვა“ (ქალიმა) ქრისტეს მარადიულობის, დაუსაბამობის მნიშვნელობით იყო შეუქმნელი, მაგრამ „სიტყვა“ (ქალიმი) საღვთო წერილის (ყურანი) აზრით არ იყო შეუქმნელი. უფრო შეტკიც, ქრისტიანებისათვის ითანე დამასკელიდან მოყოლებული სტულიად აშეარა იყო, რომ ყურანი, მუკამადის „წერილი— უპეთური სიცრუე, გაკიცხვისა და დაცინვის დირსია“ (ითანე გამახვილი, 1992:162). ამიტომ ისინი სიცროთხილეს იჩენდნენ ორი ტერმინის ქალიმას და ქალამის გამოყენების დროს. არაბი თეოლოგი ალ-ჭუფინი (გარდ. 1081 წ.) ამის თაობაზე წერდა: "ქალიმაში ქრისტიანები არ გულისხმობენ ქალამს, რადგანაც მათვის ქალამი არის შექმნილით" (Wolfson, 1976:239–40, გვ. 22).

ღმერთის სიტყვის — იქსო ქრისტეს ლუთაებრიობისა და მარადიულობის პრობლემა, პრობლემა მისი შექმნილობისა და შეუქმნელობისა გახდა საგანი დისპუტებისა მუსლიმებსა და ქრისტიანებს შორის (Addison, 1942:271; Sweetman, I/I, 1945:26). ასეთი პატჩიობების დროს მუსლიმები იგებდნენ, რომ ქრისტიანები აღარებდნენ თავიანთ რწმენას „ღმერთის სიტყვის“ შეუქმნელობაზე — ქრისტეს მარადიულობის მნიშვნელობით, მუსლიმურ რწმენას „ალლაპის სიტყვის“ შეუქმნელობაზე — ყურანის მარადიულობისა და შეუქმნელობის თვალსაზრისით (Addison, 1942:251; Wolfson, 1976:242-44, 723). ეს საკითხი დგას, მაგალითად, ქრისტიანისა და მუსლიმის იმ კამათში, რომელიც აგვიწერა ითანე დამასკელობა.

ითანე დამასკელი ურჩევს ქრისტიანს გამოგლოჭოს მუსლიმს აღიარება, რომ "ალლაპის ხიტყვა" — ქალიმა ყურანში ეწოდება ქრისტეს, მისი მარადიულობის მნიშვნელობით ისევე, როგორც "ალლაპის ხიტყვა" — ქალამი ეწო-

დება ყურანის — ყურანის მარადიულობის მნიშვნელობით. მუსლიმს არ შეუძლია უარყოს, რომ „ალლაჰის სიტყვა“ ნებისმიერ შემთხვევაში შეუქმნელია, ვინაიდან „ალლაჰის სიტყვა“ — ყურანი შეუქმნელია. წინააღმდეგ შემთხვევაში ის იქნება ერეტიკოსი. მისი შემდეგ ითანე დამასკელი მოუწოდებს ქრისტიანს აიძულოს მუსლიმი აღიაროს, რომ მარადიული ქრისტე არის ღმერთი. მით ითანე დამასკელი სურს თქვას, რომ ყოველივე, რაცა არ არის შექმნილი, მაგრამ მარადიულად არსებობს ღმერთთან ერთად, ღმერთია, რადგანაც მარადიულობა ნიშნავს ღმერთს. მოპატებე მუსლიმის პასუხს ითანე დამასკელი არ იძლევა. ქ. ვოლფსონი ვარაუდობს, რომ ამ შემთხვევაში მუსლიმის პასუხი შეიძლება იყოს ორგვარი: ის დაუშევის, რომ ქრისტე მარადიულია, მაგრამ მარადიულობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს მის ღვთაებრიობას, ღმერთი ერთია და არ არის სხვა ღმერთი გარდა ალლაჰისა, ანდა შეეცდება დაამტკიცოს, რომ „ალლაჰის სიტყვა“ მხოლოდ ყურანთან მიმართებაში ნიშნავს ყურანის მარადიულობას. რაც შეეხება „ალლაჰის სიტყვას“ იქსო ქრისტესთან მიმართებაში, ის ნიშნავს მხოლოდ შემქმნელ სიტყვას „ქუნ“ („იქმენ“), რომლითაც სამყაროს ყველა საგანი შექმნილია ალლაჰის, ღმერთის მიერ (*Wolfson, 1976:242,243*).

კიმათი „ღმერთის სიტყვის“ — იქსო ქრისტეს მარადიულობაზე გვხვდება არსენ იყალთოელის ანტიუსლიმიტრ პოლემიკურ ტრაქტატშიც. ქართველ ბერსა და საჩინოშ (შესლომ) „შეულის მეცნიერება“ შეირს გმირობულ კამათში ბერი მიმართავს საჩინოზს:

”აწ უპერ მითხარ-და ხიტყვად და ხული. ესე რომლითა ცანი და ქუმყანად დაემტეკიცნებ და ყოველი ძალი მათი დაუსაბამონი არიანა ღმრთისა თანა ანუ არა?“

სარგინოზმან თქვა: არავინ არს დაუსაბამოდ, გარნა ღმერთი მხოლოდ.

ბერმან თქვა: და ღმერთი იგი დაუსაბამოდ იყო ოდესმევა თვინიერ ხიტყვა და ხულისა და ეხენი უკუნახსა დაპირადნაა? უპერეთუ ხული და ხიტყვა უკუნახს დაპირადნა და არა მის თანა დაუსაბამონია ამათ და დაპადებამდე უხულო და უსიტყუშელ იყოა ღმერთი, რამეთუ უხულოდ და უსიტყუშელი მგუდარ არს და არა ცხოველ.

სარგინოზმან თქვა: უპერეთუ ვთქვა, კითარმედ მის თანა დაუსაბამონი იყვნებ, რა გატეხად შემოვალს ჩემ ზედა ხიტყვთა მით?

ბერმან თქვა: აღიარე და შერმე გითხრა რა შემოვალს შენ ზედა.

სარგინოზმან თქვა: აღვიარებ ღმერთსა ხიტყვთა და ხულითა მიხითა ცხოველსა და უპერეთსა, დაუსაბამოსა ყოვლითურთ.

ბერმან თქვა: აწდა ჩაკვარდი მდგმესა, რომელსაცა ერიდებოდევ. ვინამთგან აღიარებ-და დაუსაბამოსა ხიტყვთ და ხულითურთ მიხით. არა

ესე წერილ არს გურანსა თქვენსა: იესუ ქრისტე სული არს და სიტყვად დმრთისად, შობილი ქალწულისა მარიამისაგან? ან უნებლიადთ აღგიარებია, ვითარმედ ქრისტე სულია და სიტყვად დმრთისად, მის თანა დაუხა-ბამოა მზგავხად სიტყვა მის, რომელ წერილ არს გურანსა თქვენსა" (არს. იყალთოლი, S 1463:312v).

ქართველი ბერი ამ პაექტობაში ფაქტობრივად იცავს იოანე დამასკელის ინსტრუქციებს და კამათი სარეინოზთან აღნიშნულ თემაზე მისი გამარჯვებით სრულდება.

დაფუძრუნდეთ ისევ ყადი „იმად ად-დინ ალ-ისტაბანისა და მუჰამად ალ-ჰა-მაის ცნობას, რომლის თანამდებარებით IV ეკამათებოდა განჯის ყადის ქალი-შას – „ალლაჰის სიტყვის“ მარადიულობისა და შექმნილობის შესახებ. მას შემდეგ, რაც წარმოვაჩინეთ ქალიშას მნიშვნელობა და ამასთან დაკავშირებით მუსლიმ და ქრისტიან თეოლოგთა დაპირისპირება, შეიძლება ვიფიქროთ (წინამორბედ მკლევართაგან განსხვავებით), რომ მეფისა და ყადის პაექტობაში საქმე ეხებოდა არა ყურანს (რადგანაც ამ შემთხვევაში უფრო მოსალოდნელი იყო, რომ არაბი ავტორები დასახელებდნენ ქალაში), არამედ — იესო ქრისტეს.

განჯის მუსლიმი ყადი კამათში ისლამური კონცეფციის საფუძველზე დაიცავდა იმ თეზისს, რომ „ალლაჰის სიტყვა“, ქალიშა — იესო ქრისტე არ იყო მარადიული და რომ ის იყო შექმნილი ალლაჰის მიერ, უარყოფდა მის ლვთაებრიობას. დავით IV, ქრისტიანული კონცეფციის მიხედვით, დაიცავდა „ლექტის სიტყვის“ — იესო ქრისტეს მარადიულობის, დაუსაბამობისა და ლვთაებრიობის თეზისს. მაგრამ ამ კამათში, რაღაც ფორმით, იოანე დამასკელის ინსტრუქციიდან გამომდინარე, მეფე შეიძლებოდა შეხებოდა უფრანის შექმნილობის საკითხსაც. ამდენად, კამათი დავით IV-სა და განჯის ყადის მორის იყო ისლამური და ქრისტიანული თეოლოგიის კარდინალურ საკითხზე, რაც მეფისაგან მოითხოვდა როგორც ქრისტიანობის, ისე ისლამის ღრმა ცოდნას. სწორედ ეს უკანასკნელი გარემოება, ჩანს, აოცებდა მის მუსლიმ თანამედროვებსა და არაბ ისტორიკო-სებს.

საზოგადოებრივი აზრის შექმნა. ის მეოთები, რომლებითაც ქრისტიანულ საქართველოში და ისლამურ საქართველოში ცდილობდნენ ერთმანეთის დისკრედიტაციას, განაპირობებდა ერთი მხრივ, ანტიმუსლიმური და მეორე მხრივ, ანტიქ-რისტიანული, ანტიქართული განწყობილების შექმნას. მტრული განწყობილების გავრცელებას ხელს უწყობდა ჰერებიც, რომლებიც ჰერების მარცვლებს შეიცავდა. როცა ჯალალ ად-დინმა დაიპყრო აზერბაიჯანი და პირებდა საქართველოს დალაშქრას, გავრცელდა ხმები, რომ ქართველებს სურდათ არა მარტო დაეპყროთ აზერბაიჯანი და თავრიზი და განედევნათ აქედან ჯალალ ად-დინი, რაც თავისთავად არ იყო გამორიცხული, არამედ ისიც, რომ "შემდეგ ბაღდადს წასულიყვნენ, გათაღიგოხი დაეხვათ ხალიფას ადგილზე, მეჩეთები ეგ-

ლეხიებით და ჭეშმარიტება სიცრუით (ე.ი. ისლამი — ქრისტიანობით—გჭ.) შევცვალათ (ჯუველინ, 1974:29).

ეს ჭარი ფაქტობრივად წარმოადგენდა გამეორებას იმ ბრალდებისა, რომელსაც მანასკერტის ბრძოლის წინ მუსლიმები უყენებდნენ ბიზანტიულებს (აღ-პუსტანი: 278). მიუხედავად უსაფუძვლობისა, მსგავსი ხმები იწვევდა ორთოდოქ-სალურ ისლამურ წრეებში ქართველთა წინააღმდეგ მძაფრ რეაქციას, რაც მოხე-რხებულად გამოიყენა ჭალალ ად-ღინმა. XIII ს. 20-იანი წლებისათვის, როგო საქართველოს სამეფო კარი აპირებდა დახმარება გაეწია დასავლეთის ქრისტიანუ-ბისათვის და მონაწილეობა მიეღო ჭაროსნულ ლაშქრობებში, ისლამურ სამყა-როში, სრულიად აშკარად, გამატონებული იყო ანტიქართული საზოგადოებრივი აზრი, რაც კარგად გამოხატა იბნ ალ-ასირმა: „ხასაზღვრო მხარეთა შორის ეს სასაზღვრო მხარე [საქართველო] იყო და არის ყველაზე მავნე მეზობლე-ბისთვის. [ახე იყო] ხეპარებულებისთვის – იხლამამდე და [ახეა] მათ შემდეგ მუხლიმებისთვის, იხლამის დასაწყისიდან დღემდე” (იმან ალ-ასი-რი, XII: 452).

ისლამურ სამყაროში გავრცელებულმა ანტიქართულმა განწყობილებამ და საზოგადოებრივმა აზრმა, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანწილად განაპირობა საქართვე-ლოს ხმელერო-პოლიტიკური იზოლაცია ხევარაზმელთა შემოსევების დროს და ითამაშა გარკვეული როლი იმაში, რომ არ მოხერხდა საქართველოსა და ისლამური შევუნების ერთობლივი ანტიმონლური ფრონტის შექმნაც.

### პ. სამხედრო-პოლიტიკური პოლიტიკასთაცის იდეოლოგიური საფუძვლები

აკად. ვ.ბარტოლო, რომელიც შესანიშნავად იცნობდა თურქული მოდგმის ხალხების ყოფასა და ისტორიას, აღნიშნავდა თურქებში ომის კულტის დიდ მნიშვნელობას, რომელსაც უფრო ბარბაროსული ხასიათი ჰქონდა, ვიდრე ქრის-ტიანებთან. ის იმაწმებდა XV ს. ერთ თურქულ გადმოცემას იმის თაობაზე, რომ თურქების წინაპრები, უცვე მუსლიმურ ხანაში, მხოლოდ მაშინ აღიარებდნენ კაბუკს სრულუფლებინ მამაკაცად და არქევეცენტ მას სახელს, როგო ის შეძლე-ბდა თავი მოექრა მტრისათვის და დაელგარა მისი სისხლი (Барთолემ, 1966 მ: 423). ისლამის შეეძლო უფრო მეტად განემტკიცებინა თურქებში საომარი გან-წყობილება. მთ უმეტეს, რომ ეს რელიგია ამართლებდა ბრძოლას ყველა ურწ-მუნოს წინააღმდეგ.

მუსლიმებსა და დანარჩენ მსოფლიოს შორის სამართლისმცოდნეთა თანახ-მად, როგორც აღნიშნავს ბ.ლუისი, არსებობდა რელიგიური და იურიდიკული თვალსაზრისით აუკილებელი საომარი ვითარება, რომელიც შეიძლებოდა დას-რეულებულიყო მხოლოდ მთელი კულტურიობის ისლამზე მოქცევით, ანდა მისი მორჩილებაში მოყვანით. მშვიდობა მუსლიმურ და არამუსლიმურ სახელმწიფო-

ებს შორის, ამგვარად, იურიდიულად შეუძლებელი იყო. შეიძლებოდა არა ომის დასრულება, არამედ მისი შეწყვეტა მხოლოდ დაზავებით, როცა არსებობდა საამისა აუცილებელი მიზეზები და იყო სასარგებლო. ასეთი ზავი ითვლებოდა დროებითად და არ უნდა გაგრძელებულიყო 10 წელზე მეტი. მუსლიმებს შეეძლოთ ნებისმიერ დროს ცალმხრივდ დაერტვიათ ის (Lewis, 1974:175).

მუსლიმური თვალსაზრისით, როგორც ცნობილია, მთელი სამყარო იყოფოდა სამ ნაწილად. ქსენია: 1. დარ ალ-ისლამი — ისლამის მხარე, ის ქვეყნები, რომელსაც მართავენ მუსლიმი გამგებლები მუსლიმური სამართლის საფუძველზე, თუნდაც ამ ქვეყნების მოსახლეობის დიდი ნაწილი არ იყოს მუსლიმი; 2. დარ ალ-ჰარაბი — ომის მხარე, ის ქვეყნები, რომელსაც მართავენ „ურწმუნო“ გამგებლები. ამ ქვეყნებში არ მოქმედებს მუსლიმური სამართლი, რომელსაც ცვლის „ურწმუნოთა“ კანონები; 3. დარ ას-სულჰი — ზავის მხარე, ის არამუსლიმური ქვეყნები, რომელთა არამუსლიმმა გამგებლებამა თვეი იღიარეს მუსლიმთა გისალებად და მოხარუებად. მათი ვალდებულებები (მათ შორის ხარჯის ოდენობა) და მოვალეობები განსაზღვრულია იმ საზავო ხელშეკრულებაში, რომელიც დაიდო მუსლიმთა მიერ მათი დაპყრობის დროს (Петрушевский, 1966:80; Болшаков, 1991:8, გ. 56; Abel, 1961. გ. 8 : 126; Khadduri, 1955:52, 156-57; Macdonald, Abel, 1961: 131).

მუსლიმთა მოვალეობაა გააფართოვონ დარ ალ-ისლამის საზღვრები დარ ალ-ჰარაბის, ქაფირების ე.ი. „ურწმუნოების“ ტერიტორიების ხარჯე. ჭიპადის — საღვთო ომის იდეა შეუ საუკუნეებში ასაზრდობდა ისლამურ ექსანისიონიზმს. ჯიშად ფი საბილ ალლაჰ — ბრძოლა ალლაჰის გზაზე არის ბრძოლა ურწმუნოთა წინააღმდევ ისლამის სახელით და ისლამის გამარჯვების მიზნით. ჭიპადის კონცეფცია კარგად არის შესწავლილი ისლამოლოგიაში (Петрушевский, 1960:80; Ибрагим, Сагадеев, 1991:66-7; Maccé, 1963:60-63; Cahen, 1966:181; Tyan, 1963:518-19.; Macdonald, 1974:89; Lewis, 1974:174-75).

ჭიპადი სავალდებულოა ყველა მუსლიმისათვის, ვისაც პრაქტიკულად შეუძლია იმოძოს. ჭიპადის ობიექტთა შორის მუსლიმური სამართლი ისახელებს „ალ-ლაჰის მტრებს“ — მათ, ვინც ემუქრება მუსლიმური თემის — უმმას არსებობას, ხელყოფა ისლამის საზღვრებს და არამუსლიმ მონოთეისტებს, რომლებიც განიხილებან ქაფირებად, „ურწმუნოებად“. მათთან ბრძოლაში დალუპული მუსლიმი ხდება შეაპიდო, მოწმე, რომელსაც მუსლიმური თვალსაზრისით გარანტირებულ აქვს სამოთხე, სადაც ის დაიკავებს მაღალ ადგილს ალლაჰის ტახტის მახლობლად. შეაპიდს ეპატეტბა ყველა მიწიერი ცოდვა (Кушеев, 1991:296. Björkman, 1974: 515-16).

ჭიპადი შეიძლება გამოცხადდეს როგორც შეტევითი, ისე თავდაცვითი ომების დროს. ომის დაწყების წინ მუსლიმური თემის მეთაური ვალდებულია, რომ

„ურწმუნოებს“ შესთავაზოს „ჰეშმარიტ რჯულზე“ — ისლამზე მოქცევა. თუკი „ურწმუნოები“ ამ მოთხოვნას დაემორჩილებიან და აღიარებენ ისლამს, მაშინ მათ მიიღებენ მუსლიმურ თემში (ჟმა) და მანი ჰებენ იმავე უფლებებს, რომლებიც აქვთ სხვა მუსლიმებს. „ურწმუნოებს“ შეუძლიათ თავიდან აიცილონ ომი და შეინარჩუნონ საკუთარი რჯული იმ პირობით, თუ თავს გამოაცხადებენ მუსლიმი გამგებლის ჰეშევრიდობად და იყისრებენ სპეციალური სულადობრივი გადასახადის — ჯიშიას გადახდას. დაპყრობილი ჰევეანა, იმრიგად, ხდება დარ ას-სულჰი. ურწმუნოებს შეუძლიათ გააგრძელონ ომი და იბრძოლინ ბოლომდე, მაგრამ თუ მუსლიმებმა გაიძარვეს ძალის გამოყენებით (‘ანვათან), მათ სრული უფლება აქვთ გაძარცვონ და მოახსრონ დაპყრობილი მხარე, ხელთ იგდონ ნადავლი, წაასხან ტკვები, დახოცონ მამრობითი სქესის (ბავშვებისა და მოხუცების გარდა) მოსახლეობა.

მუსლიმური სახელმწიფოს ჰეშევრიდომი „სალგოთ წერილის ხალხები“, მათ შორის ქრისტიანები, რომლებმაც თავიანთი სარწმუნოება შეინარჩუნეს ჯიშიას გადახდის პირობით, იღებენ მფარველობის ჰევშ მყოფი ხალხის — აჰლ აზ-ზიმ-მას, ზიმშიების სტატუსს. ზიმშიების აქვთ უფლება შეასრულონ საკუთარი ლეთისმსახურება. მუსლიმთა სამფლობელოებში ისინი იმყოფებიან თავიანთი რელიგიური თემის მეთაურის (პატრიარქი, კათალიკოსი) იურისდიქციის ჰევშ. უფლებრივად ისინი უფრო დაბალ საფეხურზე დგანან, ვიდრე მუსლიმები (დაწვრილებით იხ. : Cahen, 1961:228-29).

ა. ე. ლამბრონი, რომელიც განიხილავდა თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოში მიწისმფლობელობის წესს, წერდა: „მთავარი ნიშანი სელჩუქთა მიწის ადმინისტრაციის... იყო იკრას სისტემა. ახალი გარემოებების შექმნების ბევრი რამ ძევლი ისლამური თეორიისა აღარ იყო მისაღები. ჰევეანა აშეარად აღარ იყოფილა დარ ალ-ისლამად და დარ ალ-ჰარბად“ (Lambton, 1953:59; გ.გამაპლილი, 1957:127). ეს თვალსაზრისი, მისაღებია იმდენად, რამდენადაც „აზ პერიოდის კაბანიების უმეტესობა მიმდინარეობდა იმპერიის ფარგლებში და მიწების დაპყრობა ხშირად ხდებოდა მუსლიმ ანდა ნიმინალურად მუსლიმ მფლობელთა ხარჯზე“ (Lambton, 1953:59), მაგრამ ქრისტიანული ჰევენები, რომელთა წინააღმდეგ ასევე იყო მიმართული თურქ-სელჩუკთა აგრესია, რჩებოდნენ დარ ალ-ჰაბად. ქრისტიანული სამყაროს, კრიმიდ კი, საქართველოს წინააღმდეგ შეტევითია, აგრესული ომები მიმდინარეობდა ისლამის დროშით. გამადის, ხალვთო იმის იდეოლოგია ახაძუთებდა და ამართლებდა თურქ-სელჩუკთა ექსპანსიას და აგრესიას, ნიღბავდა მომთამარეთა მოძრაობის ჰეშმარიტ ხოციალურ-ეკონომიკურ მიზეზებს, მის ყანა-ლურსა და ძძარცველურ ხასიათს.

ალ-ჰუსაინ მოგვითხრობს, რომ საქართველოზე ლაშქრობის წინ ალფ-არ-სლანს ეახლა და მის სამსახურში ჩადგა თურქენი ამირა ტულ-თევინი. მან აცნობა სულტანს, რომ ქართველთა ჰევეანა (ბილად ალ-ჰურჯ) ბიზანტიისათვის (ბილად ალ-რუმ) გადაიჭერა: „ცდუნების სარბიელად და ურწმუნოებისა და

ტირანიის სამოვრად” (ალ-ჰუსაინი: 203-213). მემატიანეს სავსებით შეგნებულად მოაქვს ამირას სიტყვები, რათა მკითხველებს, მართლმორწმუნე მუსლიმებს შეუქმნას ალფ-არსლანის ლაშქრობის სრული კანონიერების შთაბეჭდოლება. ჯიპადი ითვალისწინებს ბრძოლას როგორც „უღმეროოთა“ და „ურწმუნოთა“, ისე ტირანთა და ძალმომრეთა (ალ-ბაზი) წინააღმდეგ (Ибрагим, Сагадеев, 1991:67).

იქ, სადაც თურქ-სელჩუკები იარაღით, ძალის გამოყენებით უფლებოდნენ დასახლებულ პუნქტებს, ჯიპადის კონცეფციის შესაბამისად დამარცხებულთ არ ჰქონდათ დანდობა და შებრალება. მაგრამ, როგორც ითქვა, მუსლიმთა მხარე მოვალე იყო შეეთავაზებინა მოწინააღმდევისათვის ისლამის მიღება, ან ჯიზის გადახდა. ალ-ჰუსაინის ცნობით, ალფ-არსლანმა ამ წინადაღებით მიმართა ბაგრატ IV-ს და მეფე დასთანხმდა გადაეხადა ჯიზი (ალ-ჰუსაინი: 228), თუმცა კი ეს პირობა მან არ შეასრულა (შენგლია, 1976:194, შენ. 14. შენგლია, 1989:155). მოვიანებით, გიორგი II ხარკის (ჯიზის) გადახდის პირობით დამორჩილდა მალქ-შაპი. ამით მისი სამფლობელო გადაიქცა ზავის, საზავო ხელშეკრულების (დარ ას-სულ) მხარედ.

ჯიპადის კონცეფციის შესაბამისად, გამუსლიმებული აღსართანის სამეფო — კახეთი, მოუხედავად იმისა, რომ მისი მოსახლეობის უმეტესობა იყო ქრისტიანი, გადაიქცა დარ ალ-ისლამად. მომდევნო მეფე კვირიკე ქრისტიანი იყო. მაგრამ მისი ძმისშვილი, აღსართან II ისევ „უსჭულა“ ე.ი. მუსლიმია. ამდენად, დავით IV-ის მეურ კახეთის შეერთება მუსლიმთა პოზიციებიდან იყო ისლამის საზღვრების ხელუოფა.

დავით IV-ის სხვა სამხედრო ღონისძიებებიც თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ, მუსლიმ ისტორიკოსთა მიხედვით, იყო ბრძოლა საერთოდ ისლამისა და ისლამის ქვეყნების წინააღმდეგ. იბნ ალ-ასირს 1121 წ. ამბები — დიდგორის ბრძოლისა და შემდეგ თბილისის განთავისუფლება ასე აქვს დასათაურებული: “მოხსენიება ისლამის ქვეყანაზე ქართველთა გამოხვდისა და თბილისის დაპყრიბისა” (იმან ალ-ასირი, X:567). ამდენად, ისლამის საზღვრების ხელშეკრულთა მეფის წინააღმდეგ მუსლიმთა კოალიციის გამოსვლა სრულიად გამართლუბული იყო მუსლიმთა თვალში.

ჯიპადის ტაბიური ნიმუში 1163 წ. მუსლიმთა ის კოალიციური ლაშქრობა საქართველოს წინააღმდეგ, რომელშიც მონაწილეობდნენ შავ-არმენი სუქმან II, ათაბაგი შამს ად-დინ ელდიგუზი, სულტანი არსლან-შაპი და ერაყის თურქმენი ამირები. თავდაპირველად მოკავშირები ყოყმანობდნენ დაწყოთ თუ არა ომი გორგი III-სთან, მაგრამ როცა ლაშქრობა გადაწყდა, ელდიგუზი უთხრა მოკავშირებს: “ახლა გავიგე, რომ გწადიათ ჯიპადი და დაქინებით მოითხოვთ ალლაპის მტრებთან ბრძოლას. აღდექით ურწმუნოებთან შესახვედრად. მიუძღვენით თქვენი ხულები ჯიპადისათვის ერთადერთსა და ძლიერს.

[ალლაპის] "...ხოლო როცა ბრძოლა დაწყო "ერაყელი მუხლიშები შეუერთდნენ თავიანთ მუხლიშ მშებს და გაემართნენ ალლაპის მტრებზე" (ალ-ჰუსინი: 90ა, 90გ).

ჭიპალის იდეის რეალიზაცია იყო, "იმად ად-დინ ალ-ისფაჰანის მიხედვით, ათაბაგ ყარა-სონცურის გამარჯვება ქართველებზე, რომლებმაც მანძილე აღეს მიწისძრით დანგრუული განა: "ადდგა ჩრმენის სახელმწიფო, დაბრუნდა ადათი დახმარებისა და ხიმტკიცის. ღმერთის ერთარხობის მომხრეებმა (აქლ ათ-თაგვიდ) სძლიერ სამების (აქლ ათ-თახლის) მომხრეებს. აღორმინდა გარგი [რამ] უკეთურებისწაბორძიკებით" (ალ-ისფაჰანი/ ალ-მუნიდი, 1900: 173; ჯაფარიძე, 1992ა:122).

ჭიპალის ლოზუნებით აპირებდა თავისი დიდი ექსპანსიონისტური გეგმის განხორციელებას სალაჟ ად-დინი. ჭიპალის დროშით მოდიოდა საქართველოზე ჩუქნ ად-დინი. მან ასე მიმართა თამარს: "აწ წარმომივლენია ყოველი შეედრობა ჩემი, რათა აღვკოცო ყოველი მამაკაცი მაგ ქვეყნისა, და ცოცხალი იგი იდენ დარჩეს, რომელი წინამომეგებოს, თაყუანის-ცეს ჩათრსა ჩემსა, სახოება იგი თქვენი ჯუარი წინაშე ჩემსა დალენტოს და მოჰმადი აიდაროს" (ისც. და აპტ. შატავანდ., ქც, II, 1959:93). სხვა ცნობით ჩუქნ ად-დინი აცხადებდა: "...და აწ მე მოვალ, რათა უსაჯო სამართალი სახლსა ხარსთასა და განგრუართო შენ და ერი ეგე შენი არაოდეს გადრებად აღებად კრძლისა, რომელი ღმერთისა ჩუქნდა უბოძებია. ხოლო ცხოვნებითა იგი იდენ ვაცხოვნო, რომელ უწინარეს მოსხვლისა ჩემისა თაყუანის-ცეს წინაშე გარვისა ჩემისა და აღიაროს ქადაგება მოჰმად მოციქულისა, და უარყოს ხჯული შენი და კელითა თვისითა იწყოს წინაშე ჩემსა ლენტად ჯუარისა, რომლის მიმართ დაგიცთ ცუდი სახოება" (შას. ეგოსმობლ. ქც, II, 1959:133-34).

ორენტალისტები თვლიან და ზოგადად, მართლაც ასეა, რომ ისლამი, როგორც რელიგია, არ ვრცელდებოდა მახვილით, რომ ჭიპალი განაპირობებდა სამხედრო ექსპანსიას და არა ისლამშე პირდაპირ მოქცევას (იხ. მაგ. *Yomt*, 1976:24-5), მაგრამ ამავე დროს შეიძლება მოვიძოთ არაერთი ფაქტი, როცა გამარჯვებული მუსლიმური მხარე დაუნდობელი მეოთედით, სწორედ იარაღით ცდილობდა ისლამის გავრცელებას. ეს, ყველაზე ხშირად ხდებოდა ძალით, იარაღით დაპყრობის ('ანგათან') დროს. ჭალალ ად-დინის მიერ თბილისის აღებას მოჰყვა ხვარაზმელთა აღვრიახსნილი ძალიშომრეობა და ტერორი. უამთააღმწერლის ცნობით, ჭალალ ად-დინმა "ძრმანა ყოველთა მათ ბყრობილთა ქრისტიანეთა, მამათა და დედათა, იმულებით დათრგუნვა პატიოსანთა ზატთა და დატევება ხჯულისა, უკეთურება არა ჰყონ, წარკუთა თავთა" (ქც, II, 1959:

კირაკის განძაკეცი მოგვითხრობს, რომ ჭალალ აღ-დინმა "შრავალი ადამიანი მოხრა და კიდევ უფრო მეტი აიძულა გადამდგარიყო ქრისტიანობიდან და მიეღო მუხლიმთა ცრუ და ყალბი რწმენა. ამის შემდეგ ბევრმა ხიკვდილის შიშით ჰემმარიტება სიცრუეზე გაცვალა... შემდეგ ხულტანმა გახსა ბრძანება, რომ ადარ ეკითხათ, უნდოდათ თუ არა ქრისტიანობიდან განდგომა და ძალით წინადაცვითათ იხინი" (კირაკ.განძაკეცი: 150).

ქრისტე და სომეხ მემატიანებს შხარს უბამს ინ აღ-ასირიც. ის იუწყება, რომ ხვარაზმელებმა თბილისში "დახოცეს შიგ მყოფი ქართველები. არ დაუნდიათ არც დიდი და პატარა, იმათ გარდა, ვინც მიიღო იხლამი და წარმოთქა რწმენის აღიარების ფორმულა. მხოლოდ ეხენი დაინდო ცინადაცვეთის შემდეგ" (იმა აღ-ასირი, XII:451).

მოუხედავად იმ საშინელებებისა, რომლებიც ხვარაზმელებმა დაატრიალეს თბილისში, ინ აღ-ასირი ქაყაყოფილია: "იყო დიდებული ეს დაბყრობა და მისი ადგილი განდიდდა იხლამის ქვეყნებში და მუხლიმთათვის" (იმა აღ-ასირი, XII:491). ამ ცნობაში სიტყვა "დაბყრობას" "შეესაბამება არაბ. "აღ-ფათჲ", რომელიც ჯიპარის სინონიმადაც იხმარება (Ибрагим, Сагадеев, 1991:67). მაშასადამე, თბილისის აღება და მისი დაქცევა მუსლიმური თვალსაზრისით ჯიპარის ზემინი იყო.

XII ს. მთელ მანძილზე და XIII ს. პირველ მესამედში საქართველო ისლამური სამყაროსათვის იყო განსახიერება საომარი მხარისა (დარ აღ-პარბ) და მასთან სამხედრო-პოლიტიკური კონფრონტაციის იდეოლოგიური საფუძველი, მოუხედავად შეტევითი და თავდაცვითი ომებისა, იყო ჯიპარი.

ჯიპარის არსი შეუძლებელია შეუმჩნეველი დარჩენილიყო ქრისტიანული საქართველოს იდეოლოგთათვის. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის, რომ დავით აღმაშენებლის ისტორიისი თურქ-სკლეპუთა აგრესის წარმოგვიჩენს არა როგორც აგრესის კონკრეტულად ქართველების, არამედ ქრისტიანების წინა-აღმდეგ. ისტორიისი მოგვითხრობს, რომ როცა თურქებმა დაიკავეს ბერძნების მიერ მიტოვებული ციხეები და "მოეაწლნეს საზღვართა ჩუენთა", პაშინ "განძრავლდა შიში და ჭირი მათგან ჩუენ ზედა, რაშეთ იწყეს მიერითგან რბევად, ტყვენვად და მოოკრებად, წუად, ხრვად და ტყვეობად ჩუენ ქრისტეანეთა." თურქთა თარეშის შედევრა, "განგრძა ესევითარი ჭირი ქრისტეანთა ზედა". სასოწარკვეთილ გიორგი II გაემგზავრა ისფაპანში მალქ-შაპთან და "ეხრეთ დადგა ხული თკი და სიხლი ქრისტეანთა ქნისათვეს" (დც, I, 1955:318, 319, 320, 321).

შეიარაღებული ბრძოლა ისლამური ექსანსიონიზმის წინააღმდეგ საჭიროე-

ბრა სათანადო იდეოლოგიურ დასაბუთებას ქართველთა მხრიდანაც. მაგრამ საქართველო წარმოადგენდა ნიშილს ქრისტიანული სამყაროს, სადაც დამოკიდებულება ომებისადმი, მათ შორის ისლამის წინააღმდეგ, ჩვენთვის საინტერესო ეპოქაში არ იყო ერთგაროვანი.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ადრეული ქრისტიანობა საერთოდ უარყოფდა ომის ყოველგვარ იდეას. ეკლესიის მამები ორიგენი, ტერტიულიანი და ლაკრინისი ქრისტიანულნენ მახვილის ამოღებას და სისხლის დაღვრას. ომი მათთვის იყო მცველელობა დოდა მასშტაბით, ხოლო ქრისტიანული რელიგია კი განიხილებოდა როგორც მშენდობის რელიგია. მაგრამ წმ. ავგუსტინებან (გარდ. 430 წ.) მოყოლებული გაჩნდა განსხვავება სამართლიან, კანონიერსა და უსამართლო, უკანონო ომების შორის. წმ. ავგუსტინებმ საფუძველი ჩაუყარა სამართლიან ომის უფლების ქრისტიანულ დოქტრინას, რომელიც გვხვდება შეუასებების მრავალ თეოლოგთან.

ამ დოქტრინით ომი კანონიერია, თუ ის წარმოებს: 1. სამართლიანი მიზეზით (სამშობლოს, ან კანონების დაცვა; ქონების დაბრუნება; უსამართლობის გამოსწორება; სამართლიანობისა და კუშმარიტი მშენდობის საყველთაო დამკვიდრება) 2. მკაცრი აუცილებლობიდან გამომდინარე, როცა ომი არის ერთადერთი საშუალება უსამართლობის თავიდან ასაცილებლად ანდა მის გამოსასწორებლად და 3. ხელმწიფის გადაწყვეტილებით. ომები ურჩეულოთა (მუსლიმთა) წინააღმდეგ შეფასებული იყო იმავე პრინციპებით (Canard, 1973:611-12).

ს. რანისმანი წერს, რომ წმ. ავგუსტინე უშევებდა ომების წარმოებას ღმერთის ბრძანებით. მოგვანებით ომი ეკლესიის ინტერესებისათვის, საღვთო ომი, დასავლეთ ევროპაში გახდა ნებადართული და სასურველიც კი. IX ს. შეუა ხანებში რომის პაპმა ლუკა IV-მ გამოაცხადა, რომ ნებისმიერი, ვინც დაიღუპებოდა ბრძოლაში ეკლესის დასაცავად, მიღებდა ზეციურ ჭილდოს. მცირე ხნის შემდეგ პაპმა ითანე VII-მ საღვთო ომში დაღუპულები მოწამეთა რანგში აიყვანა (Runciman, I, 1951:84).

ჯვაროსნული ომები, რომლებიც მახლობელ აღმოსავლეთში XI ს. მიწურულში დაიწყო, თეოლოგთა მიერ განიხილებოდა როგორც სამართლიანი. მათ ქრისტიანები უნდა დაეცავა მუსლიმთა თავდასხმებისა და მუქარისაგან, დააგრძენებინა ქრისტიანებისათვის უსამართლო წარმეული წმინდა ადგილები და შური ეძია პილიგრიმებისადმი უსამართლო მოპყრობის გამო. მაგრამ ჯვაროსანთა ეპოქაში მოხდა თეორიულად თავდაცვითი, სამართლიანი ომების ტრანსფორმაცია აგრესიულ, რელიგიურ ომებად. ჯვაროსანი იბრძოდა იმისათვის, რომ გაეთავისუფლებინ წმინდა ადგილები პალესტინაში და ქრისტიანთა მფარველობაში გადაეცა უფლის საფლავი. ის ომში მიღიოდა ეკლესიის წაქეზებით, რომელიც მას აძლევდა ცოდვების მონაწილების გარანტიას და პპირდებოდა სამოთხეს სიკვდილის შემთხვევაში. პილიგრიმობა, ქრისტეს და ეკლესიის ძალუფლების გავრცელება როგორც სა-

ბოლოო მიზანი და სულიერი პრივილეგიები ჯილდოს სახით, იყო ნიშნები კუშმარიტი ჯვაროსნებისა “წერდა გ. გრიუნებაუმი (Грионебаум, 1986:148). ჯვაროსანთა ომები იყო საღვთო ომები და არაერთი არაბი ავტორი მათ ჯიპალთან აიგვებდა (Sivan, 1968:114).

ბიზანტიას, რომელიც არაბთა გამოჩენის დროიდან ებრძოდა ისლამს, არ მოუღია დასავლეთის ქრისტიანთა საღვთო ომის დოკტრინა. თუმცა კი, როგორც აღნიშნავდა მ.ბალდუინი, რაღაც მსგავსი ჯვაროსნული იდეისა აღაფრთოვანებდა X ს. დიდ მეომარ იმპერატორებს (Baldwin, 1969: XXI–XXII)<sup>11</sup>.

იმპერატორი ნიკიფორე II ფოქა (963—968) შეეცადა დაეკანონებინა, რომ მუსლიმებთან ბრძოლაში დაღუპული მეომრები მოწამედ გამოცხადებულიყო, მაგრამ ვერ შეძლო ამ იდეის განხორციელება. ვ.ბარტოლდის თვალსაზრისი, რომ ბრძოლაში ბიზანტიასა და სახალიფოს შორის მიიღო საღვთო ომის ხასიათი, როგორც ქრისტიანთა, ისე მუსლიმთა მხრიდან (Бартоольд, 1966:5:583), მის პირველ ნაწილში გადასასინჯია. ბიზანტიურმა ეკლესიამ უარყო საღვთო ომი ურჯვლოთა წინააღმდეგ და უარი განაცხადა მოწამის გვირგვინი მიეცა ამში დაღუპულთათვის. უარყოფითად ეკიდებოდა ბიზანტიური ეკლესია ომებში სასულიერო წოდების მონაწილეობასაც, რაც ჩვეულებრივი ამბავი იყო დასავლეთის ქრისტიანებში. ბიზანტიელ იდეოლოგებს გახსნილი ჰქონდათ გაპატიის არსიც. ისინი ყოველთვის გამოხატავდნენ თავიანთ გაოცებასა და უარყოფით დამოკიდებულებას მუსლიმთა ამ დოკტრინის მიმართ, რომლის მიხედვითაც „ურწმუნოებთან“ ომში დაღუპული სამოთხეში მოხვდებოდა. ამგარი იდეა მათ სულელურ კრურწმენად მიაჩნდათ (ამ საკითხებზე იხ. ანა კომანჯ:282; Canard, 1973:620; Ensslin, 1967:5).

მ. კანარი რომაული იდეის სიცოცხლის უნარიანობის გამოვლინებად მიიჩნევდა იმას, რომ ბიზანტიამ არ მიიღო დასავლეთის ქრისტიანების საღვთო ომის დოკტრინა. რომის იმპერიაში არ შეიძლებოდა წარმოებულიყო საღვთო ომი, ისევე როგორც არ შეიძლებოდა გამოხატულიყო განსხვავება სამართლიანსა და უსამართლო იმებს შორის. რომის იმპერიის ყველა ომი ძალუნებურად ითვლებოდა სამართლიანად, რადგანაც ისინი მიმართული იყო აჯანყებულთა და „ბარბარიზმთა“ წინააღმდეგ. ბიზანტიაში ომი ურწმუნო აგარიანებთან, უპირველეს

<sup>11</sup> ლეონ VI (886—912) თავის „ტაქტიკაში“ მოუწიდებდა სტრატეგებს, რომ მათ გამუდმებით ჩაენერგოთ მეომრებისთვის აზრი იმპერიის სიდადის შესახებ, რომ გათვეის, როგორც „ქრისტეს მემრებისთვის“, დიდი ბედნიერება იყო დაეღვარათ სისტემისამობლოსა და სარწმუნოებისათვის, დაღუპულთა ბსოებისა და თანამიმებებისთვის, რომლებიც იტანჯებოდნენ ურწმუნოთა უდელქვეშ. „ტაქტიკით“ ომი ურწმუნოებთან ბიზანტიელთა წმიდათა-წმიდა მოვალეობაა. როდესაც მის აღსასრულებლად მიღიან, ბრძოლის წის ისინი ითხოვენ ლმერთისგან ცოდვების შენდობას და გამორჩევებს (Литаврин, 1989:75). ამავე დროს აღნიშულია ისიც, რომ ლეონ VI-ის „ტაქტიკა“ არ ისახავდა მიზნად ჩაენერგო მეომართათვის სიძულვილი სხვა რწმენის ხალხებისადმი და რელიგიური ფანატიზმი, რაც მათთვის უცხო იყო (Кумчა, 1965:111).

ყოვლისა, იყო რომაული ომი (*Canard*, 1973:620).

ქართველ ქრისტიანთა თვალსაზრისი მოისამდი, როგორც ვნახავთ, ამჟღავნებს სიახლოებს როგორც ბიზანტიის, ისე დასავლეთ ეკიპის ქრისტიანთა თვალსაზრისებრან.

ყურადღებას იქცევს ის, რომ ქართველი სამღვდელოება არ არიდებდა თავს სამხედრო საქმეს. ცნობილია, რომ 1028 წ. ტბეთის ეპისკოპოსმა საბა მტბევარმა ბიზანტიელთა მიტაცებისაგან დაიცა შავშეთი და როგორც იღნიშნავდა ივანე ბიშვილი, „მღვდელმთავარი სამშობლოსა და სამეფოს დამცველად გამოვიდა, უნებლიერ სამხედრო ხელისუფლად, გულად მეომრად და ქვეყნის გამგედ გახდა“ (ძც, I, 1955:292–93; ჯავახიშვილი, 1965:138). საყრადღებოა მწიგნობართუ-სუცეს-ჰუნიდიდელის სახელო. მისი მსგავსი არ არსებობდა მეზობელ ქრისტია-ნულ ბიზანტიაში, მაგრამ მასთან ახლომდგომი ინსტიტუტი დამოწმებულია და-სავლეთ ეკიპისაში (ანთლავა, 1983:102; ანთლავა, 1991:53). მართალია, მწი-გნობართუსუცეს-ჰუნიდიდელი უშუალოდ არ ებმებოდა ომში (მაგ. ისც. და აგმ. შარავანდ., ძც, II, 1959:72; კავაშავი, 1982:49), ის არ იყო სამხედრო ხელისუფალი, მაგრამ მას ხელი მოუწვდებოდა ლაშქარზე საერთო კონტროლის თვალსაზრისით (ანთლავა, 1983:120; ანთლავა, 1991:64). შემსხია აღნიშნავ-და, რომ დავით IV-ის დროიდან არცერთი ლაშქრობა და ლაშქრის ორგანიზაციის საკითხი მწიგნობართუსუცეს-ჰუნიდიდელის გარეშე არ წყდებოდა (მესხია, 1979:96). სამშვილდისა და რუსთავის განთავისუფლებას ხელმძღვანელობდა გი-ორგი ჰუნიდიდელი. 1161 წ. ანისთან მუსლიმთა კალიფის წინააღმდეგ ბრძო-ლაში გიორგი III-ს „თანავაზირობდებს იოვანე მწიგნობართუსუცესი“ და მასთან ერთად „ხუმბატ ხემონქმნილი, რომელი სხუათა ხაჭურთა თანა საქმითაგა ადჭურვილი იყო“ (ისც. და აგმ. შარავანდ., ძც, II, 1959:7; ისც. და აგმ. შარავანდ., 1973:176) და სხვ. სასულიერო პირთა სამხედრო საქმიანობა, ჩანს, საქართველოში არ იწვევდა ისეთ ოდიოზურ შეფასებას, როგორც ეს ხდებოდა ბიზანტიაში. ამ მხრივ გარკვეული მსგავსებაა დასავლეთის ქრისტიანებ-თან და გვაჲს საფუძვლით ვიმსჯელოთ ქართველი ქრისტიანობის მეტობოლ ხასი-ათზე.

ქართველი მეფეები, დავით IV-ის დროიდან თუ არა, დემეტრე I-დან მოყო-ლებული მანნც, ატარებდნენ „მესიის მახვილის“ (ჰესამ აღ-მასი) ამჟარტულს. ახლახან გამოვლენილი სპარსული დოკუმენტები მოწმობს, რომ „მესიის მახვი-ლად“ (ხამებ აღ-მასი) იწოდებოდა ზოგიერთი ქართველი მხედართმთავარიც (თთება, 1979:28, 29). მ.ლორთქიფანიძის კვალდაკვალ (ლორთქიფანიძე, 1979:257) შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ქართველი მეფეები და სახელმწიფო მოღვაწეები „ურწმუნო“ მაპმადიანთა წინააღმდეგ ბრძოლაში მეზობელ ქრისტი-ონ ხალხებს „მესიის მახვილად“ ეფლინებოდნენ. ტრტული „მესიის მახვილი“, ვფიქრობთ, სრულიად აშკარად გამოხატავს არა ქრისტეს მშვიდობისმოყვარე მისიას, არამედ მეტობოლ ქრისტიანობის პოზიციას.

ქართველებისთვის, ბიზანტიულთა მსგავსად, უცხო იყო რელიგიური ფანატი-შინი და სიძულვილი სხვა რჩელის აღმსარებლებისადმი, თურქები და მცსლიმები, ისევე როგორც ბიზანტიაში, საქართველოში განიხილებოდნენ როგორც „ბარბა-როზნი“ (ძვ., I, 1955:351; მავთელი: 272, 362). ამავე დროს ისინი განიხილებო-დნენ როგორც „ურწმუნონი“, „წარმართნი“, და, რაც მთავრია, „წინააღმდეგომი ქრისტესა სჭულისა“ (ძვ., II, 1959:5). ბრძოლა მათთან, ვინც იყო „წინააღმდეგომი ქრისტესა სჭულისა“, მიმდინარეობდა ამ რჩელის დაცვის პოზიციიდან.

კანკურენტობის ცნობით, დოდგორის ბრძოლის წინ დავით IV-მ ასე მიმა-რთა ლაშქარი: „ეჲა, მეომარნო ქრისტესანო! თუ დავთის ხჯულის დასაცა-ვად წესიერად ვიძორდვით, არამეც თუ ეშმაგის ურიცხვ მიმდევართა, არა-მედ თვით ეშმაგებსაც ადვილად დავამარცხებთ. და ერთ რამეს გირჩევთ, რაც ჩვენი პატიონენდისათვის და სარგებლობისათვის კარგი იქნება. ესაა, რომ ყველამ, ხელთა ციხადმი აღბყრობით ძლიერ დმერთს ადოქმა მივცეთ, რომ მისი სიყვარულისთვის ამ ბრძოლის ველზე უფრო მოვაკვ-დებით, ვიდრე გავიქცევთ“ (ავალიშვილი, 1989ა:46).

ამ მიმართვაში გაისმის მოწოდება „ლუთის სჭულის“ დასაცავად, რაც დამახა-სიათებელია დასავლეთის ქრისტიანთათვის. შეიძლება გვეფიქრა, რომ ეკროპელი ავტორი დავით IV-ს ჯარისანთა პოზიციებიდან ალაპარაკებს, მაგრამ, თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობითაც, ამავე პოზიციებიდან მოუწოდებდა გიორგი III ანისთან მუსლიმური კოალიციის პირისპირ მდგომ თავის მხედრობას: „გაცნო მშანო, ერთხულოთ და ერთორჯულნო! თუ რაზომ დიდად გითილ არს საღმრთოთა ხჯულთა და ქრისტეს სახარებისათვეს ხიგუდილი, რომელი სამარადისხოდ ვნატრით ქრისტეს გუალთა შემდგომთა და მომგუდართა მათ თკთ ბუნებითა შგუდართა ხსევლთაგან. და ხედავთა, თუ რაოდენ უფრო სახახელო არს მქნებრივ ხიგუდილი, ვიდრედა ხენითა განდნობი-თა განლევლებასა შინა, რამეთუ სახე და სახელი გეთილისა საუკენოდ გზად გუყვების“ (ძვ., II, 1959:8). მეფემ გახსენა, აგრეთვე გმირული წარსული ებრაელებისა და ბერძნებისა, რომელთა ბრძოლაც დაასაითა რო-გორც ბრძოლა „საღმრთოთა სჭულთათვის“. ქართველი მემატიის ამ ცნობა-ში ნაჩვენებია „საღმრთოთა სჭულთა და ქრისტეს სახარებისათვის სიკუდილის“ სიკეთე.

ნ. ბერძენიშვილი გიორგი III-ის მიმართვაში ხედავდა სჭულისათვის ომის დასაბუთებას. ამასთან, ის მიუთითებდა, რომ ქართველ მემატიანეს „ყველა სამა-როლიანი ომი“ „საღმრთოთა სჭულთათვის“ ომად მიაჩინდა და „აგრესორ მაპმადი-ანთა“ წინააღმდეგ იმი ყოველთვის სამართლიანად ითვლებოდა *in principle* (5.მეტმენიშვილი, 1965ა:32).

შემომოტანილი მასალებიდან ჩანს, რომ მცსლიმურ ჭიპაცს — საღვთო ომს

ქრისტიანული საქართველო უპირაისპირებდა ომს „ხალმრით ხელლთაოვის“, რაც უცხოა ბიზანტიისათვის და გარენულად მსგავსა დასავლეთის ქრისტიანთა სა-ლოთო ომის კონცეფციისა. იმავე დროს გიორგი III-ის მოწოდებაში, და, საქართოდ, რამდენადაც ვიცით, არც ქართველი წყაროების სხვა მასალებიდან არა ჩანს ცოდების შენდობისა და სიკვდილის შემთხვევაში სამოთხეში მოხვედრის ის დაპირებები, რომელიც ასაზროებდა ჯვროსნებს. XII ს-ში საქართველოს სამეფო კარს არც ქრისტიან საფლავის დასხის პრეტენზია ჰქონდა. ისეთი სურვილი ჩნდება გიორგი ლაშას ზეობის წლებში, ხოლო 1223 წ., როცა დაიწყო სამზადისი ფრიდრიხ II-ის ჯვროსნელ ლაშქრობაში მონაწილეობისათვის, საქართველოს სამეფო კარმა რომის პაპისაგან ითხოვა ლოცვა-კურთხევა. საპასუხის წერილში პაპი ონორე III წერდა რუსუდანს, რომ ლაშქრობის მონაწილე მისი ქვეშევრდო-მები მიღებდნენ "მოციქულებრივ შენდობას ყველა ცოდვის მიტევებით" და "დიდ ინდულგენციას, რომელიც დამტკიცებულია წმინდა და მხოლოდ ეკლესიის კრებების მიერ" (ფამარეა, 1984:178,181), მაგრამ ხარაზმელთა შემოსვებებს გააქარწყეულს საქართველოს სამეფო კარის ცდა მახლობელი იმშო-სავლეთის ისლამურ სამყაროსთან კონფრონტაციაში განეხორციელებინა დასა-ვლეთის ქრისტიანთა საღოთო ომის კონცეფცია.

ივ. ჯვანიშვილი თვლილა, რომ მართალია, ქართველები მოსაზღვრე თურქ მმართველებს და სამფლობელოებს ებრძოდნენ, მათ კვეწნებს იყრიბდნენ, მაგ-რამ მამადინანობასთან და მათი სარწმუნოების წინააღმდეგ ბრძოლა ფიქრადაც არ მოსვლიათ. ქართველ-მამადინანთა ბრძოლას არასოდეს წმინდა სარწმუნოე-ბრივი ბრძოლის ხასიათი არ ჰქონია" (ჯავახიშვილი, 1965:304-5). თავისი თვალ-საზრისის გასამტკიცებლად კვლევარი მიუთითებდა იმ შზრუნველობაზე, რომე-ლისაც საქართველოში მუსლიმთა მიმართ იჩენდნენ, უურადღებას ამაზეობდა სპარსულ-არაბული კულტურისადმი დიდ ინტერესზე საქართველოში (ჯავახიშ-ვილი, 1965:305). ეს თვალსაზრისი შემდეგ არაერთი ქართველი კვლევარის მიერ იქნა გაზიარებული და აისახა "საქართველოს ისტორიის ნარკვევებით" (პატუაშვილი, 1979:496), მაგრამ ჩევნის მიერ ზემომოქანილი მასალა გვიჩვენებს. თუ რა ძლიერი იყო რელიგიური ფაქტორი ქრისტიანული საქართველოსა და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყაროს სამხედრო-პოლიტიკურ კონფ-რონტაციაში. ქრისტიანულ და ისლამურ იდეოლოგიებს შორის ღრმა უფსკრული აჩვენებოდა. შეიძლება გვიჩიარით ის თვალსაზრისი, რომ „ქართველ-მამადი-ნანთა ბრძოლას არასოდეს წმინდა სარწმუნოებრივი ბრძოლის ხასიათი არა ჰქო-ნია“, მაგრამ უკეცველია ისიც, რომ ეს ბრძოლა აშკარად ხარწმუნოებრივი პოზიცი-ებიდან მომდინარეობდა. XII-XIII სს-ში, როგორც აღნიშნავდა კ. ლა მონატე, რელიგია თამაშობდა ისეთსაც როლს, როგორც ამედად პოლიტიკური იდეოლო-გია. ქრისტიანები და მუსლიმები, მცირე გმონაკლისის გარდა, რელიგიას იყნე-ბდნენ საბურეველად თავიანთ საერთ-პოლიტიკური მიზნებისათვის. მაგრამ ის იყო იდეოლოგიური დროშა, რომლის ქვეშაც იბრძოდნენ და რომლის გულისთ-

ვისაც იხოცებოდნენ მეომრები (*La Monte*, 1970: 197).

ქართულ ისტორიოგრაფიაში აღნიშნულია, რომ ქრისტიანობა დავით IV-ის პოლიტიკური აღიარებულ იქნა პოლიტიკური დამოუკიდებლობის იარაღად. მეცნე იბრძოდა ქრისტიანული ეკლესიის არა მარტო დაცვისათვის, არამედ მისი გავრცელებისთვისაც (ლომინაძე, 1966:87). ასეა მისი მემკვიდრეების დროსაც. ეს ბრძოლა მიმდინარეობდა იმ სახელმწიფო იფერებთან, რომელთა იდეოლოგიაც იყო ისლამი. ისლამურ სამყაროსთან სამხედრო-პოლიტიკური კონფრონტაციის დასაბუთება ხდებოდა ქრისტიანული იდეოლოგიის საფუძვლზე. ქრისტიანობაც და ისლამიც ბრძოლის იდეოლოგიური საშუალებანი იყო (ვ. გამაშვილი, 1968: 293, მენ. 2). ამის გამო ეს კონფრონტაცია რელიგიურ საბურჯელშია განვითარდა. გარე-გნულად დაპირისპირებაა არა ქართულ ფეოდალურ საზოგადოებასა და თურქ-სელჩუკთა თუ აიუბინთა პოლიტიკურ სისტემებს შორის, არამედ მათ საჩრდებულოებებს შორის. ამ დაპირისპირებას მუსლიმთა მხრიდან ასაზრდოებდა ჭიბადის კონცეფცია, ქართველთა მხრიდან კი მას კვებავდა „წარმართებთან“, „ურჯულოებთან“, „ბარბარიზმებთან“ საღმრთო რჩელისთვის, ქრისტესათვის ბრძოლის აუცილებლობა. „ქრისტიანობის დამცველის“ მისია, რომელსაც ამიერკავკასიში საქართველო ასრულებდა, თურქული გარემოცვის წინააღმდეგ ბრძოლის უმთავრესი მამოძრავებელი ძალა იყო“ (თოლერია, 1975:219). ამასთან უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველო ქრისტიანობისათვის და კერძოდ კი ქრისტიანული საქართველოსთვის პრინციპულად უცხო იყო იდეა „ურჯულო“ მუსლიმთა ქრისტიანობაზე მოქვეყნისა. „ქრისტეს მისია, როგორც წერდა ცნობილი ფრანგი ორიენტალისტი ქანარი, არის მშვიდობის მისია, ხოლო ჭიბადი კი — რელიგიის ტრადიციი სისხლიანის ბრძოლის ფასად, რაც ეწინააღმდეგება ქრისტიანულ აზროვნებას“ (Canard, 1973:616).

## 2. მშვიდობიანი თანაარსებობა

საქართველოს სამეფოსა და მასლომელი აღმოსავლეთის ისლამური სამყაროს ურთიერთობებს ასაზრდოებდა არა მხოლოდ სამხედრო-პოლიტიკური და იდეოლოგიური კონფრონტაციაცა. ოქებს შორის მშვიდობიან წლებში, ცხადია, არსებობდა და ვითარდებოდა ნორმიალური პოლიტიკური, კუნობიერური და ჟულტურულ კონტაქტებიც. მნიშვნელოვან ფაქტორს მეზობელ ისლამურ სახელმწიფოებთან მშვიდობიანი თანაარსებობისათვის წარმოადგინდა ურთიერთობები იმ მუსლიმებთან, რომლებიც საქართველოს სამეფოში, პირველ ყოვლისა კი, მის სატახტო ქალაქში — თბილისში ცხოვდებოდნენ.

თბილისის აღების შემდეგ, 1122 წლის თებერვლის შუა რიცხვებში, დავით IV სასტიკად გაუსწორდა ადგილობრივ მუსლიმებს, რომლებმაც დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს მეცნე. რეპრესიები სამი დღე გაგრძელდა, მაგრამ შემდეგ მეცნე

დაცრა, "მოალბო მათი გულები" და "აღუთქვა წყალობა" (ალ-ფარიკი 1985:89). მან მიიღო ზომები, რომელთა საფუძველზე შესაძლებელი გახდა თბილისში (და, აღმათ, მუსლიმებით დასახლებულ საქართველოს სამეფოს სხვა ძვირობებშიც) ქრისტიანთა და მუსლიმთა მშვიდობიანი თანაარსებობა და თანაცხოვრება.

დავით IV-ის მიერ განხორციელებული ლონისძიებების შესახებ დაწერილებით მოვცითხობას ალ-ფარიკი. მის ცნობებს იმეორებს და რამდენადმე ავსებს სიბრტი ინტ ალ-ჭაუზი. ის შეღავათები, რომლიც მიიღეს თბილისელმა მუსლიმებმა, არაერთი მკლევარის მსჯელობის საგანი გახდა, მაგრამ, როგორც მართებულად აღნიშნავს მლორთქითანიდე, ამ შეღავათების ხასიათისა და ხანგრძლიობის შესახებ ჩვენს ისტორიოგრაფიაში არ არსებობს აზრთა ერთიანობა (ლორთდიფანიმე, 1979გ:254). ეს გარემოება გვიძინებს, ერთხელ კიდევ დაცუბრუნდეთ დავით IV-ის პოლიტიკას მუსლიმებისადმი და, აგრეთვე გავარკვით, თუ როგორი გაგრძელება ჰქონდა ამ პოლიტიკას მისი მემკვიდრეების დროს.

დავით IV-ის ლონისძიებები, რომლებმაც ქრისტიანთა და მუსლიმთა საშინაო ურთიერთობების სხვადასხვა სფერო მოიცავა, შეიძლება ასე დავგვთდეს:

საგადასახადო პოლიტიკა. მკლევარები ჩვეულებრივ აღნიშნავენ, რომ მეფემ მუსლიმები გაათავისუფლა გამოსალებებისაგან (მაგ., მესხია, 1972:134). მაგრამ ისინი არ ასახელებენ ამ გადასახადებს და არ განმარტავენ მათ.

ალ-ფარიკი მოვცითხობას, რომ დავით IV-მ მუსლიმებს მოუხსნა 1122 წლის 'უშრი, მა'უნა, გისტი და ხარაჯა (ალ-ფარიკი, 1985:89). მათგან ორი: 'უშრი (რომელიც დასახელებულია მრავლობით რიცხვში: ა'შარ) და ხარაჯი ისლამურ საგადასახადო პრაქტიკაში ითვლება ძირითადად და აღიარებულია კანონიერ გადასახადებად.

'უშრი (არაბ. მეათედი), ილებოდა იმ მიწებიდან, რომლებიც ეკუთვნოდა ძველ მუსლიმებს და მათ შთამომავლებს. გარდა ამისა, 'უშრი იყო გადასახადი სავაჭროდ გამიზნულ ყოველგვარი საქონლოდან და მისი გადახდა ევალებოდა როგორც მუსლიმებს, ისე არამუსლიმებს (ე.სისართლიმე, 1957:94-5; Петрушевский, 1960:377). ხარაჯა არაბულში აღნიშნავს საერთოდ ხარეს, თალის, გადასახადს. ფართო მნიშვნელობით ხარაჯა სახალიფოში იყო ხარკი არამუსლიმთაგან (როგორც გადასახადი მიწაზე, ისე სულადობრივი გადასახადი) და გირიკი მნიშვნელობით — გადასახადი მიწაზე. ხარაჯა, გადასახადი მიწაზე იყო უფრო მაღალი, ვიდრე 'უშრი. თავდაპირველად მას იღებდნენ არამუსლიმთაგან, VIII ს-დან კი ახლადმოქმედულ მუსლიმთაგანც (ე.სისართლიმე, 1957:87; Петрушевский 1960:370).

'უშრისა და ხარაჯასაგან განსხვავებით მა'უნა და კისტი (რომლებსაც ალ-ფარიკი ასევე მრავლობით რიცხვში — მუ'ან და აკსტ — ასახელებს), მიეკუთვნებოდა კატეგორიას იმ მრავალრიცხვანი არაანონიერი გადასახადებისა, რომელ

თა საერთო სახელმწიფოებაც იყო დარიბა.

ალ-ფარიკის ცნობის ვმინორსკისეულ ინგლისურ თარგმანში მაუნა (მრ. მჭ'ან) არის მომსახურება, სამსახური (service) (Minorsky, 1949:33), მაგრამ ლუქსიეროგრაფებთან ეს სიტყვა ჩვეულებრივ განმარტებულია როგორც სურსათი, სანოვაგვ. ზ.ბუნიატოვი მას აიგივებს გადასახადად აღაფე-სთან. ეს უკანასკნელი კი იყო ნატურალური გამოსალება საგუშავოდ მდგომი სამხედრო რაზმის, ანდა ოფიციალური პირის საჭიროების უზრუნველყოფად (Бунятоев, 1978:222).

კისტი ლუქსიეროგრაფებთან მიერ განმარტებულია როგორც წილი, ნაწილი, მორიგი ფულადი შესატანი, გადასახადი. ხარკი, ბევრა, კონტრიბუცია (Баранов, 1958:816; Dozy, II, 1881:344), ვმინორსკის ინგლისურ თარგმანში კისტი არის ფულადი გადასახადი, რომლის შეტანა ხდება ნაწილ-ნაწილ (payments by instalments) (Minorsky, 1949:33), მაგრამ უფრო კონკრეტულად, თუ რა დროს და როგორ ხდებოდა მისი აღება, სელჩუქთა ხანის სხვა მრავალი გადასახადის მსგავსად, უცნობია.

‘უშრი, ხარაგა, მაუნა და კისტი იყო ნაწილი იმ გადასახადებისა, რომლებიც, საერთოდ, 1122 წლამდე ეკისრებოდა თბილისელ მუსლიმებს. ამ გადასახადების დროებით გაუქმება წარმოადგენდა გარკვეულ შეღავას, ერთგვარ კომპენსაციას იმ მძიმე ზარალისათვის, რაც მათ 1122 წ. თებერვალში განიცადეს.

საგადასახადო შეღავათებთან დაკავშირებით ალ-ფარიკი იუწყება აგრეთვე, რომ დავით IV-მ დადო პირობა (შარატა) და განსაზღვრა (ვასატა) რომ ქართველის, ეპიზოდისა და მუსლიმის ზიღმა წლოურად (ფი ს-სანა) იქნებოდა შესაბამისად 5,4 და 3 დინარი (ალ-ფარიზი, 1908: 206; ალ-ფარიზი, 1949:71).

ჰ. ამედრიზი, რომელმაც პირველად გაანალიზა ალ-ფარიკის ცნობა, ხილმას მიიჩნევდა ფულად გადასახადო (payment due) (Amedroz, 1902:792, მე.1). ასევე ესმოდათ ის ვ-ფულურიძესა და ვ.მინორსკის (ფეთურიმე, 1942:141; Minorsky, 1949:34). ქართველ მკლევართა გამოკვლეულში ხიღმა ჩვეულებრივ განიხილება გამოსალებად, გადასახადად (ალექსიძე, 1968: 159-61; მეხება, 1972:134,135; Лордкипаниძე, 1974:115). ალ-ფარიკის ტექსტის ა.მამედოვი-სეულ რუსულ თარგმანში ხიღმა არის платა (ალ-ფარიზი, 1957:223-24), ხოლო უკანასკნელად, ე.სიხარულიძემ ხიღმა თარგმნა როგორც სამსახური (ალ-ფარიზი, 1985:89), მაგრამ მას არ განუმარტავს, თუ რა ტრის სამსახური შეიძლებოდა ის ყოფილობი.

არაბულ წყაროებში ხშირად შევხდებით მითითებას, რომ ესა თუ ის პირი ჩადგა ამა თუ იმ გამგებლის სამსახურში (ფი ლ-ზიდმათი). მ.ბეილისმა მას-უდ ბ.ნამდარის წერილების ქრებულის ანალიზის დროს ყურადღება მიაქცია ტერმინს “ვაგდ ალ-ზიდმა”, რაც სამსახურის უფლებას ნიშნავს. ის მიიჩნევს, რომ წარმოდგენა „სამსახურის უფლების“ შესახებ გაუჩელებული იყო სელჩუქთა სახელმწიფოში (Бейлис, 1970ა:28). ს.მარქარიანი თვლის, რომ ტერმინი ხიღმა

გამოხატავდა იგტას მფლობელის (იგტადარი) დამოკიდებულებას სიუზერენი-საღმი (Маркарян, 1991:177-78). ა.ლემბტონი დიდ სელჩუქთა და ილხანთა სახელმწიფოში ასახელებს გადასახადს წიდმათანანა, წიდმათი, რომელსაც უ-დიდნენ მმართველს, გამგებელს. ამავე ტერმინს აქვთ ბაჟის მნიშვნელობაც, რომელსაც იღებდნენ გადასახადის ამკრეფთა, ანდა სხვა ხელისუფალთა სასარგებლოდ (Lambton, 1987, 314-15, 357). ამიერკავკასიაში გალალ ად-დინის შემოსევის დროს ყადი მუჯირ ად-დინიმა, რომელიც დალტში დაადანაშაულეს და დაამტიმრეს, თავის დასახსნელად გადაიხადა 20 ოთასი დინარი. ამას გარდა, მისგან აიღეს ქრისტი და ძღვენი — წიდაშ, რომელიც რამდენჯერმე აღმატებოდა მის მიერ გადახდილ დასახელუბულ თანხას (ან-ნასავი, 1973:172). მოგვიანებით, XVII ს. ამიერკავკასიაში, ყუბის სახანში, გლუხებს, რომელიც მოლიანად იყენენ დამოკიდებული თურქული ჩერქეზე, ევალებოდათ შეესრულებინათ მისთვის სამსახური — წიდმათ, ე.ი. წესით დადგენილი საგლეხო ბეგარა (Петрушевский, 1949:218).

ორენოვან ლექსიკონებში, რომელთაც საფუძვლად უდევს შუა საუკუნეების არაბული ლექსიკა, ხიდმა განმარტებულია როგორც სამსახური, ვალებულება, მოვალეობა, საკომისიო საზღაური, გადასახადი, ბაჟი, ბეგარა, ანდა საჩუქარი, ძღვენი, რომელსაც ქვეშევრდომი პატივისცემის ნიშნად მიართმევს ხელმწიფეს (Dozy, I, 1881:354-55. Steingass, 1985:316).

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ხიდმას სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ ალ-ფარიკის ზემომოტური ცნობაში მის შესახებ მსჯელობა ძნელოა. შეიძლება გამოვთქვათ ფრთხილი ვარაუდი, რომ ალ-ფარიკის ხიდმა იყო საჩუქრის, ძღვენის ტრპის გმოსახლები, რომლის შესახებაც „ვეფხისტუასინის“ მიხედვით ვრცლად საუბრობს კ.ნოზაძე (ნოზაძე, 1958:133-34). ხიდმა — ძღვენი მეფის სასარგებლოდ ეკისრებოდა მოსახლეობის გარკვეულ (თბილისის ვაკარ-ხელისანთა) ჯგუფებს, მაგრამ რადგანაც ძღვენი არ არის ცალმხრივი, დასაშევებია ისიც, რომ მის ნაცვლად ისინი იღებდნენ მეფის მფარველობას თავისით პროცესით საქმიანობაში. ამ მხრივ მუსლიმებს უპირატესობა ჰქონდათ ქართველებთან და ებრაელებთან შედარებით.

რელიგიური პოლიტიკა. დავით IV-მ თბილისელ მუსლიმებს ნება დართო შეესრულებინათ აზანი და ხალათი და აშეარად და დაუფარავად ეკითხათ ყურანი (ალ-ფარიკი, 1908: 206; ალ-ფარიკი, 1985:89).

აზანი, როგორც ცნობილია არის მოწოდება ლოცვისაკენ, რომელსაც დღეში ხუთხერ ხმამაღლა წარმოთქვამს მუ'აზზინი (მუედინი) მინარეთიდან. სალათი (ნამაზი) კი კანონიკური ლოცვაა და წარმოადგენს ისლამის ერთ-ერთ ძირითად ფოგმას. სალათი სრულდება დღეში ხუთხერ ინდივიდუალურად, ან კოლექტურად, ნებისმიერ მოხერხებულ ადგილზე. პარასკვის ლოცვა რეკომენდებულია მეჩეთში.

ალ-ფარიკის ცნობით, დავით IV-მ მუსლიმებს მისცა აგრეთვე უფლება, რომ წარმოეთქვათ სურბა პარასკვობით, ელოცათ და მოეხსენებინათ ხალიფა და